



მართულ-წორკვიბიული კანონის
უზენაესობის ასოციაცია

სპივიდის საგლოზიები

სასჯელის როლი
სასჯელადსრულების
პოლიტიკაში

ნილს კრისტო

პირველი ქართული გამოცემა

ქართულ-ნორვეგიული
კანონის უზენაესობის
ასოციაცია

LIMITS TO PAIN

The Role of Punishment in penal Policy

By Christie, Nils

რედაქტორები

მორის შალიკაშვილი

გიორგი გიორგაძე

თარჯიმანი

უშანგი ბახტაძე

დიზაინი

IBDesign

წიგნის თარგმნა და გამოცემა განხორციელდა ნორვეგიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

© UNIVERSITETSFORLAGET

© 2017, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია

დაიბეჭდა შპს „სეზანში“

ISBN 978-9941-0-9995-3

ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია დაფუძნდა 2014 წელს ქართველი და ნორვეგიელი იურისტების მიერ. შექმნის დღიდანვე, ასოციაციამ მიზნად დაისახა იურიდიული განათლებისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მხარდაჭერა. აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის ასოციაცია ხელს უწყობს საერთო ფორუმის დაფუძნებას, სადაც სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები ობიექტურობისა და ღიაობის პრინციპების დაცვით შეძლებენ პრაქტიკული და სამართლებრივი საკითხების განხილვას საქართველოსა და ნორვეგიაში კანონის უზენაესობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისთვის. ხარისხიანი იურიდიული განათლების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, ჩვენ სტუდენტებს ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერებისა და ავტორების გამორჩეულ ნაშრომებზე და ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ მათ მშობლიურ ენაზე. სწორედაც, რომ ამ მიზანს ემსახურება ცნობილი ნორვეგიელი კრიმინოლოგის ბატონი ნილს კრისტის საყოველთაოდ აღიარებული წიგნების: „ტკივილის საზღვრები“ და „დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია გულაგების მიმართ დასავლური მიდგომა“ ქართულ ენაზე თარგმნა. დარწმუნებული ვარ, წიგნები უახლოეს მომავალში მოიპოვებენ ფართო პოპულარობას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ დანაშაულისა და სასჯელის ბუნების კვლევის საქმეში.

გიორგი გიორგაძე

ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის თავმჯდომარე

ჩეჩენეთის რეაქტივისტიზმი

ჩეჩენეთის რეაქტივისტიზმი „ტერორის საზღვრები. სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში“ ძალიან საინტერესო ნაშრომია სასჯელების და მათი გამოყენების შესახებ. ავტორის აზრით, „სისხლის სამართლის სიტემა არსებობს არა ადამიანის განსაკურნებლად, არამედ ტერორის მისაყენებლად. ადამიანს ტერორი ადგება იმისათვის, რომ სხვა ადამიანებმა გაითავისონ ამ ტერორის შესახებ ანუ მოხდეს მათი დაშინება“.

ჩეჩენეთის სასჯელის და განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ადამიანში იწვევს ტერორს. ეს ტერორი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ არის გაცნობიერებული და სისხლის სამართლის პოლიტიკის აუცილებელი ნაწილია.

თუ ტერორის მიყენება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას თანახმად, მაშინ მნიშვნელოვანია რამდენიმე პირობა იქნეს დაცული: „ერთ-ერთი მთავარი წესი იქნება შემდეგი: ეჭვის არსებობისას, ნუ მიყენებ ტერორს. სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი წესი იქნება: მიყენე, რაც შეიძლება ნაკლები ტერორი. ეძიეთ სასჯელის ალტერნატივები და არა მხოლოდ ალტერნატიული სასჯელები“, ამბობს წიგნის ავტორი.

მოცემული წიგნის ქართულენოვანი თარგმანი დიდი მონაპოვარია სისხლის სამართლის პოლიტიკით დაინტერესებული მკითხველისთვის.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქართულ-ნორვეგიულ კანონის უზენაესობის ასოციაციის თავმჯდომარეს ბატონ გიორგი გიორგაძეს ნილს კრისტის ნაშრომების ქართულ ენაზე თარგმნის შესაძლებლობისათვის.

მორის შალიკაშვილი

*თსუ, იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი*

წინასწარმეტყველება

როდესაც 1982 წელს წიგნის – „ტკივილის საზღვრები“ – ინგლისური ვერსია პირველად გამოიცა, საკმაოდ რთული იყო მისი შექმნა ჩრდილოეთ ამერიკაში; მეტიც, როდესაც წიგნი დაიბეჭდა, იგი უიშვიათეს წიგნთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. მიუხედავად ამ წიგნის რაოდენობრივი სიმცირისა, მან ბევრ მკითხველზე დიდი გავლენის მოხდენა შეძლო.

ამ წიგნის ჩემი კუთვნილი ეგზემპლარი გაუჩინარდა წლების წინ და მხოლოდ ცოტა ხნის წინ დამიბრუნა ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა. ახლა წიგნი თაროზე დევს და მოხარული ვარ, რომ როგორც იქნა დაიბრუნა თავისი კუთვნილი ადგილი. მე ამ წიგნს დიდად ვაფასებ იმის გამო, რომ მან საკითხის არსში არნახულად გამარკვია და დიდი მნიშვნელობა შეიძინა ჩემ სამეცნიერო გზაში.

ნილს კრისტი არის ნორვეგიელი კრიმინოლოგი, რომელიც წლების განმავლობაში სწავლობდა დასავლეთის ქვეყნების მართლსაჯულების პოლიტიკას, მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანი კი, ამერიკის შეერთებული შტატები იყო. ტკივილის საზღვრები სიღრმისეულად სწავლობს იმ ვარაუდებსა და ფილოსოფიურ მოსაზრებებს, რომლებიც ხილულად ან ზოგჯერ ფარულადაც, სისხლის სამართლის პოლიტიკას მართავს. აღნიშნულის გათვალისწინებით, წიგნმა ამიხილა თვალები თუ რამდენად ცენტრალიზებულად არის გადანაწილებული ტკივილი დასავლეთის მართლსაჯულების სისტემაში. კრისტის მიხედვით – მი-

უხედავად სასჯელის გამოყენების გამართლების სხვადასხვა ფილოსოფიური შეხედულებებისა, რაც არსებობს მის ქვეყანასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებს შორის – მართლსაჯულება (სასჯელი) ყველა შემთხვევაში ნიშნავს ტკივილის განზრახ მიყენებას მათთვის, ვინც ტკივილი მოგვაყენა ჩვენ (საზოგადოებას). კრისტი, ასევე იკვლევს იმ გარემოებებს, რომლებიც შეამცირებს ჩვენ დამოკიდებულებას ტკივილზე. ამით ის სულაც არ არის უტოპიური; ჩვენ საეჭვოა, რომ შევამციროთ ტკივილი, როგორც სასჯელის უმთავრესი მახასიათებელი, კრისტი ამბობს, მაგრამ ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რაც შეიძლება ნაკლები ტკივილი. ჩემ წიგნში, მიდგომების შეცვლა: დანაშაულისა და მართლსაჯულების ახლებური ფოკუსირება (*Changing Lenses: A New Focus for Crime and Justice*), მე ვამუშაობ ხსენებულ თემას და ვამტკიცებ, რომ აღდგენითი მართლსაჯულების ამოქმედებით სხვა თუ არაფერი, ის მაინც შეიძლება მიიღწეს, რომ სასჯელი გამოყენებული იყოს, როგორც უკანასკნელი საშუალება.

ჩემთვის ამ წიგნის მნიშვნელობა სცილდება, ჩემს პირად მოსაზრებებს აღდგენითი მართლსაჯულების აკადრაციანობის შესახებ. ადრეულ 80-იან წლებში, როდესაც ვიწყებდი მუშაობას „მიდგომების შეცვლაზე“, მე და ჩემი მეგობარი მიჩიგანის ტბაზე წავედით მშვიდი ადგილის მოსაძებნად. როდესაც ვსეირნობდი ტბის ნაპირას, ვოცნებობდი იმაზე, რომ დამეწერა წიგნი, რომელსაც ექნებოდა ისეთივე მგრძობიანობა და სულისკვეთება, როგორც ამ წიგნს აქვს. გამიჩნდა სურვილი დამეწერა პროვოკაციული ესე, რომელიც მკითხველს საკუთარ მოსაზრებებზე დააფიქრებდა და განაცდევინებდა იმას, რაც კრისტის წიგნმა განმაცდევინა მე.

კრისტის შეხედულებები, რომელსაც ვხვდებით ამ წიგნში ისეთივე აქტუალურია დღეს, როგორც ის იყო წიგნის პირველად გამოქვეყნებისას. მე მოხარული ვარ, რომ „ტკივილის საზღვრები“ ხელახლა გამოიცა.

ჰოვარდ ზერი

ოკლენდი, ახალი ზელანდია
2007 წლის აგვისტო

საჩივრი

შესავალი	13
თავი 1. ტკივილის შესახებ	17
თავი 2. სიტყვები, როგორც ფარი	22
თავი 3. დანაშაული, როგორც განკურნების საგანი	31
თავი 4. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება (დაშინება)	40
თავი 5. ნეო-კლასიციზმი	53
თავი 6. ფარული სასაწავლო გეგმა	62
თავი 7. კომპიუტერი	74
თავი 8. ნეო-პოზიტივიზმი	81
თავი 9. სამუდამო ტკივილი?	96
თავი 10. ზოგიერთი კონდიცია ნაკლები ტკივილის მისაყენებლად	112
თავი 11. მონაწილეობითი მართლმსაჯულება	125
თავი 12. ტკივილთან შედარებით	158

შესავალი

ამ პატარა წიგნის ძირითადი იდეები მარტივია.

მთავარი არგუმენტაცია არის შემდეგი: სამართლის სფეროში სასჯელის დანიშვნა ნიშნავს ტკივილის მიყენებას, ტკივილის მიყენების განზრახვით. აღნიშნული წარმოადგენს ქმედებას, რომელიც ხშირად უპირისპირდება ისეთ მნიშვნელოვან ღირებულებებს, როგორცაა სიკეთე და პატიება. მსგავსი შეუთავსებლობის გადაფარვის მიზნით, ცალკეულ შემთხვევებში, არის იმის მცდელობა, რომ სასჯელის მთავარი მახასიათებელი დაიმალოს ან სხვაგვარად შეიფუთოს. როდესაც დამალვა შეუძლებელია, მაშინ იწყება განზრახ ტკივილის მიყენების გამართლების სხვადასხვა მიზეზების მოძიება. ამ წიგნის ერთ-ერთი მცდელობაც სწორედ ის არის, რომ მოხდეს მსგავსი გამართლებებელი მიზეზების ძირითადი მახასიათებლების აღწერა, გამოაშკარავება და შეფასება და მათი მისადაგება ზოგად სოციალურ კონდიციებთან.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ტკივილთან გამკლავების არცერთი გზა საკმარისად დამაკმაყოფილებელი არ არის. კანონმდამრღვევის გარდაქმნის მცდელობა პრობლემებს უქმნის მართლმსაჯულებას, ხოლო ტკივილის მიყენების მცდელობა კი, სასტიკი სისტემების შექმნის წინაპირობაა, რომელიც გულგრილად ეკიდება ადამიანის საჭიროებებს. შედეგად ვიღებთ ისეთ რეალობას, რომელშიც საზოგად-

დოება მოქცეულია სისხლისსამართლებრივ თეორიებისა და პრაქტიკებს შორის და ცდილობს გადაუჭრელი დილემის გადაჭრას.

ჩემი პირადი შეხედულებაა, რომ მოვიდა დრო, როდესაც მსგავს მიდგომებს ბოლო უნდა მოეღოს მათი უსარგებლობის გამო. ამას გარდა, აუცილებელია მორალური მხარდაჭერა იმ იდეისა, რომ ტკივილი, როგორც სოციალური კონტროლის ერთ-ერთი საშუალება, მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს. წინამდებარე ნაშრომში სოციალური სისტემების გამოცდილების საფუძველზე, სწორედ ის ზოგადი მიდგომებია გაზიარებული, რომლებსაც ტკივილი მინიმუმამდე ჰყავთ დაყვანილი.

იმ შემთხვევაში, თუ ტკივილი იქნება გამოყენებული, ეს უნდა იყოს ტკივილი მანიპულაციური მიზნის გარეშე და ისეთივე სოციალური ფორმით გამოხატული, როგორც გამოიყენება მაშინ, როდესაც ადამიანები მძიმე მწუხარებას განიცდიან. აღნიშნულმა შეიძლება მიგვიყვანოს სიტუაციამდე, სადაც სასჯელი დანაშაულისთვის გამქრალია. სადაც მსგავსი მიდგომა, სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლებიც გამქრალია. აღნიშნული მიდგომა ჩამოყალიბებულია როგორც იდეალი და შეიძლება იყოს არანაკლებ ღირებული, რადგან იგი წინა პლანზე სწევს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა სიკეთე და ადამიანურობა – მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ იდეალები ბოლომდე არასდროს მიიღწევა, თუმცა მისკენ სწრაფვა ნამდვილად ღირს.

მე მადლიერებას გამოვთქვამ იმ მეგობრების და კოლეგების მიმართ, რომლებიც დამეხმარნენ ამ ნაშრომზე მუშაობისას. მუშაობის პროცესში ოქსფორდის უნივერსიტეტის ოლ სოულსის კოლეჯი საყდარივით იყო ჩემთვის, ხოლო როჯერ ჰუდი და ადამ პოდგორეცკი მეგობრულად მედგნენ გვერდში და მამარაგებდნენ რჩევებით. ლუკ ჰულსმანი და ჰერმან ბიანკი იყვნენ უმნიშვნელოვანესი შთაგონების წყაროები ჰოლანდიიდან. რიკ აბელი, კეთილ ბრუნი, ანდრიუ ვონ ჰირში და სტენ ვილერი იყვნენ სწორედ ის ხალხი, რომლებმაც ამ

ნაშრომის პირველადი ვერსია კრიტიკულად შეაფასეს. „გერმანიის მარშალის ფონდისა“ და „სკანდინავიის კრიმინოლოგიის კვლევითი საბჭოს“ დაფინანსებებმა შესაძლებელი გახადა შეხვედრის ორგანიზება 1980 წლის ივნისში, რომელზეც დეტალურად იქნა განხილული კომბინირებული მართლსაჯულების საკითხები.

მიუხედავად ყველაფრისა ეს წიგნი სკანდინავიიდანაა. უცხო ენაზე წერის პროცესში, ადამიანი უფრო მეტად უახლოვდება სახლს. სწორედ სახლს ვუმაღლი მე ჩემ გამოცდილებას და წლების განმავლობაში სწორედ აქ ვიყავი კრიტიკის საგანი და გამხნეების სუბიექტი. ამ კონკრეტული ნაშრომისთვის ღირებული დახმარება გამიწიეს შემდეგმა პიროვნებებმა: ვიგდის და ლინდის შარლოტ კრისტებმა, ტოვ სტენგ დალმა, კიერსტი ერიქსონმა, შტურლა ფალკმა, ჰედა გიერთსენმა, სესილი ჰოიგარდმა, პერ ოლე იოჰანსენმა, ლეიფ პეტერ ოლუსენმა, ანიკა სნერმა, პერ შტანგელანდმა და დაგ იოსტერბერგმა. მე ხშირად არ ვუსმენდი ჩემ მრჩეველებს, შესაბამისად, საბოლოო პროდუქტის დეფექტებზე არცერთი მათგანი არ არის პასუხისმგებელი.

ნილს კრისტო

ოსლო, 1981 წლის მარტი

თავი 1

ტკივილის შესახებ

ეს არის წიგნი ტკივილის შესახებ. თუმცა, მე ზუსტად არ ვიცი რა არის ტკივილი ან როგორ განვმარტო ის. მხატვრული ლიტერატურა სავსეა ისეთი დიდი გმირებით, რომელთათვისაც ტკივილი ზედმეტად უმნიშვნელონა და ისეთი დიდი ლაჩრებით, რომელთათვისაც ყველაფერი ტკივილთან ასოცირდება. იმისათვის, რომ ადამიანმა გაიგოს ტკივილის არსის შესახებ, მას კარგისა და ცუდის დედააზრი აუცილებლად შეცნობილი უნდა ჰქონდეს. მე თავს შევიკავებ ამ ცნების განმარტების მცდელობისგან.

ისინი ვინც სისხლის სამართლის სფეროში არსებულ პროგრამებს პროგრესად განიხილავენ ჩათვლიან, რომ მე ნაადრევ დასკვნებს ვაკეთებ. ისინი ხედავენ წინგადადგმულ ნაბიჯებს და იმას, რომ ტკივილი თანმიმდევრულად მცირდება, რაც თავის მხრივ, მისი გრადაციის შესაძლებლობას იძლევა. ფუკოს (1975) შესავლით დაწყებული, რომელიც 1757 წელს რობერტ ფრანსუა დემიენის საჯაროდ სიკვდილით დასჯის სისასტიკეს აღწერს, ნორვეგიის პარლამენტის მიერ 1815 წელს მიღებული კანონით დამთავრებული, რომელმაც დალის დასმა და კიდურების მოჭრა 10 წლიანი თავისუფლების აღკვეთით შეცვალა, ამ ყველაფერზე მავანი იტყვის, ნუთუ ეს არ არის ტკივილის შემცირების დასტური? მონობიდან და მკაცრი რეჟიმის ციხეებიდან, სადაც ნამდვილ განუკითხაობას და ძალადობას ჰქონდა ადგილი, კარგად

მოწყობილ გამასწორებელ დაწესებულებებზე გადასვლა, ნუთუ ეს არ არის პროგრესი? ციხეში წესრიგის დარღვევისას გაროზგვის ჩანაცვლება პრივილეგიების ჩამორთმევით, ნუთუ არც ეს არის პროგრესი? ძველი სუნიანი ქვის სასახლეების ჩანაცვლება, ახალი კეთილმოწყობილი ოთახებით ცხელი და ცივი წლით – ნუთუ ეს არ არის ტკივილის შემცირების მკაფიო გამოხატულება?

სიმართლე გითხრათ უბრალოდ არ ვიცი. ზემოხსენებული ყველა ფორმა უნდა შეფასდეს იმ დროს არსებული რეალობის პარალელურად, იმათ მიერ ვინც თავის თავზე იღებდა ამ ტკივილს, მათი და სხვა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების ჩარჩოებში და იმის გათვალისწინებით, თუ რა ქმედებებს თვლიდნენ ისინი ცოდვად. ამის გათვალისწინებით, მე ვერ ვხედავ რაიმე მზა შკალას/გრადაციას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ტკივილის გაზომვა.

რაოდენობრივი მონაცემების პროტაგონისტებიც ჩათვლიან, რომ მე ნაადრევ დასკვნებს ვაკეთებ. ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია გავზომოთ ადამიანის სხეულში ნერვული დაბოლოებების გადანაწილების საკითხი. სხვა სიტყვებით, ჩვენ შეგვიძლია ადამიანებისა და სიტუაციების სტანდარტიზაცია იმგვარად, რომ დადგინდეს, როგორი ქმედებები იწვევს ყველაზე მეტ ტკივილს.

მართალია, ჩვენ შეგვიძლია, მაგრამ რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით ნერვული დაბოლოებებისა და სტანდარტიზებული სიტუაციების ანალიზს, მით უფრო ვშორდებით იმ სოციალურ, ეთიკურ და რელიგიურ ელემენტებს რომლებსაც შეუძლიათ გავგვარკვიონ, თუ რა ითვლება მძიმე ტკივილად ან რა იწვევს მცირედი ტკივილის დამძიმებას. საკონცენტრანციო ბანაკის ბადრაგები (Christie 1972) გაკვირვებული აღწერდნენ იმ ფაქტს, რომ პატიმრები მათ მიმართ განხორციელებულ უმნიშვნელო ძალადობაზე უფრო მძიმედ რეაგირებდნენ, ვიდრე სერიოზულზე. „ისინი ტიროდნენ, როგორც პატარა ბავშვები მუშტის მსუბუქი დარტყმისას, მაგრამ სერიოზულ ცემამ ან მეგობრის მათ თვალწინ მოკვლისას, საერთოდ არ რეაგირებდნენ“. ჟაკ ლუსი-

რენი (1963) ძალიან ახლოს იყო იმის თქმასთან, რომ მას მოსწონდა ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში ცხოვრება. და მას ეს მოსწონდა მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან ახლოს იყო სიკვდილთან. იქიდან გამომდინარე, რომ იგი ბრმა იყო, ლაზარეთში ყოფნისას მას უწევდა ხელის გამოყენება იმისათვის, რომ მკვდარი ადამიანის სხეული გაერჩია სიკვდილის პირამდე მიყვანილი ადამიანის სხეულისგან. ამას გარდა, ანთროპოლოგებს აქვთ ანგარიშები იმ სოფლის მოსახლეობის თაობაზე, რომლებიც დამნაშავის სახლის გარეთ მღეროდნენ და ამით ცდილობდნენ მის დასჯას. ეს კი იმ ფაქტს ადასტურებს, რომ დამნაშავის მსგავსი ხერხით სიკვდილამდე მიყვანა საკმარისად მტკივნეულია.

სწორედ ამ და სხვა მიზეზების გამო, ამ წიგნში საუბარი არ იქნება ტკივილის ცნების შესახებ ან ტკივილის სახეებსა და იმაზე, თუ ტკივილის როგორი გამოვლინებაა უფრო სერიოზული ანდაც იმაზე, ჩვენ პლანეტაზე იმატა თუ იკლო ტკივილმა. აღნიშნული საკითხები სცდება სოციალური მეცნიერების ფარგლებს. მაგრამ რაც შემიძლია და რასაც გავაკეთებ, არის იმ ზოგიერთი ქმედების აღწერა, რომელიც გამოიყენება, როგორც სასჯელი და ზოგიერთი ისეთი ქმედების აღწერა, რომელიც ძალიან ჰგავს ისეთ ქმედებებს, რომელიც სასჯელად გამოიყენება. მე, ასევე განვიხილავ მსგავსი ქმედებების სახეებს/ფორმებს, როდესაც მათ გამოყენებაზე მიდგება საქმე. და ბოლოს, შევაფასებ როგორც ამ ქმედებებს, ისე მათ ფორმებს.

კანონისა და წესრიგის, ასევე სასჯელების პროტაგონისტები მორალიზმის საფუძველზე ცდილობენ თავიანთი მიდგომების გამართლებას და ყველა საწინააღმდეგო აზრის მქონეებს, ღირებულების არ მქონე ვაკუუმში მყოფებად განიხილავენ. სწორედ ამიტომ, მინდა თავიდანვე განვაცხადო, რომ მეც მორალისტი ვარ. მეტიც, მე მორალურ იმპერიალისტი ვარ. ჩემი მთავარი მოწოდება მდგომარეობს შემდეგში: მართებულია იმისკენ მისწრაფება, რომ რაც შეიძლება მეტად შემცირდეს ადამიანის ხელით გამოწვეული ტკივილი. რა თქმა უნდა

არსებობს ამ პოზიციის საწინააღმდეგო პოზიცია. ტკივილი ზრდის/ავითარებს ადამიანს. ისინი უფრო მოწიფულები ხდებიან – მეორედ იბადებიან – უფრო ღრმად აანალიზებენ საკითხებს, განიცდიან უფრო მეტ სიხარულს ტკივილის დაძლევისას და ზოგიერთი რელიგიის მიხედვით ისინი უფრო უახლოვდებიან ღმერთსა და სამოთხეს. ადამიანების ნაწილს ეს ყველაფერი განცდილი გვაქვს საკუთარ თავზე. მაგრამ ჩვენ განგვიცდია საწინააღმდეგოც: ტკივილი, რომელიც აფერხებს ზრდას, ტკივილი, რომელიც აფერხებს ჩვენ განვითარებას, ტკივილი, რომელიც გვაბოროტებს. რაც არ უნდა იყოს, ვერასდროს გავიზიარებ იმ პოზიციას, რომელიც ადამიანის ხელით გამოწვეულ ტკივილს გაამართლებდა. ამას გარდა, ვერ ვხედავ ვერცერთ კარგ არგუმენტს იმისათვის, რაც ტკივილის მიყენებას სწორ ან ბუნებრივ მოვლენად აქცევდა. იქიდან გამომდინარე, რომ საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია და მე მიწევს არჩევანის გაკეთება, მე ვერ ვხედავ სხვა პოზიციას გარდა ტკივილის შემცირების მხარდაჭერისა.

შესაბამისად, ერთ-ერთი მთავარი წესი იქნება შემდეგი: ეჭვის არსებობისას, ნუ მიაყენებ ტკივილს. სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი წესი იქნება: მიაყენე, რაც შეიძლება ნაკლები ტკივილი. ეძიეთ სასჯელის ალტერნატივები და არა მხოლოდ ალტერნატიული სასჯელები. ყველა შემთხვევაში არ არის აუცილებელი რეაგირება; ქმედების ჩამდენმა და ხალხმა ისედაც იცის, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგო იყო. მომეტებული დევიაცია გამოხატულებითია, საკმაოდ მოუხერხებელია მასზე ადეკვატური პასუხის მოძებნის მცდელობა. დაე დანაშაული იყოს მაშინ ნამდვილი დიალოგის საწყისი წერტილი და არა მასზე მოუქნელი პასუხი, ტკივილის სახით. სოციალური სისტემები უნდა მოეწყოს ისეთი სახით, რომ სხენებული დიალოგი შესაძლებელი იყოს. მეტიც, ზოგიერთი სისტემა მოწყობილია იმდაგვარად, რომ იქ მრავალი ქმედება დანაშაულად ითვლება. სხვა სისტემებში ზუსტად იგივე ქმედებები არა დანაშაულად, არამედ არსებულ ინტე-

რესებთან კონფლიქტში მყოფ ქმედებად ითვლება. იმისათვის, რომ შემცირდეს ადამიანის ხელით გამოწვეული ტკივილი, უპირატესობა სწორედ მეორე ტიპის სისტემებს უნდა მიენიჭოს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩემი პოზიცია შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: სოციალური სისტემები უნდა ჩამოყალიბდეს იმდაგვარად, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სოციალური კონტროლის მიზნით ტკივილის მიყენების საჭიროება. სევდა გარდაუვალია, მაგრამ არა ადამიანის ხელით შექმნილი ჯოჯოხეთი.

თავი 2

სიყვავი, ნობონს ფანი

სისხლის სამართლის ძირითადი ფენომენი ადვილად დავიწყებადა.

თუ დამკრძალავი ბიუროს თანამშრომელი თავის თავზე აიღებს იმ სევდას, რასაც იგი ყოველდღიურად აწყდება, თუ იგი მას გაითავისებს, მას მალე ახალი სამუშაოს მოძებნა მოუწევს. იგივე შეიძლება ითქვას ყველა იმ ადამიანზე, რომლებიც მუშაობენ ან სამსახურებრივად დაკავშირებული არიან სასაჯელაღსრულების სისტემასთან. ჩვენ სამსახურთან დაკავშირებული საკითხების შეპირისპირება საკმაოდ რთულია. ჩვენ, სამსახურთან დაკავშირებულ სტრესთან გასამკლავებლად, დაკისრებულ მოვალეობებს ვაქცევთ რუტინად ისე, რომ ჩვენ წინაშე დაყენებული საკითხების მხოლოდ მცირე ნაწილს ვულრმავდებით და დისტანცირებულები ვართ კლიენტებისგან, ანუ არ ვცდილობთ საკითხი კლიენტის პერსპექტივიდან დავინახოთ.

სიტყვები საკმაოდ კარგი საშუალებაა ჩვენი საქმიანობის ხასიათის დასამალად. დამკრძალავ ბიუროებს მაგალითად, გადარჩენის მიზნით იდეალური ლექსიკონი აქვთ შემუშავებული. გარდაცვლილმა „დაისვენა“ ან „მიიძინა“, მისი ტანჯვა დასრულდა, მისი სხეული ისევ გალამაზებულია და აშშ-ში, ქელეხი ორგანიზებულია დამკრძალავი ბიუროს პროფესიონალების მიერ.

ჩვენც იგივეს ვაკეთებთ დანაშაულის მაკონტროლებელ სისტემებში. როგორი დამახასიათებელია, რომ ამ თავში მე ორჯერ ვიხმარე

სიტყვა „კლიენტი“ იმ ადამიანის აღსაწერად „რომელიც უნდა დაისაჯოს“. „კლიენტი“ შესაბამისი ტერმინია, ძველ დროში მას მოიხსენიებდნენ, როგორც „დამოკიდებულს“ ანუ ადამიანს, რომელსაც ჩვენ, დახმარებას ან სხვა სახის სერვისს ვთავაზობთ. საკუთრივ სასჯელალსრულების დაწესებულებებში, მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში მაინც, ისინი მოხსენიებულ არიან როგორც „მოზინადრები“ (inmate) და არა როგორც „პატიმრები“ (prisoners). მათი ოთახი ციხეში მოხსენიებულია როგორც „ოთახი“ (room) და არა, როგორც „საკანი“ (cell). თუ იგი წესრიგს დაარღვევს, იგი გადაყვანილ იქნება „სამართლო ოთახში გამოსასწორებლად“ (single-room-treatment). პრაქტიკულად კი, ეს უკანასკნელი ნიშნავს, სამართლო საკანს ავეჯის გარეშე. ჩემს ქვეყანაში სასჯელალსრულების დაწესებულებების თანამშრომლებს ჰქვიათ *“betjent”*, რაც მსახურს ნიშნავს. ისინი არ მოიხსენიებიან ბადრაგებად *“guards”*. მაგრამ ჩვენ ძალიან ზომიერები ვართ ეფემიზმის გამოყენებასთან დაკავშირებით ნორვეგიის სასჯელალსრულების სისტემის მაღალ პოზიციებთან მიმართებით. ჩვენ ციხის დირექტორებს ვეძახით იმას, რაც არიან – „ციხის დირექტორებს“; ჩვენ ციხის უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს „ციხის საბჭოს“ (prison board) ვეძახით. შვედეთში მაგალითად, სასჯელალსრულების დაწესებულების მაღალ პოზიციაზე მყოფ თანამშრომლებს *“Kriminalvård-syrelsen”*. *“Vård”*-ი ასოცირდება მეტავალყურესთან. დანიაში სისტემის დირექტორს, დანაშაულის კონტროლის დირექტორი ჰქვია – *“forsorg”*. აღნიშნულ სიტყვას ჩვენ ვიყენებთ იმ ადამიანების აღსაწერად, რომლებსაც ზრუნვა ესაჭიროებათ, მაგალითად, ავადმყოფი, მოხუცი, ღარიბი, მცირეწლოვანი და ა.შ. სოციალური უსაფრთხოების პროგრამების დანერგვასთან ერთად, ტერმინი *“forsorg”*-ი ამ მნიშვნელობით, ხმარებიდან იქნა ამოღებული. შესაბამისად, ახლა იგი გა-

¹ ამ სიტყვის ზუსტი თარგმანი არის: ბინადარი, მცხოვრები, მოზინადრე, მოსახლე, მკვიდრი, ხოლო კონტექსტუალურად იგი პატიმარს უთანაბრდება.

მოიყენება ახალი მნიშვნელობით, იმ პირის საქმიანობის აღსაწერად, რომელიც სასჯელის აღსრულებას მეთვალყურეობს.

იბადება კითხვა, რომელ სიტყვებზე უნდა შევამჩროთ არჩევანი?

კეთილი სიტყვები უამრავ კეთილ ფიქრს ბადებს. პატიმრები გაცილებით უკეთ გრძნობენ თავს, როდესაც მათ გამუდმებით არ ახსენებენ მათ სტატუსს და უწოდებენ „პატიმრებს“, არ ეუბნებიან: „მოათავსეთ საკანში“ ან „გადაიყვანეთ კარცერში“. იქნებ მათ უკეთ იგრძნონ თავი, თუ მათ ყოველდღიურ ქცევაზე კონტროლს „ბადრაგი“ არ განახორციელებს ან „ციხის დირექტორი“ აღარ იქნება მმართველი. იქნებ ასეთ დროს მათ უფრო ნაკლებ სტიგმატიზირებულად იგრძნონ თავი. იქნებ ისინი უფრო მეტ მომსახურებასა და დახმარებას მიიღებენ, თუ სისტემას ნაცვლად ციხისა, „forsorg“-ი ერქმევა. იქნებ კეთილი სიტყვები, უკეთეს სამყაროს ქმნის. მაგრამ საკითხავი აქ ის არის, გაითავისებენ თუ არა კეთილი სიტყვების მნიშვნელობას ვისაც ძალაუფლება უპყრია ხელთ. მწუხარების გამოხატვას (კეთილი სიტყვებით) ცხადია არ კრძალავენ ისინი, ვისაც სინანულის განცდა აქ დაუფლებული. ვინც ამას კრძალავს არის საზოგადოება, დამკრძალავი ბიუროს დირექტორების სახით. როგორც ჯოფრი გორერი (1965) უთითებს: ჩვენი ტიპის საზოგადოებებში მწუხარებისა და სინანულის გამოხატვა მკაცრად ტაბუდადებული საკითხია. ადამიანის განცდილი ტანჯვა ან წუხილი გამოხატული უნდა იყოს ზომიერად და ისიც მხოლოდ მცირე დროის მონაკვეთში. აღნიშნული წარმოადგენს საუკეთესო ალტერნატივას გარდაცვლილის ნათესავებისა და ახლობლების მიმართ. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს საუკეთესო შესაძლებლობას სხვებისთვისაც, რადგან არავის სიამოვნებს მის გარშემო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მწუხარებისა და ტანჯვის აურის ყურება.

სიტყვებისა და ცერემონიების წყალობით, მწუხარება საერთოდ გაქრა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ამის მსგავსად, გაქრა, თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული ტკივილიც. როდესაც სასჯელად ვიყენებდით გაროზგვას, დანაწევრებას ან სიკვდილით

დასჯას, სასჯელთან დაკავშირებული ტკივილი აშკარა იყო (საზოგადოების იმ უზნეო ნაწილის გამოკლებით, რომელიც ატყუებდა სისტემას და სიკვდილით დასჯის ნაცვლად ისინი ყველაზე მძიმე ცოდვას – თვითმკვლელობას ჩადიოდნენ). მძიმე ჯაჭვით დაბმული მსჯავრდებული დევრადაციის სიმბოლო იყო. სწორედ ზემოაღნიშნული სასჯელის სახეები იყო მწუხარებისა და ტანჯვის ცხადი სურათი. დღეს ზოგიერთი სასჯელალსრულების დაწესებულება თანამედროვე სასტუმროს ჰგავს, სხვები საუნივერსიტეტო კამპუსებს. წესიერი საკვები, სამუშაო და განათლება, ცოდვილ დანიაში ქალები და კაცები ერთ დაწესებულებაში ჰყავთ, ხანგრძლივი პაემნები შვედეთში, ყველაფერი ეს ემსგავსება შვებულებას, მოწყობილს გადასახადის გადამხდელი კანონმორჩილი მოქალაქეების ხარჯზე.

ამასთან ერთად ტკივილისა და ტანჯვის ფენომენი ძალიან ახლოს არის გაქრობასთან, მათ შორის სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებშიც. სახელმძღვანელოების უმეტესობა ცხადად უთითებს, რომ სასჯელი არის ბოროტება და გამოიყენება, როგორც სიბოროტე. მაგრამ თანამედროვე ტექსტები არ შედიან ამაზე მეტ სიღრმეში. იმასთან შედარებით, თუ როგორ ზედმიწევნით იკვლევენ მსგავს წიგნებში მთელ რიგ საკითხებს, გასაკვირია, თუ რატომ უთმობენ ნაკლებ ყურადღებას სისხლისა და სასჯელალსრულების სამართლის უმთავრეს ფენომენს – სასჯელს. კერძოდ, არ ხდება იმის ანალიზი თუ რა ტკივილს იწვევს სასჯელი, რა შეგრძნება აქვთ იმ ადამიანებს ვის მიმართაც გამოიყენება სასჯელი, ტანჯვა და მწუხარება, რაც სასჯელს ახლავს, ეს არის სწორედ სასჯელთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებზეც ყურადღება თითქმის არ მახვილდება. აღნიშნული არ ხდება უყურადღებობის გამო, შესაბამისად, სწორია ის შენიშვნა, რომ ამ სფეროში მომუშავე მეცნიერები კონკრეტულად უნდა აღწერდნენ მათ საკვლევ საკითხებს. სიტყვა “penal“-ი მჭიდროდ არის დაკავშირებული ტკივილთან. მსგავსი მნიშვნელობა უფრო ნათლად იკვეთება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ვიდრე გერმანულ/სკანდინავიურ

ენებზე, სადაც ჩვენ ვსაუბრობთ *“Strafferett”* ან *“Straf-recht”*, რაც სიტყვასიტყვით „სასჯელის სამართალია“. მაგრამ ორივე ენათა ტრადიციულ ჯგუფზე საუბრისას უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ სფეროში მოქმედ ძირითად სამართლის დარგს „ტკივილის სამართალი“ (pain law) უნდა ერქვას. მე ასეც გავაკეთე და ამიტომაც ვამბობ. სისხლის სამართლის პროფესორებს რა თქმა უნდა არ მოსწონთ, როდესაც მათ „ტკივილის სამართლის“ პროფესორებად მოიხსენიებენ. მოსამართლეებს არ მოსწონთ სასჯელის ნაცვლად ტკივილის დანიშვნა. მათ ურჩევნიათ დანიშნონ სხვადასხვა ფორმით გამოხატული სასჯელი. სასჯელალსრულების დაწესებულებებს არ მოსწონთ, როდესაც მათი საქმიანობა „ტკივილის მიმყენებელი“ დაწესებულების საქმიანობასთან ასოცირდება. მიუხედავად ამისა, მსგავსი ტერმინოლოგია რეალურად იქნება ზუსტი გზავნილის მატარებელი: სისხლის სამართლის სისტემის მიერ ადმინისტრირებული სასჯელი სხვა არაფერია თუ არა შეგნებულად ტკივილის მიყენება. სასჯელი გამოიყენება იმ მიზნით, რომ მისი ადრესატი დაიტანჯოს. თუ ადამიანები სასჯელით მიიღებდნენ სიამოვნებას, მაშინ ჩვენ შეეცლიდით მეთოდებს. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინსტიტუტები მოწყობილია იმდაგვარად, რომ მათი ამოქმედებით ადრესატებმა უარყოფითი ცვლილება იგრძნონ, ისეთი რამ, რაც ამავედროულად მტკივნეულიცაა.

დანაშაულის კონტროლი იქცა სუფთა, ჰიგიენურ საქმიანობად. ტკივილი და ტანჯვა გაქრა სასწავლო წიგნებიდან. მაგრამ არ გამქრალა მათთვის ვის მიმართაც გამოყენებულია სასჯელი. სასჯელის ადრესატები ისევ ისე არიან, როგორც იყვნენ: შეშინებულები, დარცხვნილები და უბედურები. როგორც წესი, ტკივილი დამალულია დიდი ფასადის უკან, მაგრამ, როგორც მრავალი კვლევა ცხადყოფს, იქ შელწევა საკმაოდ ადვილია. მართა ბაუმი დეტალურად აღწერს, თუ როგორ გადაიტყვიან ხოლმე „პატარა მოხუცი კაცები“ უფრო პატა-

რებად, როდესაც დადგებიან ფაქტის წინაშე, რომ რეალურად დედასთან არ მიდიან სახლში (იხ. ვილერი 1968). კოენი და ტეილორი (1972) აღწერენ „ფსიქოლოგიური გადარჩენის“ ხერხებს. ასეთი გადარჩენის ხერხები არ იქნებოდა საჭირო, ტანჯვა რომ არ არსებობდეს. მთელი მათი წიგნი არის ერთი სევდიანი ისტორია იმ ადამიანების წარმატებების შესახებ, რომლებსაც გამიზნული აქვთ ტანჯვის გადარჩევა სხვებზე. ასევეა საიქსიცი (1958), რომელიც „თავისუფლების აღკვეთის ტკივილების“ ფენომენს აღწერს და რაც თავად პატიმრების მონათხრობიდან გამომდინარეობს. ქვემოთ გთავაზობთ ადამიანის ინტერვიუს დანიური გაზეთის „ინფორმაციის“ (1979 წლის 11 დეკემბერი) ჟურნალისტთან ინგერ ჰოლტ-მეელანდთან, რომელიც იხსენებს მის მიერ გატარებულ დროს კასტროს რეჟიმის ერთ-ერთ ციხეში. ის იხსენებს:

მე შევეცდები, რაც შეიძლება ნათლად გადმოგვით, თუ როგორ გადის დრო ციხეში, პატიმრისთვის. წარმოიდგინეთ პირველი წელი, როდესაც ციხეში ყოფნის ბნელი დღეები ფერადდებოდა ბავშვების ვიზიტით. ისინი მოდიოდნენ, დარბოდნენ, მათ მოჰყვებოდნენ ახალგაზრდა, ლამაზი ქალბატონები... ისინი სწრაფად მოძრაობდნენ... მათ უკან შედარებით ნელა მოდიოდნენ მშობლები, დედამამიშვილები მძიმე ჩანთებით დატვირთულნი. რამდენიმე წლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ახლა რამდენიმე ახალგაზრდა მოდის პირველი, ისინი აღარ არიან ბავშვები, ისინი არიან 12, 13 და 14 წლის ახალგაზრდები, მათ მოყვებათ საშუალო ასაკის ქალბატონები სხვანაირი მიხვრა-მოხვრით, სხვა გამომეტყველებით... და ისინი ვინც ადრე იყვნენ 40 ან 50 წლის ახლა 60 წლის ან მეტის არიან, ისინი სულ ბოლოს კიდევ უფრო ნელა მოძრაობენ... და იქიდან გამომდინარე, რომ შეცვლილია სტუმრობის ხასიათი, შეცვლილია, ასევე მათი ტანსაცმელიც, ადამიანები ატარებენ უფრო მუქ ტანსაცმელს, ისინი უფრო ნაკლებს ჟესტებს იყენებენ, რიხიანი ხმები გამქრალია, ხუმრობები გამქრალია, ანეგდოტები და სხვა ისტორიები გამქრალია, საუბარი მხოლოდ ძირითად საკითხებს შეეხება. ვიზიტი უფრო სევდიანი და მოსაწყენი ხდება, დიალოგები უფრო პატარა, არსად ჩანს მხიარულება და რაც შეეხებათ თავად პატიმრებს, მათი თმა სულ გათეთრებულია, მათი სახეები დანაოჭებულია, მათი კბილები დაცვნილი...

ამ ადამიანმა 18 წელი დაჰყო კედლის მეორე მხარეს (ციხეში). მაგრამ ჩვენ სკანდინავიაში ადვილი გამოსავალი გვაქვს ნაპოვნი. ჩვენ შეგვიძლია თავი დავიმშვიდოთ იმით, რომ „ჩვენთან ეს ასე არ ხდება“, „არა ასეთი ხანგრძლივობით“, „უმეტეს შემთხვევაში, ამხელა დროით არავის აღუკვეთავენ თავისუფლებას“. რაც მართალია. მაგრამ მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე.

თუ ჩვენ შევიწუხებთ თავს და შევალწევთ სკანდინავიური დიზანის ფსაადის მეორე მხარეს და შევხვდებით, იდეაში „შვებულებაში“ მყოფ ადამიანებს დავინახავთ, რომ თანამედროვე სკანდინავიური დიზანის მქონე ციხეებშიც ზოგიერთი (უფრო ნაკლები) ადამიანი თავს ისევე საშინლად და საბრალოდ გრძნობს, როგორც ეს ძველი ფილადელფიის დიზანის მქონე ციხეებში ხდებოდა. მართლაც, როგორ შეიძლება ეს სხვანაირად იყოს? ყველა პატიმარი იზიარებს ადამიანების უმეტესობის ღირებულებებს. ისინი ხვდებიან, რომ წარსდებიან მოსამართლის წინაშე და ხვდებიან კედლის იქით (ციხეში), ისეთი ქმედებების გამო, რომლის გამოც თავს დარცხვინილად უნდა გრძნობდნენ. თუ მათ თავიანთი ქმედების გამო არ რცხვინიათ, იმის გამო მაინც იქნებიან დარცხვინილი, რომ მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდნენ. და თუ ამისაც არ რცხვინიათ, მაშინ იმ მარტივი ფაქტის გამო მაინც გამოთქვამენ სინანულს, რომ ცხოვრება მათი აქტიური მონაწილეობის გარეშე გრძელდება.

წერის პროცესში, ნათელი მაგალითი, თუ რას არ აქცევენ ყურადღებას სისხლის სამართლის პროფესორები, ჩემი ფოსტით მივიღე. ჟურნალი Nordisk medisin (1980), მისი მარტის გამოცემის უდიდეს ნაწილს ტკივილის საკითხის მიმოხილვას უთმობს. მთელ პირველ გვერდზე განთავსებულია აგონიაში მყოფი ადამიანის სახე და ტექსტის შინაარსი ეძღვნება ტკივილის შემსუბუქებას. რედაქტორის სტატია (Lindblom 1980, p. 75) ამბობს:

იმისათვის, რომ წავახალისოთ და კოორდინაცია გავუწიოთ ტკივილის საკითხის კვლევას და გავაუმჯობესოთ სწავლებანი კვლევის შედეგების მიხედ-

ვით, ახალი ინტერდისციპლინური ორგანიზაცია შეიქმნა. მისი დასახელებაა „ტკივილის შესწავლის საერთაშორისო ასოციაცია“.

ამერიკული გამოცდილების შედეგად, გამოიკვეთა მძიმე ტკივილთან გამკლავების ახალი გზები, განსაკუთრებით ქრონიკული კონდიციებისა, რომლებზეც ტკივილის გამომწვევი მიზეზების განკურნება შეუძლებელია. ტკივილის ინტერდისციპლინური მკურნალობა ისეთი ტიპის ტკივილის-კლინიკებში, როგორცაა აშშ-ში, ინგლისში და ევროპის სხვა ქვეყნებში, ჯერაც უცნობია სკანდინავიისთვის...

ხსენებული კვლევა ინტერდისციპლინურია. შეიძლება კაცმა იკითხოვს, რა მოხდება მაშინ თუ სისხლის სამართლის ექსპერტებიც ჩაერთვებიან ამ კვლევაში. დაიწყებენ თუ არა ისინი შედარებებს და შეეცდებიან თუ არა ჩამოაყალიბონ სხვა ქვეყნების ნეგატიური მიდგომები? შესაბამისად, პენოლოგებმა შეიძლება ისწავლონ ტკივილის გამომწვევის უფრო ეფექტური გზები, ხოლო ექიმებმა ტკივილის თავიდან აცილების უფრო ეფექტური საშუალებები.

მაგრამ რა თქმა უნდა ჩვენი კულტურის პენოლოგები იუარებენ „ტკივილის შესწავლის საერთაშორისო ასოციაციაში“ გაწევრიანებას. ისინი მსგავსი შეთავაზებითაც კი გაღიზიანდებიან. მათი მონაწილეობა ნათელს მოჰფენდა ბუნდოვანებას. ისეთ საზოგადოებებში სადაც მოქალაქეთა უმეტესობა განწირულია ტკივილისთვის, ტკივილის მიყენებასთან დაკავშირებული პრობლემები მინიმალურია: ტკივილი დედამიწაზე, ტკივილი ჯოჯოხეთში. მაგრამ ჩვენი საზოგადოება ასეთი არ არის. ჩვენ გავაუქმეთ ჯოჯოხეთი და უმთავრეს მძინად დედამიწაზე ტკივილის შემცირების მცდელობა დავისახეთ. ასეთ საზოგადოებებში რთულია ადმინისტრაციის განზრახ სათანჯველად განწირვა.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვიმეტებთ ადამიანებს. ჩვენ მათ განზრახ ვაყენებთ ტკივილს. მაგრამ ჩვენ ეს არ მოგვწონს. სწორედ ამიტომ ვარჩევთ სიტყვებს და ჩვენ მიერ შერჩეული სიტყვების ნეიტრალიზაციის ტაქტიკა გვატყუებს; სამართლის პროფესორების მიერ ტკივილის საკითხის არასათანადო და არასიღრმისეული შესწავლაც

იგივეზე მიუთითებს. ჩვენ არ მოგვწონს ეს აქტივობა, რადგან ტკივილის განზრახ მიყენება აშკარა შეუსაბამობაა ჩვენი საზოგადოების სხვა ძირითად აქტივობებთან.

ამ წიგნში მე ხშირად ვიყენებ სიტყვებს „ტკივილის მიწოდება/განაწილება“ (pain delivery). მაგრამ დიდი ძალისხმევა დამჭირდება იმისთვის, რომ აღნიშნული ფორმულირება ამოვიღო ხმარებიდან. ჩემმა კეთილმა და მაღალ კვალიფიციურმა ინგლისური ენის მრჩეველმა დამარწმუნა, რომ მსგავსი ტერმინი არ არსებობს. ტკივილის მიწოდება, რძის მიწოდებას/მიტანას ჰგავს. საშინელი ტერმინია. მაგრამ მე საწინააღმდეგოს ვგულისხმობდი: ეს რძის მიწოდებას/მიტანას ჰგავს. იდეალურია. ეს სიტყვა ზუსტად იმას ფარავს რაც მე მაქვს გამიზნული. თუ ტკივილის მიწოდება არ არის სიტყვა ოქსფორდის ინგლისურის მიხედვით, ის ნამდვილად გახდება. ტკივილის მიწოდებაა სწორედ ის ცნება, რომელიც ჩვენ დროში დაემსგავსა მშვიდ, ეფექტურ და ჰიგიენურ ქმედებას. დანახული მათი პოზიციიდან ვინც ახორციელებს ამ სერვისს, ეს არ არის არც პირველი და არც მთავარი დრამა, ტრაგედია, თუ, ინტენსიური ტანჯვა. ტკივილის მიყენება შეუსაბამობაა ძირითად იდეალებთან, მაგრამ მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს იმ უცოდველი ან შეურაცხმყოფელი სიტუაციების საპასუხოდ, რომელიც კონფლიქტში ცალკეულ ღირებულებებთან. შედეგად, სასჯელთან დაკავშირებული ტკივილები რჩება სასჯელის მიმღებს. სიტყვებისა და სამუშაო პრაქტიკების ზედმიწევნით შერჩევის, ასევე შრომის განაწილების ხარჯზე, ტკივილის მიყენების პროცესი სხვა არაფერია, თუ არა საქონლის/პროდუქტის მიწოდება.

თავი 3

დანაშაული, როგორც განკუთვნილი საბანი

3.1 აღკვეთის მიზანიდან საფრთხის შექმნა

სკანდინავიელებს ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვთ. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ჩვენ არ მოვიხმართ ბევრს, მაგრამ ჩვენ მოვიხმართ ისეთ სიტუაციებში და ისეთი ფორმით, რომელიც ალკოჰოლის მოხმარებლებს საშუალებას აძლევთ ადვილად აარიდონ თავი სოციალური კონტროლის ჩვეულებრივ საშუალებებს. ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ ჩვენ საზოგადოებაში ალკოჰოლის მოხმარება და ალკოჰოლის მოხმარების კონტროლი დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს. აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან და რთულ პრობლემას: მრავალი უბედურების აშკარა გამომწვევ მიზეზს. რთულია იმიტომაც, რომ ჩვენ გვინდა პრობლემის თავიდან არიდება და არა ალკოჰოლის. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძლებთ, ისევე, როგორც ჰეროინის შემთხვევაში ვერ შევძლებთ, რომ ნივთიერება მთლიანად ავკრძალოთ. შედარებისთვის, უმეტეს ნარკოტიკულ საშუალებასთან მიმართებით არსებობს ტიტოტალიზმის (ანუ ყველანაირი ნარკოტიკისგან თავის შეკავების პრინციპი) სახელმწიფო პოლიტიკა, რაც იმას გულისხმობს, რომ თუ არ ჩავთვლით სამედიცინო მიზნით ნარკოტი-

კული საშუალების მოხმარებას, ნარკოტიკული საშუალებები აკრძალულია. მაგრამ როდესაც საქმე მიდგება ალკოჰოლზე, მსგავსი ტიპის კონტროლი შეუძლებლად გამოიყურება. ალკოჰოლის შემთხვევაში, ჩვენ ვმოქმედებთ იმ ვარაუდით, რომ პრობლემა არა ნივთიერებაში – ალკოჰოლშია, არამედ ცალკეული კატეგორიის მომხმარებელშია. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა ჩვენ უამრავი წესი და რეგულაცია გვაქვს ალკოჰოლის გაყიდვასა და მიღებასთან დაკავშირებით. დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნივთიერების ნაწილობრივ კონტროლის მიზნით, ჩვენ ვცდილობთ ზოგიერთი იმ კატეგორიის ადამიანის კონტროლს, რომელსაც არ შეუძლია „მშვიდად დაღვება“.

ალკოჰოლის მომხმარებლების კონტროლის მცდელობა ქუჩიდან დაიწყო. ნასვამი ხალხი ქუჩაში არასიამოვნო შესახედავი იყო და ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას იწვევდა. მსგავსი ქმედების აკრძალვის მომხრეებისთვის ეს არგუმენტი პედაგოგიურ მაგალითს წარმოადგენდა, ხოლო მომხმარებლებისთვის იგი შემაცბუნებელი იყო. სწორედ ამ მსჯელობის საფუძველზე გადაწყდა, რომ მომხმარებლები ქუჩაში აღარ უნდა მდგარიყვნენ. აღნიშნული რა თქმა უნდა არ იყო ადვილი საქმე, გამოდიოდა, რომ მომხმარებლების ქცევა იმდენად შემაწუხებელი გახდა, რომ ამისთვის გათვალისწინებული იყო სასჯელი ისეთი ფორმით, რომელიც მომხმარებლებს ქუჩას ჩამოაშორებდა საკმარისი დროის მანძილზე.

თუ რამის გაკეთება არ გამოდის სასჯელის დაწესებით ან გამოყენებით, მაშინ შეიძლება მას დაერქვას არა სასჯელი, არამედ მკურნალობა. მკურნალობაც შეიძლება მტკივნეული იყოს, ისევე, როგორც უამრავი სამკურნალო საშუალებაა მტკივნეული. თუმცა ეს ტკივილი განკუთვნილია არა ტკივილად (სასჯელის კონტექსტში), არამედ განკუთვნილია სამკურნალო საშუალებად, რომელსაც მოჰყვება ტკივილი. გამოდის, რომ ტკივილი გარდაუვალია, მაგრამ ეთიკურად გამართლებული. ეს იდეა 1893 წელს დანაშაულის პოლიტიკის ნორვეგიის ასოციაციის (Norwegian Association for Criminal Policy) შეხვედ-

რაზე ჩამოყალიბდა და მხოლოდ რამდენიმე წელი დასჭირდა პარლამენტს ამ კანონის მისაღებად. კანონი შესაძლებლობას იძლეოდა სამკურნალოდ გაეგზავნა ადამიანი, რომელიც არაერთგზის იყო შემჩნეული ქუჩაში სმისთვის. სამკურნალოდ განთავსების გამართლება იმაში მდგომარეობდა, რომ ჯარიმას არ ჰქონდა სათანადოდ შემაკავებელი ეფექტი. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ სამკურნალოდ განთავსების ხანგრძლივობა განუსაზღვრელი უნდა ყოფილიყო, თუმცა ბოლოს 4 წლიანი ვადა განისაზღვრა. სამკურნალოდ განთავსების დაწესებულებად გამოდგა ყველაზე მკაცრი პირობების მქონე დაწესებულება იმ კუთხით, რომ იგი ტერიტორიულად განთავსებული იყო ყველაზე მიყრუებულ და უზომოდ ქარიან ადგილას. დაწესებულების ერთ-ერთი დირექტორის გადმოცემით უმეტეს შემთხვევაში ამინდი ისეთი ქარიანი იყო, რომ ქათმები მიწაზე იყვნენ დაბმული. იმ შემთხვევაში თუ ადამიანი გამოდიოდა ამ დაწესებულებიდან და განმეორებით ჩაიდენდა აღნიშნულ ქმედებას, იგი კიდევ 4 წლით განთავსებოდა სამკურნალოდ და ასე გაგრძელდებოდა მანამ, სანამ არ განიკურნებოდა.

მსგავსი ღონისძიებები დაინერგა შვედეთში და ფინეთში, მაგრამ არა დანიაში. დანია ალკოჰოლსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს ცენტრალური ევროპის მსგავსად უმკლავდებოდა. ფინეთში უფრო სახარბიელო პირობები იყო შექმნილი იმ მხრივ, რომ სამკურნალოდ განთავსებულ ადამიანს შეეძლო ან დაესრულებინა მკურნალობის კურსი ან მოეთხოვა დეპორტაცია ციმბირში. ბევრი სწორედ ასე იქცეოდა.

თუმცა, ზოგი დაავადება განუკურნებელია. ცნება „განუკურნებელი“ მკურნალობის იდეის ლოგიკური გაგრძელებაა. ზოგიერთ ადამიანი იმდენად არის დაავადებული, რომ იგი ცხოვრების ნორმალურ რიტმს ვეღარ დაუბრუნდება და გამუდმებით სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. ასევეა დანაშაულის კონტროლის სისტემაც, რომელსაც არ შეიძლება ყველა შემთხვევაში უპირობო წარმატება

მოვთხოვოთ. შესაბამისად, ასეთი სისტემებისთვისაც საჭირო იქნება უფრო მყარი დაწესებულებები, განსაკუთრებით ისეთი ადამიანებისთვის, რომლებსაც საშიში დამნაშავეების დიაგნოზი ექნებოდა. რა თქმა უნდა კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ მსგავს დაწესებულებაში ცხოვრება რთული იქნება, მაგრამ რთულია მათთვისაც ვინც განუკურნებელი სენითაა დაავადებული. და საშიში დამნაშავეების მიმართ პოზიტიური ისაა, რომ მათ პოტენციურ მსხვერპლთა ტკივილი იქნება თავიდან აცილებული.

მსგავსმა ხედვამ პიკს შვედეთში მიაღწია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. შვედეთის სისხლის სამართლის კომიტეტი გამოვიდა წინადადებით ძველი სისხლის სამართლის კანონებისა და სასჯელის ცნების გაუქმებით. ამის ნაცვლად, შვედეთს უნდა ჰქონოდა საზოგადოების დასაცავი ღონისძიებების კანონი და არა სასჯელები. თუმცა ეს წინადადება უარყოფილ იქნა.

3.2 ღირი მკვლელობები

წინა საუკუნე იყო მოგზაურობისა და დიდი აღმოჩენების საუკუნე. ლივინგსტონმა თერთკანიანებისთვის, აფრიკა გამოიკვლია, სოციოლოგები ევროპულ ქალაქებში დაბალი კლასების მდგომარეობას სწავლობდნენ. მანქანები უფრო დიდი და მძლავრები გახდნენ. სოფლებისგან განსხვავებით, გაცილებით მეტი მუშა ხელი გახდა საჭირო ქალაქში. ამავე დროს ქალაქებში უფრო გართულდა მასების კონტროლი. მანქანის მძღოლები ერთმანეთთან უფრო ახლოს მოძრაობდნენ, მაგრამ ამავედროულად უფრო დაშორებული იყვნენ ერთმანეთისგან. აუგუსტ სტრინდბერგი, გასული საუკუნის სტოკჰოლმზე საუბრისას (The Maid-Servant's Son 1978) აღწერს, თუ როგორ ცხოვრობდნენ საჯარო მოხელეები, მოქალაქეები, მუშები და მეძავები ერთ დროს ერთიდაიმავე შენობაში. თუმცა, თანდათანობით მათი გზები გაიყო. ვალენშენშტადი (1953) აღწერს იმ დროს, როდესაც ოსლოში,

ვატერლანდში ვერცერთი სრულ ჭკუაზე მყოფი პოლიციელი ვერ შევიდოდა. ეს იყო ჰარლემის მსგავსი უბანი, მტრის ტერიტორია ან სხვა სიტყვებით – სხვების ტერიტორია.

ამავე პერიოდში იტალიაში საქმიანობდა ახალგაზრდა სამხედრო ექიმი, ჩეზარე ლომბროზო. იგი საუბრობს მის 1860 წლის აღმოჩენაზე:

უეცრად, დეკემბრის მოღუშულ დილას, მე ერთ-ერთი ყაჩაღის თავის ქალაში აღმოვაჩინე საკმაოდ გრძელი ატავისტიკური დარღვევები... ხერხემლიანი ცხოველების ანალოგიური. ამ უცნაური დარღვევების ფონზე, მე გავაცნობიერე, რომ დამნაშავეების მახასიათებლების ბუნება და პრობლემა ჩემთვის გადაჭრილი იყო (Radzinowicz 1966, p.29).

ბოლო დროს ამ „ყაჩაღების“ მახასიათებლების თაობაზე კითხვები გაჩნდა. იყვნენ თუ არა ისინი დაბადებით დამნაშავეები, ყაჩაღები? ან აჯანყებული ფერმერები ხომ არ იყვნენ? მართლა იყო თუ არა დამნაშავეობის გამოწვევი მიზეზების საწყისი პოლიტიკური მტრის თავის ქალაში? როგორც არ უნდა ყოფილიყო: შეთანხმდნენ, რომ დანაშაულის გამოწვევის მიზეზების შესახებ პასუხი ადამიანის სხეულში იყო განთავსებული. დამნაშავეები განსხვავდებოდნენ სხვა ადამიანებისგან და მათ სპეციალური მიდგომა სჭირდებოდათ. ცალკეული დამნაშავის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე უნდა მომხდარიყო მათი იზოლირება ან მკურნალობა.

ლომბროზო ფლაგმანი იყო. მის კვალდაკვალ იტალიაში მის იდეებს იზიარებდა ფერი, გერმანიაში ფონ ლიცტი, სკანდინავიაში ბერნარდ გეტცი და სწორედ მათ იდეებს მოჰყვათ სპეციალური რეგულაციები და საშუალებები, რომელიც კონკრეტული კანონდამრღვევის მოთხოვნებზე იყო მორგებული. ჩვენ შემოვიღეთ პრევენციული პატიმრობა, სამეურვეოდ გადაცემა, განუსაზღვრელი სასჯელები, რომლის დროსაც ექსპერტები წყვეტდნენ გათავისუფლების საკითხს, შემოვიღეთ დაწესებულებები ფსიქოპათებისთვის და სპეციალური დაწესებულებები ალკოჰოლიკებისთვის. შედეგად, ლიბერალური სახელმწიფო არც თუ

ისე ლიბერალურად ჩანდა, როდესაც საქმე მეწარმეთათვის თავისუფალი ეკონომიკური პირობების შექმნამდე მივიდა. სატრანსპორტო გზები, რკინიგზა და ლარიბი მოსახლეობის რეგულირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა. მოხდა ამ სფეროში ექსპერტთა ევოლუცია. ინდუსტრიული განვითარებისთვის დევიაციის კონტროლი არსებითი გახდა. მსგავსი ტიპის აზროვნებას ინტელექტუალური საფუძველი სწორედ მე-19 საუკუნეში ჩაეყარა. ტოვ შტენგ დალი აღწერს ამ პროცესებს მის ორ მნიშვნელოვან ნაშრომში (1977, 1978). მსგავს დასკვნებამდე მიდის იგნატიევიც (1978, გვ. 215): „შრომითი დისციპლინის გაძლიერება გამოწვეული იყო თავისუფალი შრომითი ბაზრის შექმნით, ...“.

3.3 იმპერიის დასემა

ბოლო 10 წლის განმავლობაში ზემოთ ნახსენები თითქმის ყველა ღონისძიება გაუჩინარდა.²

1970 წლიდან ჩემს ქვეყანაში ქუჩის მოსახლეობა კვლავ დაშვებულ იქნა ქუჩებში. სპეციალური ღონისძიებების გატარება ფსიქოპათების მიმართ სულ უფრო არაპოპულარული ჩანს. მაგალითად, დანიამ და ფინეთმა საერთოდ გააუქმა მსგავსი ღონისძიებები, ხოლო ნორვეგია და შვედეთი მალე შეუერთდებიან მათ. ბორსტალის დაწესებულებები და სპეციალური არასრულწლოვანთა ცხიები, შვედეთის გარდა ყველგან გაუქმდა. მთავარი გამონაკლისი, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს არის „სახიფათო დამნაშავეები“. დანიას 1978 წლისთვის 20 მსგავსი ტიპის დამნაშავე ჰყავდა, ფინეთს 9. ნორვეგია, ფინეთის

² „დანაშაულის განკურნების“ საშუალებების აყვავებისა და დაცემის შესახებ იმდენი რამ არის დაწერილი დეტალურად, რომ თავს უფლებას ვაძლევ აქ მხოლოდ მცირედით შემოვიფარგლო. განკურნების იდეოლოგიის და მისი შედეგების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ობერტის (Aubert 1958), კრისტის (Christie 1960 a and b), ობერტისა და მათისენის (Aubert and Mathiesen 1962), ბიორესონის (Borjeson 1966), ერიქსონის (Eriksson 1967), ანტილას (Anttila 1967) და ბონდესონის (Bondesson 1974) ადრეულ სკანდინავიურ ნაშრომებში.

მსგავს გადაწყვეტილებას მიიღებს და ფსიქოპატების მიმართ სპეციალური ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკას გააუქმებს. შვედეთში შექმნილმა კომიტეტმა წარმოადგინა წინადადება, რომლის მიხედვითაც სახიფათო დამნაშავეები უნდა გათანაბრებულიყვნენ შეურაცხადებს. მოკლედ, რომ ითქვას ჩვენ ვუბრუნდებით სასამართლოს მიერ დანიშნული განსაზღვრული სასჯელების სისტემას.

აღნიშნული პროცესი გარდაუვალი იყო. პირველ რიგში, ახლად შექმნილი სისტემის შეფარული ბუნება ყველასთვის ნათელი გახდა. ამ სფეროში ჩატარებული კვლევები ერთი მეორეზე მიყოლებით ადასტურებდნენ, რომ სამკურნალო ცენტრები დამნაშავეთათვის სრულებითაც არ ასრულებდნენ საავადმყოფოს ფუნქციებს. რეალურად აღნიშნული დაწესებულებები საეჭვოდ ჰგავდა სტანდარტულ ციხეებს, „სამკურნალო დაწესებულების“ თანამშრომლები ძალიან ჰგავდნენ ციხის თანამშრომლებს და პაციენტები ძალიან ჰგავდნენ მსჯავრდებულებს, მხოლოდ მათ მიმართ გაცილებით ნეგატიური დამოკიდებულება იყო, ვიდრე ჩვეულებრივი მსჯავრდებულების მიმართ. დანაშაულის მკურნალობისთვის დაწესებული განუსაზღვრელი ვადა გაცილებით მეტი ტკივილის მომტანი იყო, ვიდრე ძველი განსაზღვრული ტკივილი.

გარდა ამისა, კვლევებით ასევე დადასტურდა, რომ სამკურნალო დაწესებულება „პაციენტებს“ არც თუ ისე წარმატებით კურნავდა. მკურნალობის იდეოლოგია ძირითად ეფუძნებოდა უტილიტარობასა და მეცნიერულ მიდგომებს. მკურნალობის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული აუცილებელი იყო პაციენტისთვის და ნებისმიერი დამატებითი კვლევისთვის მზად იყვნენ. თუმცა, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული ლიტერატურაში, სამკურნალო დაწესებულებების პოზიტიური შედეგები არანაირი არგუმენტით არ არის გამყარებული. გამონაკლისი სიკვდილით დასჯა, უვადო თავისუფლების აღკვეთა და კასტრაცია, რეციდივიზმის პრევენციისთვის ამაზე ეფექტური სამკურნალო საშუალება არ არსებობს. იმ მცირე შემთხვევებშიც კი, როდესაც ტერმინ მკურნალობას გარკვეული რეალური

საფუძველი გააჩნდა, რეციდივიზმის შესამცირებლად სამკურნალო საშუალებები ეფექტური არასდროს ყოფილა. მასიური ეკონომიკური ანდა სოციალური ქმედებები არასდროს გატარებულა. ღარიბები არ გამდიდრებულან, მუშათა კლასს არ მისცემია საშუალო კლასის სამსახური, უპატრონო არასრუწლოვნებს არავინ დახმარებია მათი ოცნებების ასრულებაში, მარტოხელა ადამიანებს არავინ დახმარებია მყარი სოციალური ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. ეს არც არის გასაკვირი. აღნიშნული მოითხოვს სოციალურ რეორგანიზაციას ისეთ დონეზე, რომელიც კრიმინოლოგიის კვლევის საგანს საგრძნობლად სცილდება.

და ბოლოს, ტერმინი „სახიფათო დამნაშავეები“ არაერთგზის იქნა კრიტიკულად შესწავლილი. როგორც ვონ ჰირში (1972) ასკვნის მის შესანიშნავ სტატიაში, კვლევებმა უჩვენეს ამ ტერმინის ბუნდოვანება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახიფათო დამნაშავეების შერჩევაზე მიდგებოდა საქმე, ანუ ვინ უნდა შესულიყო ამ კატეგორიაში და რა თქმა უნდა აქედან გამომდინარე, მკურნალობის წარმატებაზეც ზედმეტია საუბარი. სკანდინავიელი მეცნიერების კრისტიანსენისა და სხვების (1972), დალგარდის (1966) და შტენგის (1966) კვლევებიც ანალოგიურს ასკვნიან. მთელი რიგი სკანდალებისა, რომლებიც მსგავსი დაწესებულებების გარშემო არსებობს (მაგალითად, ნორვეგიის რაიტგიერდეტის დაწესებულების სკანდალი 1980 წლის შემოდგომაზე და ინგლისის რემპტონის დაწესებულების სკანდალი) ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ საკმაოდ რთულია მორალური კუთხით მათი არსებობის გამართლება.

მეცნიერება არსებობს იმისათვის, რომ წარმოადგინოს არგუმენტები, მაგრამ არგუმენტები საკმარისი არ არის სოციალური ცხოვრების შესაცვლელად. აღნიშნულს კი, მივყავართ მეოთხე საკითხამდე, რომელიც გვეხმარება მკურნალობის იდეოლოგიის კრახის ახსნაში. 1960 წელს, ლეიბორისტებმა მოიპოვეს გარკვეული ძალაუფლება

ან უფრო ზუსტები, რომ ვიყოთ, პათივისცემა. ამ პარტიის სპიკერმა, რომელიც მუშათა კლასის ინტერესების გამტარებელი იყო, თუმცა რა თქმა უნდა თვითონ ამ კლასიდან არ მოდიოდა, განაცხადა თუ რაოდენ დამწუხრებული იყო იმ უთანასწორო და საზიზღარი ღონისძიებებით, რომელიც მკურნალობად მოიხსენიებოდა. აღნიშნულ ღონისძიებებს დადებითი კუთხით არც ის ფაქტი წარმოაჩინდა, რომ ამ ტიპის მკურნალობის მიმღებნი იყვნენ იმ კლასის წარმომადგენლები, რომლებიც პოლიტიკური ძალაუფლების სათავეში უნდა ყოფილიყვნენ. დამატებით, ასევე გამოაშკარავდა პარალელურ რეჟიმში ალტერნატიული ღონისძიებების არსებობის ფაქტიც. ადამიანთა კეთილდღეობაზე დამყარებული სახელმწიფოს იდეაც სწორედ ამ დროს გახდა აქტუალური. ეს უკანასკნელი კი, იმის დასტური იყო, რომ სიღარიბის წინააღმდეგ საბრძოლველად პენსიები და სოციალური დახმარებები უნდა გამოყენებულიყო და არა ციხეები.

თავი 4

ახალი დანაშაულის თავიდან ასილება (დაშინება)

4.1 მსგავსი იდეოლოგიები

როგორც ერთ-ერთი იმათგანი ვინც ხმალამოღებული ებრძვის მკურნალობის იდეოლოგიას სისხლის სამართალში, მე გულისტკივილითა და მღელვარებით ვადევნებ თვალს, როგორ იკავებს ახალი დანაშაულის თავიდან აცილების, ანუ დაშინების, იდეოლოგია (deterrence) მისი კონკურენტის ადგილს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მე ვკითხულობდი ლექციებს მკურნალობის ნაკლოვანებების შესახებ დილის საღეჭციო კურსებზე ოსლოში მაშინ, როდესაც იოჰანეს ანდენაესი³ (1974) საუბრობდა გენერალური პრევენციის შესახებ შუადღის სესიებზე იმავე ოთახში – სმენად ქცეული და მონდომებული აუდიტორიის წინაშე. რა თქმა უნდა ისინი სმენად არიან ქცეული. ეს სტუდენტები ამ კაცისთვის დანაშაულის კონტროლის სისტემის შემადგენელი ნაწილები არიან და მათ სჭირდებათ მკურნალობის იდეოლოგიის

³ იოჰანეს ანდენაესი (Johs. Andenæs) – მკვლევარი, რომელსაც გენერალური პრევენციის იდეების განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. მისი პირველი ნამუშევარი ამ თემაზე დაწერილია 1950 წელს შემდეგი სათაურით: Almenprevensjonen – illusjon eller realitet? (გენერალური პრევენცია – ილუზია თუ რეალობა?). ანდენაესის ნაშრომების უმეტესობა გამოქვეყნებულია ინგლისურ ენაზე წიგნში: Punishment and Deterrence (1974). მეტი კრიტიკული მოსაზრებებისთვის იხ.: Aubert (1954) და Christie (1971).

რაციონალური შემცვლელის შესახებ ინფორმაციის მიღება. კარგი, რაციონალური, მეცნიერებაზე დაფუძნებული შემცვლელის – როგორც მას უწოდებენ ხოლმე. სტუდენტები იღებენ მათ შესახებ ინფორმაციას და იღებენ საკმაოდ დიდი ოდენობითაც. ბოლო წლებში შემუშავდა მნიშვნელოვანი წინდადებები სისხლის სამართლის სისტემაში ცვლილებების განხორციელების შესახებ, როგორც ფინეთში (Straffrättskommitteens betänkande 1976) (Anttila 1977), ისე შვედეთში (Brottsförebyggande Rådet 1977). აღნიშნული წინდადებები მკურნალობის იდეოლოგიას ძალადაკარგულად აცხადებენ. და ორივე მის შემცვლელად ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას – ანუ „გენერალურ პრევენციას“, როგორც ჩვენ მას მოვიხსენიებთ სკანდინავიაში, ასახელებს, როგორც სისხლის სამართლისა და სასჯელის მიზანს. დიქტომიები მართავენ მსოფლიოს. მკურნალობასთან დაკავშირებული იდეები გაუჩინარდა და გენერალური პრევენციის საჭიროება დგას. ჩემთვის აღნიშნული წარმოადგენს შვედეთის „ახალი სისხლის სამართლის სისტემის“ (Brottsförebyggande Rådet 1977) ანგარიშის ყველაზე დიდ სისუსტეს. ისე გამოდის თითქოს მკურნალობა და გენერალური პრევენცია დანაშაულთან საბრძოლველი საუკეთესო საშუალებებია.

ძალიან მარტივია, მაგრამ ამავე დროს სრულიად ბუნებრივია, რომ გენერალური პრევენციასთან დაკავშირებული იდეები ცვლიან მკურნალობის იდეებს. ხშირად აღნიშნულ მიდგომებს განსხვავებულად წარმოაჩენენ ხოლმე, მაგრამ სინამდვილეში მათ საკმაოდ ბევრი საერთო აქვთ. ისინი ორივე ერთიდაიგივე ეპოქის, რაციონალური და საჭირო აზროვნების ეპოქის გამოცხადილს განეკუთვნებიან. მათთვის საერთო მანიპულაციური ელემენტია. მკურნალობა განკუთვნილია დამნაშავის შესაცვლელად, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება (დაშინებით) განკუთვნილია სხვა ადამიანების ქცევის შესაცვლელად. ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს კონკრეტული მიზნის მისაღწევად მიმართული ტკივილი. ორივე შემთხვევაში ვვარაუდობთ, რომ ქცევის გარკვეული ფორმით მოდიფიცირება გვექნება სახეზე.

კიდევ ერთი საერთო მახასიათებელი, რაც ზემოაღნიშნულ ლონსიძეებს აქვთ, არის მათი მყარი კავშირი მეცნიერებასთან. მაგრამ მკურნალობის შედეგების გაზომვა არავითარი ხალისის მომტანი აღარ არის, რადგან ყველა მათგანი ნეგატიურია. სწორედ ამიტომ მკვლევარები „ახალ აღთქმული მიწისკენ გაეშურნენ“. მოხდება თუ არა მკვლევლობის შემცირება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სიკვდილით დასჯას შემოიღებს? მაგალითად, ისააკ ელრიხი (1975) ამტკიცებს რომ, ერთი ადამიანის სიკვდილით დასჯა, 7-8 ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას უტოლდება, მაშინ როდესაც სხვა მეცნიერები იხრებიან ტორსტენ სელინის (1967) მხარეს, რომელიც უთითებდა, რომ სიკვდილით დასჯას არავითარი დამაშინებელი ეფექტი არ ჰქონდა და შესაბამისად, ვერ ამცირებდა მკვლევლობის რიცხვს ქვეყანაში. მკურნალობის შედეგებთან შედარებით, ამ შემთხვევაში პრობლემები უფრო რთულად შესაფასებელია, მაგრამ პრინციპში პრობლემები და ამ პრობლემების შეფასების პოტენციალი მკურნალობასაც და პრევენციასაც მსგავსი აქვთ. მსგავსია, ასევე ის ჯგუფები ვინც მათ ავკარგიანობაზე დებატებში იღებენ მონაწილეობას. იქიდან გამომდინარე, რომ სახეზეა ფაქტის, მეცნიერებისა და სოციალური ინჟინერიის საგანი, ჩვენ ისევ ექსპერტების შეფასებებზე ვართ დამოკიდებული, ისევე როგორც სამომავლოდ ჩვენ „სოციალური ტექნიკოსებზე“ ვიქნებით დამოკიდებული, მათ მიერ ნაჩვენები შედეგების პრაქტიკაში გადასატანად.

მკურნალობის იდეოლოგიისა და პრევენციის მსგავსებებით აიხსნება ის ფაქტი, რატომაც არის ასეთი მარტივი მათი ერთმანეთით ჩანაცვლება. მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული თითქოს მათ არავითარი განმასხვავებელი ნიშანი არ ჰქონდეთ. განსაკუთრებით გამოსაყოფია გენერალური პრევენციის ის თვისება, რომელიც მის სიცოცხლისუნარიანობას უკავშირდება. იგი გაცილებით რთულად საკვლევი საკითხია. პირველ რიგში მისი ძირითადი ცნებებიც კი ბუნდოვნად არის გამიჯნული. აღნიშნულის დასადასტურებლად თქვენ ყურადღე-

ბას იმაზე მივაქცევ, რომ ამ თავშიც კი, საუბარია ან ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაზე, რომელიც თავის თავში დაშინებას გულისხმობს ან გენერალურ პრევენციაზე, ანუ სახეზე გვაქვს ორი ტერმინი. ასეთივე ბუნდოვანებას ვაწყდებით სასჯელების თაობაზე არსებულ ლიტერატურაშიც (cfr Andenæs 1974, დანართი 1). მეტიც, თუ გადავხედავთ ლიტერატურას კარგად გამოჩნდება, რომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და გენერალური პრევენციის სისტემაში, პოლიციის საქმიანობიდან დაწყებული, ჩამოხრჩობით დამთავრებული, ყველაფერი კლასიფიცირებულია, როგორც *სტიმული*. შესაბამისად, შემოძლია ვთქვათ, რომ ყველა ის ელემენტი, რომელიც დამახასიათებელია სოციალური კონტროლისთვის, თავის მხრივ, შესაძლებელია დამახასიათებელი იყოს გენერალური პრევენციისთვისაც. და ბოლოს, მაშინაც კი, როდესაც სტიმული დაყვანილია მართვად პროპორციებამდე, პრევენციის *შედეგების/ეფექტების* გაზომვა, მკურნალობის შედეგების გაზომვასთან შედარებით, გაცილებით პრობლემურია. მიზეზები აქაც მარტივია. მკურნალობის შედეგის გაზომვა მარტივია, რადგან მას ფორმალურად მაინც ჰყავს მკურნალობის მიმღები სუბიექტი, ანუ ვინ არის მკურნალობის სუბიექტი ცნობილია. გენერალური პრევენციისას აღნიშნული მეტად გართულებულია, რადგან სუბიექტია მთლიანი საზოგადოება ან მისი ნაწილი. ამ ადამიანებმა კი, შეიძლება ერთი დანაშაულებრივი საქმიანობა შეცვალონ მეორეთი ან სხვა ქვეყანაში გადავიდნენ საცხოვრებლად ისე, რომ უცნობი იქნება მიიღეს თუ არა მათ გარკვეული დობით ის დამაშინებელი გზავნილი (სტიმული), რაც სხვა დამნაშავის მიმართ გამოყენებულ სასჯელს ახლდა და რაც გენერალური პრევენციის საზრისს წარმოადგენს.

კონცეპტუალურად, ისევე როგორც ემპირიულად, გენერალური პრევენციის იდეები უფრო რთულად განსახორციელებელია, ვიდრე მკურნალობის იდეები. ცნებებთან, სტიმულთან და შედეგებთან დაკავშირებული ბუნდოვანება, ბუნებრივია ართულებს იდეების განხორციელებას. გენერალური პრევენციის თეორია გამყარებულია

მტკიცებებით, რომ მისი საფუძველი მეცნიერებაშია, მაგრამ მისი ემპირიული გამოკვლევა საკმაოდ რთულია. ამ თეორიის სწორედ ეს ზემოაღნიშნული ასპექტები შესაძლებლობას აძლევს გენერალურ პრევენციას შეავსოს ის ცარიელი ადგილი, რომელიც მკურნალობის გაქრობის შემდეგ დარჩება და რომელიც გამოსადეგს ხდის იდეოლოგიას იმ ეპოქაში სადაც ტკივილის მიყენება სხვა მხრივ პრობლემური იქნებოდა. სხვა სიტყვებით, გენერალური პრევენციისთვის ადვილია ტკივილის მიყენების გამართლება.

4.2 უპიანა საკითხის გაუმხინჩება

აშკარაა, რომ სასჯელი მოითხოვს მოქმედებას. ეს ყველასთვის ცნობილია. ჩვენ წითელ ცხელ ღუმელს ხელს არ ვკიდებთ. ჩვენ ვცვლით ქცევას უკეთესობისკენ, თუ ჩვენთვის ძვირფასი ადამიანისთვის ჩვენი საქციელი ტკივილის მომტანია. უმეტესობა იყენებს უსაფრთხოების ღვედს იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოუყენებლობა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ჩვენ, ჩვენი პირადი ცხოვრების შესახებ ცოდნა და გამოცდილება გადაგვაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩემ გამოცდილებას ოჯახში და სამეგობრო წრეში საფუძვლიანობა ემატება მაშინ, როდესაც ვსაუბრობ იმის შესახებ, თუ როგორ ავალბინოთ ხელი ახალი დანაშაულის ჩადენაზე ქურდს, ნარკომანს, მოძალადეს. ღუმელის სიცხელე ხომ არის მისი ხელის დადებისგან პრევენციის საფუძველი, მაშინ რატომ არ შეიძლება დანაშაულის პრევენცია სასჯელით ხდებოდეს?

სინამდვილეში ბევრი მიზეზი არსებობს, რატომაც არ შეიძლება სასჯელი პრევენციის საფუძველი იყოს. საზოგადოებრივ ასპარეზზე უდავოა არსებობს დაუყოვნებლივი კონტროლი და სასჯელი, რომელიც გამოხატულია ფორმალურ სასჯელებში და სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებისგან საკმაოდაა დროში დაშორებული. აქ კითხვები არ ჩნდება იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაულისთვის სასჯელს

იყენებს ის, ვისაც გარკვეული კავშირი აქვს ქმედების ჩამდენთან და თავის მხრივ, ტკივილის მიყენების გარდა აქვს სხვა შესაძლებლობებიც. კითხვები არ ჩნდება მაშინაც, როდესაც დგება სასჯელის გამოყენების ან უმოქმედობის ალტერნატივა, აქ საუბარია დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე სასჯელის ზომის გაზრდაზე ან შემცირებაზე. რომ შევადაროთ ტკივილის თავიდან აცილების თაობაზე ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილება, დანაშაულის გენერალური პრევენციის თაობაზე დებატებს, ჩვენ უნდა გავარკვიოთ მაგალითად, რამდენად შემაკავებელი ეფექტი აქვს 200 გრადუსზე გაცხელებულ ღუმელს, 300 გრადუსზე გაცხელებულ ღუმელთან შედარებით ან მამის მიერ შვილის რამდენიმე წუთიან დატუქსვას, 15 წუთიან დატუქსვასთან შედარებით. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ გენერალური პრევენცია (ახალი დანაშაულის თავიდან აცილება), არ ითვალისწინებს როგორი ტკივილისა და ეფექტის მომტანია სასჯელი, მისი მთავარი საზრუნავია, რომ ბ-ს დასჯით ა-ზე მოახდინოს დამაშინებელი გავლენა. ზოგიერთი ჩვენთაგანი არ არის იმდენად გამჭრიახი, რომ სხვა ადამიანის შეცდომაზე ისწავლოს.

მაგრამ მაინც ცხადია, რომ სასჯელს აქვს პრევენციული/დამაშინებელი ეფექტი. ზოგიერთი ტიპის სასჯელი ზოგიერთ სიტუაციაში, ზოგიერთი ტიპის ქმედების პრევენციას ახდენს. სასჯელის გარეშე, შეიძლება ქაოსმა დაისადგუროს. თუ პოლიციის თანამშრომლები გაიფიცებიან, ამას აუცილებლად მოჰყვება პრობლემები. ეს სავსებით ლოგიკური და გასაზიარებელია. მისი ყველაზე ელემენტარული გაგებით, დაშინების (ახალი დანაშაულის თავიდან აცილება) თეორიის ძირითადი არსი სრულიად გასაგებია. თუ სამართალდამრღვევების მიმართ არავითარი ზომა არ იქნება გამოყენებული, აღნიშნული რა თქმა უნდა გამოიწვევს დანაშაულის რაოდენობის გაზრდას.

მაგრამ ელემენტალური გაგება არ არის საკმარისი გენერალური პრევენციის ანუ დაშინების პრაქტიკაში გამოყენების გასამართლებლად. პრაქტიკაში გენერალური პრევენციის იდეა გამოიყენება მაშინ,

როდესაც პოლიტიკოსებს სჭირდებათ არგუმენტები გაზრდილი სასჯელების გასამართლებლად ან მოსამართლეებს სურთ, რომ იყვნენ განსაკუთრებით მკაცრები. მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ვადის გაზრდა ერთიდან ორ წლამდე. ჩემს ქვეყანაში სასჯელის გამოყენების გამართლების მცდელობის პროცესში, ძალიან ბევრი დასაბუთება იწყება შემდეგი ფორმულირებით: „ვითვალისწინებთ რა გენერალური პრევენციის მიზნებს, მძიმე სასჯელის გამოყენება გარდაუვლად მიგვანჩნა“. აღნიშნული წარმოადგენს მარტივ გამოსავალს, რომელიც დაფუძნებულია შინაგან რწმენაზე და მეცნიერებაზე.

სწორედ აქ ვაწყდებით ძირითად პრობლემას: გენერალური პრევენციის ან დაშინების თეორიები სწორედ მაშინ არის ყველაზე მეტად მისაღები, როდესაც იწყება შემდეგი მსჯელობა – ან ყველაფერი ან არაფერი. თუ სამართალდამრღვევების მიმართ არავითარი ზომა არ იქნება გამოყენებული, აღნიშნული რა თქმა უნდა გამოიწვევს დანაშაულის რაოდენობის გაზრდას. თუ გადასახადებისაგან თავის არიდების მიმართ გამოყენებული იქნება სასჯელის უკიდურესი ზომა, აღნიშნული სავარაუდოდ გამოასწორებს მდგომარეობას. მაგრამ აღნიშნული იდეები არ არის განკუთვნილი მსგავსი მიდგომებისთვის. ამ შემთხვევაში, გენერალური პრევენციის სფეროში, თეორიები და ემპირიული კვლევები ვერავითარ დახმარებას ვერ გვიწევენ. მაგრამ ამ სფეროში მომუშავე პროფესიონალები ხშირად იყენებენ უკიდურეს მაგალითებს და ამით ქმნიან ისეთ წარმოდგენას, თითქოს მნიშვნელოვანი თეორიები და მიღწევები აქვთ. სხვა სიტყვებით, ისინი ტკივილის გადანაწილების პროცესის მცდარ ლეგიტიმაციას ახდენენ. მათ მარტივად შეეძლოთ ეთქვათ: ჩვენ იმ აზრის ვართ, რომ დამნაშაავები უნდა იტანჯებოდნენ. აღნიშნული იქნებოდა განცხადება ღირებულებების შესახებ და ჩვენ ჩავერთვებოდით ტანჯვის შესახებ მორალურ დებატებში, მაგრამ ისინი ამას არ აკეთებენ. ისინი ერთი დამავს იმეორებენ, რომ მკურნალობის იდეოლოგიამ არ გაამართლა

და არ არსებობს მეცნიერული დასკვნა, რომელიც საწინააღმდეგოს მიუთითებდა, სამაგიეროდ არსებობს ემპირიული მტკიცებულებები, რომლებიც გენერალური პრევენციის იდეას ამყარებს. აღნიშნულის დასტურად, ისინი იშველიებენ მთელ რიგ კლასიკურ მაგალითებს ტკივილის ცალკეული სახის პრევენციული ეფექტების შესახებ. ყოველივე აღნიშნულით კი, პრევენციის მომხრეები ქმნიან წარმოდგენას, გაჯერებულს მეცნიერული ტერმინებით, რომ სასჯელის სახის ამორჩევა ეფუძნება გარკვეულ მიზნებს და სასჯელის სხვა მეთოდების არსებობის შემთხვევაში, კრიმინოგენული სიტუაცია სხვაგვარი იქნებოდა. ამით ტკივილს, მეცნიერული ლეგიტიმაცია ეძლევა. ჩვენ ბოლომდე არ ვართ ბედნიერები ჩვენი საქციელით, მაგრამ მეცნიერების სახელით ვინარჩუნებთ მათ!

4.3 ტკივილის გარანტიის რონი

ნორვეგიის ციხის მოსახლეობა 1800 კაცს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ 100 000 სულ მოსახლეზე საშუალოდ 44 პატიმარია. მაგრამ რატომ მხოლოდ 44? რატომ არა 115 პატიმარი 100 000 მოსახლეზე, როგორც ეს ფინეთშია? ან რატომ არ ავიღოთ სხვა უფრო ინდუსტრიული სახელმწიფო? აშშ-ს ნახევარი მილიონი თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებული ჰყავს, რაც ნიშნავს, რომ 100 000 მოსახლეზე 230 პატიმარია. საბჭოთა კავშირს 1,7 მილიონი პატიმარი ჰყავს, ანუ 660 პატიმარი 100 000 მოსახლეზე (Neznansky 1979). მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ უფრო პატარა და მეტად ინდუსტრიალიზებული სახელმწიფო განთავსებული ევროპის შუაგულში საკმაოდ ბევრი ისეთი პატარა პრობლემით, როგორიცაა ნარკოტიკები და სხვა დანაშაულის პრობლემები. ეს სახელმწიფოა ჰოლანდია, 100 000 მოსახლეზე 20 პატიმრით. ეს ციფრი არის ნორვეგიის ნახევარი, მაგრამ მუსტად იმდენივე რამდენიც ისლანდიაშია. ჩვენ სახელმწიფოებს

შორის მსგავსებები შეგვიძლია მოვიძიოთ აღმოსავლეთ ევროპაშიც, სადაც ყველაზე მეტი ციხის მოსახლეობაა საბჭოთა კავშირში და პოლონეთში, ხოლო ყველაზე ნაკლები ჩეხოსლოვაკიაში და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშია.

ისტორიულად ციხის მოსახელობებს შორის ვარიაციები უფრო მკვეთრიც ყოფილა. იმ პერიოდში, როდესაც ჰენრიკ იბსენი უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდას აბარებდა (სხვათა შორის ჩაიჭრა), ნორვეგიას ციხის მოსახლეობა ხუთჯერ აღემატებოდა დანიისას. ფინეთსა და შვედეთს ერთნაირი მაჩვენებლები ჰქონდათ. ჩვენი ციხის მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა საუკუნის მიწურულს, მას შემდეგ კი, იგი დღემდე ერთ დონეზეა. იგი უცვლელია იმის მიუხედავად, რომ დანაშაულის რაოდენობა გაიზარდა, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში გაოთხმაგდა.

ჩვენი მიზანი აქ არ არის ცვლილებების შესწავლა ან არ შესწავლა. ჩვენი მიზანია ავლნიშნოთ, რომ არაფერი ახალი არ არის იმაში, რომ გაიზარდოს რეგისტრირებული დანაშაულების რაოდენობა, მაგრამ ციხის მოსახლეობა დარჩეს უცვლელი. და პირიქით, სავსებით შესაძლებელია შემცირდეს რეგისტრირებული დანაშაულების რაოდენობა ისე, რომ არ შემცირდეს მსჯავრდებულების რაოდენობა. შესაბამისად, აუცილებელი კავშირი დანაშაულის დონეებსა და სასჯელებს შორის არ არსებობს. ადვილი მისახვედრია, რომ ქვეყანაში დანაშაულის მაჩვენებელი დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთის მაჩვენებელთან. მეორე მხრივ, ადვილი მისახვედრია ისიც, რომ სწორედ დანაშაულის გახსნის მაჩვენებელია, ანუ პოლიციის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელება, დანაშაულის დონის განმსაზღვრელი. ეჭვგარეშეა, რომ ისინი ერთმანეთზე ახდენენ გავლენას, მაგრამ თითოეულს საკმაოდ ფართო არეალი აქვს. სწორედ ამ და სხვა მიზეზების გამო, სასჯელის მარტივად გაიგივება ასასარუველ ქმედებათა კონტროლის საშუალებებთან, ნიშნავს მის საკმაოდ შეზღუდულ გაგებას.

4.4 დანაშაულის კონსტრუქციის, ნორმის დანაშაულის კონსტრუქციის მიზანი?

გენერალურ პრევენციაზე ახალი ლიტერატურის გაცნობისას, მკითხველს აუცილებლად გააოცებს ის ფაქტი, თუ რამდენად მარტივად არის ყველაფერი გადმოცემული. მსგავსი სიმარტივე იგრძნობოდა მაშინაც, როდესაც საუბარი მკურნალობის იდეოლოგიას შეეხებოდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნათელი იყო, რომ დამნაშავეები უნდა განთავსებულიყვნენ სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში, მათი შემდგომი ანტისოციალური აქტივობების პრევენციის მიზნით. ახლა კი, ნათელია, რომ მოსახლეობა დაშინდება, სხვა დამნაშავეების ტკივილის შემხედვარე და არ ჩაიდენს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. ისე გამოდის, თითქოს დანაშაულის კონტროლის სისტემის მიზანი დანაშაულის გაკონტროლებაა.

ასე არ უნდა იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, თუ სისტემის მთავარი ფუნქცია გენერალური პრევენცია, ანუ დაშინებაა, მაშინ ჩვენ დანაშაულის კონტროლის სისტემა სხვაგვარად უნდა ჩამოგვეყალიბებინა. თუ სასჯელის მიზანი ადამიანების დამორჩილებაა, მაშინ დანაშაულის კონტროლის სისტემას თითქმის არაფრის გაკეთება არ დასჭირდებოდა სერიოზული დანაშაულების გასაკონტროლებლად. მკვლევლების უმეტესი შემთხვევა დარჩებოდა დასუჯელი, რადგან ყველას ეცოდინებოდა, რომ მკვლევლობა არასწორია და მარტივი ფორმალური პროცედურა ბრალეული პირის გამოსავლენადაც საკმარისი იქნებოდა. სამაგიეროდ, მთელი ყურადღება დაეთმობოდა უფრო ნაკლებად მძიმე ნორმებს. ბოლო პერიოდში ნორვეგიაში, ჩვენ ავკრძალეთ „სკეითბორდების“ გაყიდვა. ამას გარდა, ჩვენ მივიღეთ კანონი, რომელიც ავტომობილის წინა სავარძლებზე ღვედის გაკეთებას ავალდებულებს. სწორედ ასეთ ქმედებებთან დაკავშირებით არის პრევენციის იდეა საინტერესო. დავაწესოთ ამ ქმედებებისთვის სულ რაღაც 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და მიზანიც მიღწეული იქნება. სამაგიეროდ ასეულობით ადამიანის ჯანმრთელობას აღარ დაემუქრება საფრთ-

ხე და 30-ამდე ადამიანის სიცოცხლე იქნება დაცული ყოველწლირად, თუ ღვედის თაობაზე აკრძალვა არ დაირღვევა. ეს ციფრი უტოლდება მკვლევლობების საშუალო წლიურ მაჩვენებელს ჩვენ ქვეყანაში.

მაგრამ ასე მარტივად არ შეიძლება საქმე იყოს.

უფრო რთული მიდგომაა შემოთავაზებული კლასს მეკელას მიერ (1975). ის არის ერთ-ერთი ავტორი ფინეთის სისხლის სამართლის რეფორმისა და მისი მთავარი არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ სასჯელის მიზნად გენერალური პრევენციის ხაზგასმით, უნდა მომხდარიყო პრიორიტეტების სიის შედგენა, რომელიც საზოგადოების ღირებულებებს გაითვალისწინებდა. აღნიშნული საკმაოდ საინტერესო შემოთავაზებას წარმოადგენს და ცოტა ხანში მივუბრუნდები მის განხილვას. მოკლედ, რომ ჩამოყალიბდეს, მეკელას იდეა მდგომარეობს იმაში, რომ რაც უფრო მძიმეა ქმედება მით უფრო მძიმე სასჯელი უნდა გამოიყენებოდეს მის მიმართ. ან როგორც მთავარ შვედურ შემოთავაზებაშია მითითებული: „სასჯელის სიმძიმე ქმედების სიმძიმეზე უნდა იყოს დამოკიდებული“ (გვ. 200). სხვა სიტყვებით, მეტი ტკივილი, მძიმე ქმედებებისთვის.

მაგრამ ვინ უნდა განსაზღვროს ის პრიორიტეტები, რომლებიც ზემოთნახსენებ სიაში უნდა შევიდეს? – ჩემ ქვეყანაში აღნიშნულზე პარლამენტია უფლებამოსილი. პროცესი მარტივია: სისხლის სამართალი ადგენს „ცოდვების“ სიას, პარლამენტი ახდენს მათ კატეგორიზაციას, ალაგებს მათ რანგების მიხედვით და დეტალურად წყვეტს რა ოდენობის ტკივილი უნდა განესაზღვროს კანონდამრღვევს და რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტად არის რანგირებული ქმედება, მით უფრო მეტი ტკივილია მისთვის განკუთვნილი.

კლასს მეკელას მიერ ფორმულირებული პრიორიტეტების სიის იდეამ ამოცანა საკმაოდ გაართულა. მისი მოსაზრებით, მიზანია არა მხოლოდ დანაშაულის კონტროლი, არამედ იმ ღირებულებებისადმი პრიორიტეტების მინიჭება, რომელიც ჩადებულია სისხლის სამართლის კანონში. აღნიშნულს ითვალისწინებს, ასევე შვედეთის წინადადება

„ახალი სისხლის სამართლის სისტემა“. მთავარი მიზანია არა კონტროლის საჭიროება, არამედ იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოპყრობას იმსახურებს ქმედება, რაც თავის მხრივ, ამ ქმედებისთვის სასჯელის სიმძიმის განმსაზღვრელი იქნება – „კონკრეტული ქმედებისთვის დამდგარი შედეგი უნდა იყოს ქმედების საშიშროების განმსაზღვრელი“ (გვ. 200).

მაგრამ თუ ეს არის მიზანი – რაც შეიძლება საკმაოდ მისაღებ მიზნად ჩაითვალოს – მაშინ ახალი კითხვები იბადება, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, თუ რის მიღწევას ვცდილობთ ჩვენ მსგავსი მიდგომებით. მართლა ეხება თუ არა მსგავსი მიდგომები გენერალურ პრევენციას? რა მეცნიერული ან სოციალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას? გამოდის, რომ მკვლელს სიკვდილით ვსჯით არა იმიტომ, რომ მოხდეს მკვლელობის პრევენცია, არამედ იმიტომ, რომ დავგმოთ მკვლელობის ბოროტი ხასიათი. მაგრამ რა საჭიროა ამ ყველაფრის განხილვა ემპირიული ანალიზის ჩარჩოში? ტკივილის განაწილება აქ გამოყენებულია როგორც მორალური დეკლარაცია და რატომ არ ვარქმევთ თავის სახელს?

ამის აღიარებით ჩვენ პირველ რიგში ვაკნინებთ გენერალური პრევენციის იდეას. მეტიც, აშკარად იკვეთება, რომ ტკივილის განაწილება განკუთვნილია მხოლოდ სიტყვებად. აღნიშნულის აღიარება კი, გზას უხსნის სხვა ნაკლებად ტკივილის მომტანი სიტყვების გამოყენებას. ისეთ პირობებში კი, როდესაც ტკივილი განკუთვნილია გზავნილად/მესიჯად, ნაცვლად ქმედების კონტროლის საშუალებისა, საკმაოდ რთულია ტკივილის მიყენების ლეგიტიმაცია.

4.5 ნოუ-კლასიციზმის შესავალი

როგორც კონცეპტუალურად, ისე ემპირიულად გენერალური პრევენციის იდეების ხორცშესხმა გაცილებით რთულია ვიდრე მკურნალობისა. მაგრამ როდესაც საქმე ღირებულებების სტანდარტებზე მიდგება, გენერალური პრევენციის იდეებს დიდი უპირატესობა აქვთ.

მკურნალობის იდეოლოგიები ეფექტური იყო იმით, რომ ისინი ღირებულებებს ბლოკავდნენ. სომატური მედიცინის ანალოგიაზე დაყრდნობით, მკურნალობა აშკარა უპირატესობად ითვლებოდა. მკურნალობა და შესაბამისად, მკურნალობა დანაშაულის კონტროლის სისტემაში, პაციენტის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გამოიყენებოდა. შესაბამისად, მიზანშეწონილი არ იყო იმის გარკვევა მტკივნეული იყო თუ არა ეს პროცესი, რადგან მკურნალობის უმეტესი პროცესი გარკვეულწილად ტკივილის მომტანია. არც იმის გარკვევა იყო მიზანშეწონილი, იმსახურებდა თუ არა პაციენტი ამ ტანჯვას, რადგან უამრავი ცხოვრებისეული ტანჯვა დაუმსახურებელია. არც მკურნალების კონტროლი იყო აუცილებელი, რადგან სახეზე არ იყო ინტერესთა კონფლიქტი, არსებობდა მხოლოდ ერთი მიზანი, რომელზეც პაციენტიც და საზოგადოებაც მყარად თანხმდებოდნენ და ეს მიზანი ადამიანის სოციალური განკურნება იყო – ან მისი დანაშაულისგან განკურნება.

დაშინება, ანუ გენერალური პრევენცია სულ სხვა პოზიციაზეა. აქ უკვე ნათელია, რომ საუბარია არა მკურნალობაზე, არამედ სასჯელზე. ეს არის გამიზნული ტანჯვა. სისხლის სამართლის სიტემა არსებობს არა ადამიანის განსაკურნებლად, არამედ ტკივილის მისაყენებლად. და ადამიანს ტკივილი ადგება იმისათვის, რომ სხვა ადამიანებმა გაითავისონ ამ ტკივილის შესახებ ანუ მოხდეს მათი დაშინება. თუ უშუალო ტკივილის ადრესატები შეიცვლებიან, ძალიან კარგია, მაგრამ ამ ტკივილის აუდიტორია არის საზოგადოება და ამის შესახებ ცხადად არის მითითებული გენერალური პრევენციის შესახებ თეორიებში. შესაბამისად, გვიწევს იმის აღიარება, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. ძალაუვნებურად ჩვენ ტკივილის რეგულაციებზე გვიწევს ყურადღების მიქცევა. მკურნალობის იდეოლოგიის გაუჩინარებისა და გენერალური პრევენციის ხელახალი აღორძინების პროცესების აღწერით, ჩვენ რეალურად განვიხილეთ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმდინარეობა, რომელმაც საფუძველი დაუდო „ნეო-კლასიკურ“ მიმდინარეობას. შემდეგ თავში სწორედ ამ უკანაკსნელზე იქნება საუბარი.

თავი 5

ნეო-კლასიციზმი

5.1 რაბალება და სერეონი რაბალება

იმისათვის, რომ მოხდეს ახალი კლასიციზმის ანალიზი, აუცილებელია მსჯელობა ძველი კლასიციზმის აღწერით დაიწყოს. რამდენიმე სიტყვაც საკმარისი იქნება ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად. კლასიკური მიმდინარეობა ნამდვილი გაგრძელებაა იმისა, რაც დღესდღეისობით განათლების ეპოქად არის მოხსენიებული. ამ ეპოქამ გვაჩუქა რუსო და ვოლტერი და მათთან ერთად შეიქმნა ადამიანის ღირსებისა და პოტენციალის შესახებ ზოგადი წარმოდგენები (თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რუსო მხოლოდ მამაკაცებს გულისხმობდა). სისხლის სამართლის სფეროში ეს მიმდინარეობა ორ ძირითად მოთხოვნას ეფუძნებოდა. პირველ რიგში, ადამიანის ქცევის გასაკონტროლებლად, რაც შეიძლება ნაკლები ჩარევა უნდა ყოფილიყო სახეზე. სასჯელი არ უნდა ყოფილიყო იმაზე მეტი, ვიდრე ეს აუცილებელი იქნებოდა ქმედების განმეორებით ჩადენის პრევენციისთვის, როგორც ინდივიდუალურ ისე საზოგადოების დონეზე. ამას გარდა, ნათლად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული კონკრეტულ ქმედებას, რომელი კონკრეტული სასჯელი მოჰყვებოდა. სიცხადე და განჭვრეტადობა სასამართლოებისათვის ორ უმთავრეს სიტყვად იქცა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დანაშაულიც და სასჯელიც წინასწარ ცხადად უნდა

იყოს განსაზღვრული. სასჯელი უნდა იყოს დაზუსტებული და უნდა შეესაბამებოდეს ქმედების სიმძიმეს.

აღნიშნული მიმდინარეობის შექმნა განაპირობა არისტოკრატიის წინააღმდეგ ბურჟუაზიული ოპოზიციის ზრდამ. გაჩნდა აუცილებლობა სისხლის სამართლის პოლიტიკის კლასიკური მახასიათებლის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ის ვისაც ძალაუფლება უპყრია ხელთ, ხშირად თვითნებობდა. ბურჟუაზია მოვიდა ხელისუფლებაში და გაჩნდა განცდა, რომ ისინი აღარ მოითმენდნენ საზოგადოების წევრების წოდებრიობაზე დამყარებულ პრივილეგიებულ მიდგომებს, მიდგომებს, რომლის მიხედვითაც დიდგვაროვანს შეეძლო ჩადენილი ქმედების გამო მხოლოდ ჯარიმით ეგო პასუხი, ხოლო საზოგადოების „ჩვეულებრივ“ წევრს თავისუფლების ხანგრძლივი აღკვეთით. მოთხოვნა იყო საერთო დიდგვაროვნის და ჩვეულებრივი მოქალაქის მიმართ, ანუ როდესაც კანონდარღვევა იყო მსგავსი, მათ თანაბრად უნდა ეგოთ პასუხი. იმისათვის, რომ თანასწორობა ყოფილიყო დაცული აუცილებელი იყო სასჯელების წინასწარ ჩამოყალიბება, რა პირობებშიც საზოგადოებას ეცოდინებოდა რა მოსალოდნელი სასჯელი დაენიშნებოდა კანონდამრღვევს, შესაბამისად, სასჯელი მხოლოდ ქმედების სიმძიმეზე იქნებოდა დამოკიდებული და არა ქმედების ჩამდენის წოდებრივ მდომარეობაზე ან მოსამართლის დისკრეციაზე. სისხლის სამართლის უდიდესი მკვლევარები, როგორიცაა ბეკარია და ბლექსტოუნი, გახდნენ დიადები იმიტომ, რომ დიადები იყვნენ. მაგრამ გარდა ამისა, ისინი დიადები გახდნენ იმიტომაც, რომ საჭირო დროს საჭირო გზავნილი ჰქონდათ. მათი აზრები შეთავსებადი იყო არა მხოლოდ ძალაუფლების მქონე ჯგუფისთვის, არამედ პოლიტიკური, თუ ეკონომიკური იდეებისა და აზროვნებისთვისაც.

5.2 ბეკარიასთან ერთად აუზ-მდე

ჩემარე ბეკარია კმაყოფილებით დააქნევდა თავს შესაძლებლობა რომ მისცემოდა და ემუშავა ამ სამ უმნიშვნელოვანეს წიგნზე:

1. American Friend's Service Committee: Struggle for Justice. N.Y. 1971
2. Andrew von Hirsch: Doing Justice. Report of the Committee for the Study of Incarceration N. Y. 1976.
3. The Twentieth Century Fund Task Force on Criminal Sentencing: Fair and Certain Punishment. N.Y. 1976.

სამივე პუბლიკაცია შემუშავებულია კომიტეტის მიერ. მართალია აღნიშნული კომიტეტების შემადგენლობა თავად წევრებმა დააკომპლექტეს, მაგრამ ყველა მათგანი მნიშვნელოვანი იყო, მათი წევრების ჩართულობისა და ცნობადობის გამო, მათი წევრების ადგილის გამო ამერიკულ საზოგადოებაში და მათი არგუმენტების სიძლიერის გამო. პრინციპში ამ წიგნების სათაურები ბევრ რამეზე მეტყველებს. პირველ წიგნში საუბარია *მართლმსაჯულებისთვის ბრძოლაზე*, მეორეში *მართლმსაჯულების განხორციელებაზე* და როდესაც ტერმინი „მართლმსაჯულება“ ამოწურულია მესამე წიგნში საუბარია მის მსგავს ტერმინზე „სამართლიან და განჭვრეტად სასჯელზე“. ყურადსაღებია, რომ ამ შემთხვევაშიც ნახსენებია ტერმინი სასჯელი და არა მკურნალობა.

პირველი კომიტეტთაგანი შიქმნა ამერიკის ერთ-ერთი კომუნის წარმომადგენლებისგან. აღნიშნული ფაქტი უკვე საინტერესოა, რადგან სწორედ ამ კომუნის წარმომადგენლების მოძრაობამ ჩამოაყალიბა გამასწორებელი მიდგომის იდეები ამერიკაში. აღნიშნული კი, პენსილვანიის ციხეში არსებული სავალალო მდგომარეობის გამოძახილი იყო, სადაც პატიმრები მოთავსებულები იყვნენ სამართლო საკნებში, კონტაქტი ჰქონდათ მხოლოდ დაწესებულების მოძღვართან და დირექტორთან და ასეთ პირობებში იხდიდნენ სასჯელს, მანამ სანამ მზად არ იქნებოდნენ გათავისუფლებისთვის. ასეთი ტიპის წამების წინააღმდეგ, ზემოთ ნახსენებმა კომუნის წარმომადგენლებმა შემოიღეს განსაზღვრული სასჯელების სისტემა, რომლის ოდენობაც ქმედების სიმძიმეზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ამ წესიდან გადახვევა კი უსამართლო სასჯელის დანიშვნის წინაპირობას წარმოადგენდა.

მეორე კომიტეტი, როგორც წესი ვონ ჰირშის კომიტეტის სახელი-თაა ცნობილი. მან შემოიღო ცალკეული გამონაკლისები ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებს შეეხებოდათ. განსხვავებული წესი იყო დადგენილი, ასევე რეციდივისტებისთვისაც, რომლებსაც უფრო მძიმე სასჯელი ენიშნებოდათ, ვიდრე ქმედების პირველად ჩამდენებს. მეტიც, ამავე კომიტეტმა დაწერა სასჯელის გაზრდის ან შემცირების შესაძლებლობები, როდესაც სახეზე იყო დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებები ინდივიდუალურ დონეზე.

მესამე ანგარიში შესაძლებელია მეორე ანგარიშის სახესხვაობად ჩაითვალოს. ამ კომიტეტის რამდენიმე წევრი, მეორე კომიტეტში იღებდა მონაწილეობას. მათი სისტემა მდგომარეობს შემდეგში (გვ. 20):

თითოეული დანაშაულის ქვეკატეგორიისთვის, ჩვენ გთავაზობთ, რომ კანონმდებელმა ან შესაბამისად პასუხისმგებელმა პირმა, მიიღოს სავარაუდო სასჯელი, რომელიც როგორც წესი ენიშნებათ დანაშაულის პირველად ჩამდენ პირებს და რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს ამ დანაშაულისათვის დამახასიათებელი ხერხით.

კანონმდებელმა, ასევე, უნდა განსაზღვროს რამდენით უნდა გაიზარდოს სასჯელი ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრული პროცენტებში გამოსახული ფორმულის მიხედვით. ამ მიდგომის საზრისი მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაულის პირველად ჩადენის შემთხვევაში სასჯელი უნდა იყოს შედარებით ნაკლები, მაგრამ მკვეთრად უნდა გაიზარდოს განმეორებით ჩადენის შემთხვევაში. შესაბამისად, ჩვენ გთავაზობთ სასჯელის ზომის გეომეტრიულ მატებას უფრო მძიმე დანაშაულებისთვის: მაგალითად, საჯელი 50%-ით გაიზარდება განმეორებით ჩადენილ შეიარაღებული ყაჩაღობის შემთხვევაში, 100%-ით მესამედ ჩადენისთვის, 200%-ით მეოთხედ ჩადენის შემთხვევაში და ა.შ. მსგავსი ტიპის გეომეტრიული ზრდადობა განსხვავებული იქნება წვრილმანი დანაშაულების შემთხვევაში: 10%-ით განმეორებით ჩადენილი ჯიბის ქურდობის გამო, 20%-ით მესამედ ჩადენის შემთხვევაში, 30%-ით მეოთხედ ჩადენის შემთხვევაში და ა.შ.

კომიტეტი აძლევს რეკომენდაციას კანონმდებელს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს და სთავაზობს მათ განსაზღვრონ დამამძიმებელი და შემამსუბუ-

ქებული გარემოებები, რომელიც შესაბამისობაში იქნება დანაშაულის მახასიათებლებთან და დამნაშავის პიროვნებასთან.

დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების პრაქტიკული გამოყენების შესახებ საუბარია დოკუმენტის შემდეგ ნაწილში (გვ. 46):

თუ შემამსუბუქებელი გარემოებების საერთო რაოდენობა აღემატება დამამძიმებელი გარემოებების რაოდენობას, მაშინ საქმის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია შეამციროს დამნაშავისათვის დასანიშნი სავარაუდო სასჯელი (სავარაუდო სასჯელს დამატებული წინათ მოუხდელი სასჯელის ნაწილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) 50%-ამდე. პირიქით, თუ დამამძიმებელი გარემოებების საერთო რაოდენობა აღემატება, შემამსუბუქებელი გარემოებების საერთო რაოდენობას, მაშინ საქმის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია 50%-ით გაზარდოს სავარაუდო სასჯელი.⁴

5.3 ბეკარია სანდონაჰიაში

უწინ გამოცემლები სწრაფად მუშაობდნენ. 4 წელიც კი არ იყო გასული ბეკარიას ნაშრომის – *Dei delitti e delle pene* – პირველი პუბლიკაციის შემდეგ, რომელიც ქალაქ ლივორნოში გამოიცა და წიგნი უკვე გადათარგმნილი იყო შვედურ ენაზე და სტოქჰოლმში გამოიცა. 1777 წელს წიგნი ხელახლა საკმაოდ ლამაზ იტალიურ-შვედური გამოცემის სახით გამოიცა. ბეკარია ნამდვილად არ ინანებდა სასწავლო

⁴ ვონ ჰირში, მოსამართლე გილმორთან ერთად, აყალიბებს განსხვავებულ ამრს და უთითებს: „სავარაუდო სასჯელის სტრუქტურამ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ზოგიერთი შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი ან სერიოზული ვიდრე სხვა, შესაბამისად მათ შეიძლება განსხვავებული წონები მიენიჭოთ“ (გვ. 46). თუმცა ვონ ჰირშის ანგარიშში, მითითებულია, რომ დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებები ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული: „მაგრამ მსგავსი ვარიაციები არ შეიძლება გასცდნენ სავარაუდო სასჯელს წინასწარ დადგენილ ოდენობაზე მეტით. ასეთი შეზღუდვების არსებობა აუცილებელია სასჯელის ძირითადი გრადაციების შესანარჩუნებლად – და გამორიცხავს ცდომილებებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების სიმძიმის გამოთვლისას (გვ. 100).

ვიზიტით, რომ წასულიყო ჩრდილოეთ ევროპაში. რამდენიმე ამერიკული დეტალი მართალია გამოჩენილია, მაგრამ გარდა მისი წიგნის საკმაოდ ლამაზი გამოცემისა, მას კომიტეტების მიერ მომზადებული ანგარიშებიც მოეწონებოდა, უფრო ზუსტად რომ ითქვას, არსებული 4 ანგარიშიდან 2 მაინც:

1. Straffrättskommitteens betänkande 1976:72. (Pa svensk: Band I og 2 1978) Finland. (Considerations of the Penal Law Committee 1976:72.)
2. Arbetsgruppen rörande kriminalpolitik. Nytt straffsystem. Brottssystembyggnadsrådet. 1977:7. Sweden. (Working Group on Criminal Policy. New Penal System. Advisory Committee for the Prevention of Crime. 1977:7.)
3. Stortingsmelding nr. 104 (1977-78) Om Kriminalpolitikken. Norway. (Parliamentary Report No. 104 (1977-78). Concerning Criminal Politics.)
4. Alternativer til frihedsstraf — et debatophæg. Betlænkning nr. 806. 1977. Denmark. (Alternatives to Imprisonment — A Debate Proposal. Report No. 806, 1977.)

ბეკარია ფინეთში თავს ისე იგრძნობდა როგორც სახლში, სადაც შეიძლებოდა იმის თქმაც, რომ ნეო-კლასიციზმს მისი ყველაზე ძლიერი დამცველი ჰყავდა. აღნიშნული სულაც არ არის დამთხვევა. კლასიციზმს არასდროს დაუკარგავს თავის ადგილი ფინეთში, რაც სავსებით ბუნებრივია იმ საზოგადოებაში, სადაც სასამართლო სისტემა საგარეო პოლიტიკის დაცვის მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს. ფინელების მიერ მომზადებული სისხლის სამართლის კომიტეტის ანგარიშის შევედური შეჯამების მიხედვით:

დანაშაულსა და სასჯელს შორის პროპორციულობის, ასევე, კანონიერების პრინციპის დასაცავად, დანაშაულები, რომელიც შეტანილი იქნება ახალ სისხლის სამართლის კანონში მკაცრად უნდა იყოს დიფერენცირებული სიმძიმის მიხედვით ისე, რომ სასჯელის საზღვრები ყველა კონტრეტული დანაშაულის-

თვის საკმარისად იყოს წინასწარ განსაზღვრული. იმისათვის, რომ შეიქმნას წარმოდგენა და დამოკიდებულება კანონის მიმართ (rättsuppfattningarna) და ინფორმაციის მიმოსვლასთან დაკავშირებით, ყველა კატეგორიის დანაშაულისთვის განსაზღვრული უნდა იყოს ტიპური სასჯელი (გვ. 182).

ერთ-ერთ სტატიის, რომელიც აღწერს შემოთავაზებულ წინადადებებს, კომისიის წევრი, ინკერი ანტილა (1977, გვ 103-104) უთითებს:

იმისათვის, რომ სისტემა მეტად განჭვრეტადი იყოს, შემოთავაზებულია ყველა დანაშაულების რიგითობა მათი სიმძიმის გრადაციის მიხედვით... ისე, რომ თითოეულ კატეგორიას აქვს განსაზღვრული ადგილი სასჯელების შკალაზე. დანაშაულის დასახელებაც საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ცნობილი იყოს სასჯელის მინიმუმი და მაქსიმუმი.

შვედეთის წინადადებას ახალი სისხლის სამართლის სისტემის შექმნის თაობაზე უფრო მსუბუქი რიტორიკა აქვს კატეგორიებთან მიმართებით ვიდრე ფინურს:

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ცხადი და ერთიანი პრაქტიკა დანაშაულის ბუნებასთან მიმართებით, ისე სურვილი იმისა, რომ სანქცია ითვალისწინებდეს, ასევე ქმედების ჩამდენის ინდივიდუალურ მახასიათებელსა და სოციალურ გარემოს, რათა სამომავლოდ უზრუნველყოფილ იქნეს კანონისადმი მორჩილება (გვ. 405).

მაგრამ აღნიშნული იქვე დაზუსტებულია:

სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, სასჯელის დანიშვნისას დანაშაულის სიმძიმესა და პროპორციულობის პრინციპის არსებობას დანაშაულის სიმძიმესა და სასჯელს შორის, უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მსგავსი წესების აუცილებელი და ბუნებრივი მიზეზები კარგად არის განსაზღვრული სასჯელის შკალაში, რომელიც დანაშაულის კატალოგებშია მოცემული (გვ. 406).

გენერალური პრევენცია იმის უმთავრესი მიზეზი, რომ როგორც ფინეთში ისე შვედეთში სასჯელები გაცილებით ნათელია. ინკერი ანტილას მიხედვით (1977, გვ. 103):

კომიტეტის მოსაზრებით, სისტემის უმთავრესი მიზანია იმის დაზუსტება, თუ რა წარმოადგენს და რა საზღვრები აქვს აკრძალულ ქმედებებს და ამავე-როულად გამოხატოს მისი ავტორიტარული დამოკიდებულება ამ ქმედებების მიმართ. სასჯელს კი, პირველ რიგში უნდა ჰქონდეს პრევენციული ეფექტი (გენერალური პრევენცია).

შვედეთის ანგარიში სრულად ეფუძნება ორ ალტერნატიულ მიდგომაზე მსჯელობას: ინდივიდუალურ პრევენციას (მკურნალობას) და გენერალურ პრევენციას. ამ ანგარიშის 199-ე გვერდზე მოცემულია შემდეგი დასკვნა: „ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვიძლევიტ რეკომენდაციას ისეთი სისხლის სამართლის სისტემის შექმნაზე, სადაც სასჯელის დანიშვნის ამოსავალი პრინციპი გენერალური პრევენცია იქნება“.

ნორვეგიული ანგარიშიც ჰგავს ზემოთ განხილულ ორ ანგარიშს იმიტო, რომ ისიც უარყოფს მკურნალობის იდეოლოგიას. რაც განსახვავებულია, და რაც არ მოეწონებოდა ბეკარისს, არის ის, რომ ნორვეგიული ანგარიში არ თვლის, რომ სასჯელი, ქმედების სიმძიმის შესაბამისი უნდა იყოს. ნორვეგიული ანგარიში არც იმას ცდილობს, რომ სისტემა გენერალური პრევენციის ირგვლივ ჩამოაყალიბოს. რაც შეეხება დანიას, ამ იდეოლოგიურ დებატებში დანიას მონაწილეობა დიდად არ მიუღია, თუმცა პრაქტიკაში მათი მოქმედება სპეციალური ღონისძიებების მკვეთრი შემცირებისკენ იყო მიმართული, რაც მკურნალობის იდეოლოგიის უგულებელყოფას ნიშნავდა.

ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. მეტიც, მე ვფიქრობ, რომ რაც გაკეთდა მართლაც უკეთესობისკენაა მიმართული. ის უსამართლობები, რაც მკურნალობის იდეოლოგიას ახლდა და ვითომდა ადამიანების განკურნებისკენ იყო მიმართული, როგორც იქნა სააშკარაოზე გამოვიდა, მსგავსი სისტემების საფუძვლიანი კრიტიკის გზით. სასჯელთან ასოცირებული ტკივილი, მართლაც წარმოჩინდა გენერალური პრევენციის ანუ დაშინების მომხრეების მიერ. ტკივილის უსამართლოდ განაწილებისაგან დაცვის საჭიროების თაობაზე საკმაო სამუ-

შაო გასწიეს ნეო-კლასიციზმის მიმდევრებმა. ყოველივე აღნიშნული, მნიშვნელოვანი და საჭირო ნაბიჯები იყო.

მაგრამ ახლა, როდესაც ყოველივე აღნიშნული გაკეთებულია, რა არის შემდეგი ნაბიჯი?

ჩემი პირადი შეხედულებაა შემდეგი: ამჟამად უკვე დაგვიანებულია, ზომამე მეტადაც კი, რომ შეჩერდეს გენერალური პრევენციის შემდგომი განვითარება და ნეო-კლასიციზმის იდეების შემდგომი გაფართოება, სკანდინავიურ საზოგადოებაში მაინც. ამ იდეოლოგიებს ჰქონდათ სიხარულის მომტანი ეფექტი, მათ სათანადო ცნობიერებას ჩაუყარეს საფუძველი. ნეო-კლასიციზმის სიმარტივემ და ურყევობამ ადვილი გახადა მისი არსის შეცნობა. მაგრამ ამავდროულად საკმაოდ მარტივია იმის შემჩნევა, თუ რატომ არის მიუღებელი მსგავსი სისტემის, დანაშაულის კონტროლის სისტემის საფუძველად მოაზრება.

თავი 6

ფარული სასწავლო გეგმა

მასწავლებლები ხშირად საუბრობენ „ფარული სასწავლო გეგმის“ შესახებ. ეს არის გზავნილი, რომელიც ჩადებულია განათლების სისტემაში ყოველგვარი ფიქრის გარეშე – მართლაც, არ არის აუცილებელი ვინმემ იცოდეს მისი არსებობის შესახებ. სკოლებში ეს გზავნილი შეიძლება იყოს შემდეგი: ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები ისწავლება წიგნებიდან და პირიქით, ის საკითხები, რომლებსაც ადამიანი თავისით სწავლობს ნაკლებად მნიშვნელოვანია. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს ერთადერთი სწორი გამოსავალი, რომელიც იძლევა პასუხს უმეტეს პრობლემაზე და ის უნდა ვეძიოთ სახელმძღვანელოებში ან უნდა ვკითხოთ მასწავლებელს. მეტიც, აქედან შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ სწავლების მთავარი გზა არის თანასწორი ადამიანების ჯგუფებად დაყოფა, რომელთაც ხელმძღვანელობს ერთი, არათანასწორი (მათზე აღმატებული) და მან იცის რა არის სწორი და არასწორი. შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა სისტემაში არსებობენ გამარჯვებულები და დამარცხებულები, რომლებიც სახელმწიფოს დირექტივების შესაბამისად სტანდარტულ ჯგუფებად იყოფიან. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან, როგორც სკოლაში ისე სკოლის გარეთ, მაშინ, როდესაც დამარცხებულები ყველგან დამარცხებულებად დარჩებიან. შესაბამისად, ჩნდება განც-

და, რომ სასწავლო პროცესის მიზანია არა სწავლა ცოდნის შესაძენად, არამედ სწავლა, ჯილდოს მისაღებად.

6.1 დანაშაული ან არის სათანადო მნიშვნელობის

ნეო-კლასიციზმის ფართული გზავნილი პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულებრივ ქმედებას. კანონის დარღვევა, კონკრეტული ქმედება, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო მთელი თავისი მექანიზმებით ერთვება პროცესში, იმის დასადგენად, თუ რა პასუხი უნდა გაეცეს მას. სწორედ დანაშაული, იგივე ცოდვა, არის გადამწყვეტი ფაქტორი და არა ვთქვათ დაზარალებულის სურვილი, დამნაშავეს პირადი მახასიათებლები ან საზოგადოებაში მიმდინარე ცალკეული პროცესები. შესაბამისად, ამ ყველაფრის გამორიცხვით ნეო-კლასიციზმის ფართული გზავნილი არის სხვა ალტერნატიული ფაქტორების ლეგიტიმურობის უგულვებელყოფა, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ მხედველობაშია მისაღები.

მსგავსი სისტემა რეალურად ხდება ყველა იმ სხვა ღირებულებების უარყოფის სათავე, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული სახელმწიფოს მიერ. ჩვენი კრიმინალური პოლისები ჩამოყალიბებული უნდა იქნას იმგვარად, რომ ხაზი გაუსვას სისტემის ძირითადი ღირებულებების ტოტალურობას. ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, სადაც დანაშაულს ექცევა ყველაზე დიდი ყურადღება და უჭირავს უპირატესი ადგილი სხვა ღირებულებებთან მიმართებით და აქედან გამომდინარე ზუსტად არის განსაზღვრული, თუ რა ბედი ელის ქმედების ჩამდენს, არის ჩემი და სხვა ბევრი ადამიანის ღირებულებების შეურაცხყოფა. რას ამბობს ნეო-კლასიციზმის შკალა ისეთ ღირებულებებზე როგორცაა სიკეთე და პატიება? რა ვუყოთ იმ დამნაშავეებს, რომლებიც ცხოვრებამ დატანჯა და დასაჯა იმაზე ბევრად ადრე,

ვიდრე ისინი იმ ქმედებას ჩაიდენდნენ, რომლისთვისაც სამართლებრივი სასჯელია გათვალისწინებული. რა ვუყოთ განსხვავებას ღარიბ და მდიდარ, შესანიშნავ და სუფელ, განათლებულ და გაუნათლებელ ქურდს შორის? წარმოდგენა არ მაქვს. მაგრამ მე ვიცი, რომ ვერ მივიღებ სისტემას, რომელიც ღირებულებების რანგირებით აკეთებს მსგავს განსხვავებებს და ხშირად გამორიცხავს ყველაზე მთავარს. სისტემა, რომელიც მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეს აქცევს ყურადღებას ვერ ჩაითვლება საზოგადოებაში მორალური ღირებულებების განმტკიცების გარანტად. ნეო-კლასიციზმი ჭრის რიგ ფუნდამენტურ პრობლემებს ერთი მარტივი გზით, ამ პრობლემების იგნორირებით. აქედან გამომდინარე იგი იძენს დიდ მნიშვნელობას, მაგრამ კვლავინდებურად აქვს მცდარი გზავნილი: მსოფლიო მარტივია და მასში არსებული ყველა ცოდვა შეიძლება მოთავსდეს ერთ ყუთში ისე, რომ წინასწარ და ცხადად იქნეს რანგირებული ყველა ქმედება.

6.2 ღაზნაშაჰა აჯამინი და ანა სისქემა

ნეო-კლასიციზმის გამარტივებას მივყავართ ადამიანამდე და არა სოციალურ სტრუქტურებამდე. აღნიშნულს ადასტურებენ გრინბერგი და ჰამფრისი (1980) მათ მიერ შემუშავებულ „განსაზღვრული სასჯელების შესახებ პოლიტიკური შედეგების ანალიზში“ (გვ. 215-216):

...პროპორციული სასჯელის (just deserts) ფილოსოფიას ძირითადი ყურადღება გადატანილი აქვს ქმედების ჩამდენზე. თუ მე დაგვარგავ სამუშაოს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირის გამო და ამის შემდეგ ჩავიდენ ქურდობას, რათა ვარჩინო თავი და ჩემი ოჯარი – ან, თუ მე არასრულწლოვანი ვარ და ვიქურდებ იმიტომ, რომ სახელმწიფომ ბავშვების შრომითი კანონმდებლობა მიიღო – ან, თუ მე გავიფიცები კანის ფერის გამო, რადგან სწორედ ამის საფუძველზე ხდება ჩემი დისკრიმინაცია – პროპორციული სასჯელის (just deserts) მოდელი მარტივად უთითებს, რომ მე უნდა დავისაჯო ჩემი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის, თუმცა ალბათ არა ისე მკაცრად, როგორც ეს ახლა ხდება. აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული თითქოს

ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ყველა შემხვევაში უგულვებელყოფილია, პირიქით როდესაც ბრალეულობაზე და სასჯელის დანიშვნაზე მიდგება საუბარი, ქმედება ყურადღების ცენტრში ექცევა და მთელი რიგი შემდეგი საკითხები პერიფერიაში ინაცვლებს: კაპიტალისტური ეკონომიკის დინამიკა; ხერხი, რომლის მიხედვითაც კლასებს, რასებს და სქესებს შორის ნაწილდება სარგებელი და ტრავმა – რაც თავის მხრივ, წარმოშობს იმ სტრუქტურულ კონდიციებს, რომელსაც საზოგადოების წევრები პასუხობენ კანონის დარღვევისას; და ის გზები, რომლის მიხედვითაც კლასობრივი ინტერესები ჩადებულია ან გამორიცხულია კანონიდან. ყველაფერი აღნიშნული უგულვებელყოფილია ქმედების ჩამდენის ინდივიდუალური მორალური ღირებულებების გამო. მაგრამ სწორედ ამ გამონაკლისებს უნდა მიაქციოს ყურადღება, რადიკალური პოლიტიკური ცვლილებების თაობაზე შექმნილმა მოძრაობამ. პროპორციული სასჯელის (just deserts) მოდელი ზიანს სწორედ ამ უკანასკნელ საკითხს აყენებს, არა იმით, რომ იგი იძლევა შეუსაბამო პასუხებს მის მიერ დასმულ კითხვებზე (პასუხები, რომელიც უგულვებელყოფენ ქმედების ჩამდენის სოციალურ გარემოს და სიტუაციას), არამედ იმით, რომ არჩევს უსაგნო კითხვებს.

6.3 ტკივილი სიკეთის სათანადოდ მომხანი ან არის

დანაშაულისა და ინდივიდუალური ბრალისათვის მნიშვნელობის მინიჭებაზე უარესი, ტკივილის ლეგიტიმაციაა. ტკივილი გამიზნული ტკივილისთვის არის დანაშაულზე ლეგიტიმური პასუხი. მაგრამ მე სკოლაში, დაუფარავი სასწავლო გეგმის ფარგლებში, მასწავლებს, რომ თუ ვინმე გამართყავდა, საუკეთესო პასუხი იქნებოდა მეორე ლოყის მიშვერა. სიტუაციის განმუხტვის მაღალფარდოვანი ისეთი საშუალებები როგორცია: პასუხის არ გაცემა, პატიება და სიკეთე მოქცეულია ნეო-კლასიკურ მართვით გაუგებრობაში. ნეო-კლასიციზმი ცდილობს სიცხადისა და განჭვრეტადობის შექმნას. სისტემა ცდილობს კანონის საფუძველზე, მოსამართლე აიყვანოს მკაცრ კონტროლზე და ამით ცდილობს თვითნებობის თავიდან აცილებას. აღნიშნული სავალდებულოს ხდის, ასევე სასჯელის ზედმიწევნით განსაზღვრასაც. დეტალურად განსაზღვრული სასჯელი დამნაშავის დაცვის ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს. მაგრამ მსგავსი დაზუსტებები წარმოადგენს მძიმე იარაღს.

და ფარული სასწავლო გეგმის ყველაზე საეჭვო ასპექტიც სწორედ აქ იჩენს თავს. ნეო-კლასიციზმი სასჯელს განიხილავს, როგორც გარდაუვალ საშუალებას, რომელიც არის ერთადერთი და არ გააჩნია სხვა ალტერნატივა. გავიხსენოთ, რომ მკურნალობის იდეოლოგია ცდილობდა სასჯელის დაფარვას, ტკივილის ფარულ მიყენებას, და ქმნიდა ისეთ სიტუაციას თითქოს ქმედების ჩამდენისთვის შეთავაზებული იყო თერაპია. მაგრამ ახალი იდეოლოგია ქმედების ჩამდენს სასჯელის სახელით სჯის. იგი სასჯელს ლეგიტიმურად და გარდაუვლად აქცევს. მე კარგად მესმის ძველი სისტემის, მკურნალობის სისტემის მომხრეების რომლებიც ზიზღით ამბობენ: ნახეთ რა გააკეთეთ, თქვენ მავნე სოციოლოგებმა/კრიმინოლოგებმა ადამიანის უფლებების იურისტებთან ერთად. ჩვენი მკურნალობის იდეა, იტყვიან ისინი, ხშირად უშვებდა შეცდომებს: ისინი ხშირად სიტყვები იყო, ვიდრე რეალობა, მაგრამ მკურნალობის იდეები და მათი მატერიალიზაცია ღირებულებებსაც შეიცავდა. მკურნალობის იდეოლოგიამ გზა დაუთმო ბევრ ისეთ ღირებულებას, რომელიც თანდათან იკარგება ახალი სისტემის მიერ მთელი საკითხების კლასიკურად გამარტივების გამო.⁵ აღნიშნული საყვედური გამართლებულია. თუმცა, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მერყევი ადამიანი ისევ ძველ სისტემას უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ მკურნალობის იდეოლოგია, მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ ხშირად დაფარული, თანაგრძნობის, შემსუბუქების, ზრუნვის და დიდსულოვნების გზავნილით სერიოზულად

⁵ მე სრულად ვეთანხმები სტენ კოენის (1977) შემდეგ მოსაზრებას: „ხშირად გაკრიტიკებული ჰუმანიტარიანიზმი, რომელიც გამოიყენებოდა როგორც ფარი, სხვა მხრივ გაუმართლებელი პოზიტივისტური მიზნებისთვის – დამნაშავეების „განკურნებისთვის“, მთლიანად არ უნდა განადგურდეს. იყო დრო, როდესაც „რადიკალიზმად“ ითვლებოდა კანონის წინააღმდეგ წასვლა, შემდეგ მოვიდა, დრო, როდესაც „რადიკალიზმად“ ითვლებოდა ფსიქიატრიის წინააღმდეგ წასვლა. ახლა, როდესაც მივიჩქარით უკან შეცბუნებული იურისტებისკენ, რომლებიც ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ ჩვენ მათ წინააღმდეგ ვიყავით, არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ როგორი ტირანია შეიძლება იყოს კანონის უზენაესობა მისი პირდაპირი გაგებით“.

უნდა იქნეს აღქმული. ტკივილის მიყენება შესაძებელია გამართლდეს მკურნალობის იდეოლოგიაში, მაგრამ, როგორც მკურნალობის პროცესის ნაწილი, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში, უამრავი ტანჯულის მდგომარეობას გააუმჯობესებს. მიყენებული ტკივილი იყო დიდი და ხშირად მცდარი მიზნებისთვის გამოიყენებოდა, თუმცა, ამბე აქ აღარ დავწვრილმანდები. მაგრამ თავად იდეოლოგია და ქმედებები, ასევე შეიცავდნენ რეალურ მიზნებს, რომელიც ტკივილის შემცირებისკენ იყო მიმართული. ტონი ბოტომსის (1980, გვ. 20) მიხედვით: „რეაბილიტაციის ეთიკა და ის ლიბერალური რეფორმიზმი, რომელიც მას უსწრებდა წინ, იყო იძულებითი მკურნალობის ეთიკა, მაგრამ ის მაინც მკურნალობა იყო“.

მკურნალობის იდეოლოგიის მომხრეები, რომლებსაც რა თქმა უნდა, თავად არ აქვთ გავლილი მკურნალობის კურსი, ხშირად აკრიტიკებენ თავიანთ სკანდინავიელ კოლეგებს თანადგომის ნაკლებობისთვის. ისინი სწორედ მკურნალობით ცდილობდნენ თავიანთი სისხლის სამართლის სისტემის შერბილებას სკანდინავიაში. მაგრამ ამის პარალელურად, სკანდინავიელებმა ეს იდეოლოგია ძალადაკარგულად გამოაცხადეს და ამით შეუძლებელი გახადეს ძველი ბოროტი სისტემების მოდიფიცირება.

იმისათვის, რომ გავანეიტრალო მიყენებული ზიანის ნაწილი ვიტყვი შემდეგს, რომ: მკურნალობის იდეოლოგია მოდიდან გადავიდა. მაგრამ არა ყველა მკურნალობის სახე. რაც მოხდა იყოს ის, რომ დანაშაულისათვის შეთავაზებული მკურნალობა მიმართული იყო ადამიანის დანაშაულისკენ მიდრეკილი ტენდენციების შესაცვლელად. კონტროლის ღონისძიებების სიძლიერე, რომელიც ხშირად შენიღბულია ტკივილის მიყენების სახით და გაქრა, მაგრამ არ გამქრალა მკურნალობისა და მზრუნველობის მოთხოვნა. ციხეები საცვა ადამიანებით, რომლებსაც დახმარება ესაჭიროებათ. სუსტი ნერვები, დასნეულებული სხეული, ცუდი განათლება – ციხეები არის უნარშემლუდული ადამიანების „შენახვის“ ადგილი, იმ ადამიანებისა, რომ-

ლებსაც სჭირდებათ მკურნალობა და საგანმანათლებლო რესურსები. ისინი ვინც მკურნალობის იდეოლოგიის მომხრენი არიან თვლიან, რომ ადამიანები თავისუფლების აღკვეთით არ უნდა ისჯებოდნენ და საზოგადოებას უნდა მიეცეს მათი განკურნების შანსი. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები მაინც იხდიან ციხეში სასჯელს, მათ უნდა მიიღონ სამკურნალო ღონისძიებების მაქსიმუმი, მათი ზოგადი კონდიციების გასაუმჯობესებლად და ტკივილის შესამსუბუქებლად. როგორც ითქვა, დანაშაულისათვის მკურნალობის იდეოლოგიამ დაკარგა აქტუალობა, მაგრამ არა საკუთრივ მკურნალობამ.

სისხლის სამართალში გამასწორებელი სამკურნალო იდეების იდენტიფიცირებითა და ნეო-კლასიციზმის ალორძინებით, ჩვენ მივედით ყველაზე სერიოზულ სიტუაციამდე ჩვენ ქვეყანაში, სადაც ტკივილის მიყენებისადმი პატივისცემა თანდათანობით იზრდება. ჩვენ ვაყენებთ ტკივილს, რომელიც სწორედ ტკივილის მიყენებისთვისაა განკუთვნილი და ჩვენ ამას წმინდა სინდისით ვაკეთებთ.

6.4 ბრალის ნიხრადიხაშია

ნეო-კლასიციზმი საშუალებას გვაძლევს ტკივილი მივაყენოთ მშვიდი სინდისით. ბოლოსდაბოლოს ეს ხომ ჩვენი, ძალაუფლების მპყრობელთა ბრალი არ არის, ანუ იმათი ვინც მსგავს მიდგომებს ნერგავს, ეს თავად კანონდამრღვევთა ბრალია. დანაშაულსა და სასჯელს შორის შექმნილია ავტომატური კავშირი, მას შემდეგ რაც დანაშაული კლასიფიცირებულია, მისთვის განსაზღვრული ტკივილის ღონისძიება წინასწარ არის დადგენილი. აღნიშნული ათავისუფლებს სასჯელის აღმასრულებელს ყველანაირი პირადი პასუხისმგებლობისგან. ეს სწორედ დამნაშავის ბრალია, მან ჩაიდინა აკრძალული ქმედება და მან განაპირობა მოვლენათა ჯაჭვის მსგავსი განვითარება. ტკივილი, რაც მის ქმედებას მოჰყვება გამოწვეულია თავად დამ-

ნაშავის მიერ და არა იმათ მიერ ვისაც ხელთ უპყრია იმდაგვარი ძალაუფლება, რომ მსგავსი სახის ტკივილი შექმნას.

მსგავსი ტენდენციები გამყარებულია ნეო-კლასიკური ლიტერატურის გაცხოველებული დაინტერესებით ტკივილის განაწილების კონტროლით და არა თავად ტკივილით. ტკივილის გაკონტროლება/დარეგულირება გაცილებით საინტერესო თემაა და უფრო მეტად ექცევა საზოგადოების და მეცნიერების დაინტერესების სფეროში, ვიდრე თავათ ტკივილის გამოყენება. ტკივილის დარეგულირება იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ ტკივილის მიყენება ბუნებრივ მოვლენად ითვლება.

დარეგულირებას იმხელა ყურადღება ეთმობა, რომ საკმაოდ მცირე ადგილი რჩება ამ ღონისძიების ხარისხის თაობაზე მსჯელობას და ასევე, იმაზე მსჯელობას მართლა ასეთი საჭიროა, თუ არა ეს ღონისძიება. აღნიშნული არის ახალი გზა ტკივილთან განსაშორებლად. ის ტანჯვა, რაც ადამიანს ადგება იკარგება მარეგულირებელ საშუალებებზე მსჯელობის პროცესში. სადღაც შორს, არსებობს ქმედება, რომელსაც საეჭვო რეპუტაცია აქვს. მაგრამ ჩვენ ეს არ გვანტერესებს, რადგან ჩვენი მთელი ყურადღება მიპყრობილია მარეგულირებელი მექანიზმების შექმნისაკენ.

6.5 ძლიერი სახელმწიფო

ნეო-კლასიკოსებს აქვთ ფარული გზავნილი, როდესაც საქმე იმაზე მიდგება, თუ როგორი სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან ისინი. მათი სისტემა მოიზრებს ძლიერი სახელმწიფოს არსებობას და ისინი თავიანთი არსებობით მსგავს სახელმწიფოს კიდევ უფრო აძლიერებენ. მათი სისტემა ძალიან განსხვავდება ისეთი სისტემისაგან, რომელშიც მხარეები მიისწრაფიან მუდმივად ცვლადი გადაწყვეტილებებისადმი, რომელიც მორგებულია სახელმწიფოში არსებული სიტუაციის მოთ-

ხოვნებისადმი. ისინი არ სვავენ მსგავს კითხვებს: ნუთუ აუცილებელია ეს ქმედება დანაშაული იყოს... რა იქნებოდა, თუ ჩვენ ამ ქმედებას სულელურ ქმედებად, ბავშვურ გატაცებად ან განსაკუთრებულ გმირობად განვიხილავდით... დასჯის გარდა, რაიმე სხვა გზა არ არსებობს... ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ კომპენსაციაზე ან სხვა თანამშრომლობით ქმედებაზე? ნეო-კლასიციზმისთვის ყველა ამ კითხვაზე პასუხი გაწერილია კანონში, რომელიც ყველა ადამიანისთვის, ნებისმიერ სიტუაციაში თანაბრად მბოჭავია. თვითნებური გადაწყვეტილებებისაგან დასაცავად, მომდინარეობს ის სახელმწიფოსგან, თუ დესპოტი მმართველისგან, კანონი უნდა იყოს მდგრადი. მაგრამ ამავე დროს ნათელია, რომ თვითნებობისგან დაცვის მგავსი საშუალება წარმოადგენს სერიოზულ წინააღობას ალტერნატიული გადაწყვეტილებებისთვის.

ნეო-კლასიციზმის და გენერალური პრევენციის იდეების სკანდინავიელი მომხრეები, ერთხმად თანხმდებიან ზემოაღნიშნულ საკითხებზე. მათ შეიძლება განსხვავებული შეხედულება ჰქონდეთ კაპიტალიზმის ან მარქსიზმის სარგებლიანობაზე, მაგრამ მათი შეხედულებები ემთხვევა, როდესაც სახელმწიფოზეა საუბარი. იოჰანეს ადენაესი, მის უახლეს სტატიაში საუბრობს გენერალურ პრევენციაზე, რომლის მიხედვითაც: „თუ ჩვენ კანონქმედებას და დანაშაულის კონტროლს განვიხილავთ, როგორც ერთი დიდი მექანიზმის ნაწილს, რომლის მიზანია ადამიანის ქცევის მიმართულების კონტროლი, მაშინ...“ . კლაუს მეკელე (1975) ასკვნის, რომ სისხლის სამართლის მიზანი მხოლოდ დანაშაულის პრევენციით არ არის შემოსაზღვრული. მისი დამატებითი მიზანია „მორალისა და შესაბამისად, საკუთარი თავის აღდგენა“ (გვ. 277). ინკერი ანტილას (1977) მტკიცებით, სისხლის სამართლის კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის სისტემა არ შეიძლება იყოს ერთადერთი ან თუნდაც ძირითადი საშუალება, ადამიანის ქცევის ოფიციალური პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად (samhällspolitikens målsättningar). მაგრამ მიუხედავად ამისა კომიტეტი მიიჩნევს, რომ სისტემის უმთავრესი ფუნქციაა ძირითადი

აკრძალვების შინაარსისა და მათი საზღვრების დაზუსტება და ამავდროულად ამ აკრძალვების ავტორიტარულად დაგმობა.

ერთი შეხედვით განსხვავებული სურათია აშშ-ში. ფსიქონალისტი ვილარდ გეილინს და ისტორიკოს დევიდ როტმანს, ვონ ჰირშის ანგარიშის (1976) საერთო და ძალიან ემოციური შეჯამება აქვთ:

თუ პროგრესულად მოაზროვნე რეფორმატორების ძირითადი მახასიათებელი სახელმწიფოს მიმართ ნდობა და იმისკენ სწრაფვაა, რომ სახელმწიფოს ძალაუფლება უფრო მეტად გადაუნაწილონ საზოგადოებას, ჩვენი ძირითადი მახასიათებელი სახელმწიფო ძალაუფლების მიმართ უნდობლობაა. ჩვენ გვგონია, რომ დისკრეციას შედეგად შეიძლება დისკრიმინაცია და თვითნებობა მოჰყვეს. ჩვენ არ ვიყავით მზად, აპრიორი შეგვექმნა სისტემა, რომელშიც ადმინისტრატორების გულმოდგინედ მოტივივები საკმარისი იქნებოდა მათი ძალაუფლებით აღსაჭურვად (გვ. XXXII).

მაგრამ თუ ჩვენ გავაანალიზებთ ანგარიშს, რომლის შექმნაში მონაწილეობდა, როგორც გეილინი, ისე როტმანი, სულ სხვა სურათს წავაწყდებით. აქ უკვე აღწერილია, თუ როგორ გამოიყენება ადმინისტრატორებისთვის წარმთეული ძალაუფლება კლასიციზმისა და დაშინების სისტემის შექმნის მიზნით. მაგალითად, როდესაც საქმე სასჯელის დონეებზე მიდგება:

აქ სირთულეს მონაცემების არარსებობა წარმოადგენს: სასჯელის დამაშინებელი ეფექტის შედეგები უცნობია. შესაბამისად, შესაძლებელია მხოლოდ ვარაუდი სასჯელის მნიშვნელობის შესახებ – ვარაუდი, იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება იყოს კონკრეტული სასჯელის დამაშინებელი ეფექტი. მას შემდეგ, რაც სასჯელების შკალა შეიქმნება, რომელშიც საუბარი სასჯელის მნიშვნელობის (იგულისხმება პირობითი მნიშვნელობა) შესახებ იქნება, შესაძლებელი გახდება მისი პრაქტიკაში გამოყენება. თუ სასჯელის მნიშვნელობა შერჩეულია არასწორად, რასაც შედეგად მოჰყვება დანაშაულის ოდენობის ზრდა, მაშინ კონკრეტული ქმედებისთვის სასჯელის მნიშვნელობა უნდა გაიზარდოს, ანუ სასჯელის ზომა უნდა გაიზარდოს. თუ დანაშაულის ოდენობა არ გაიზარდება, მაშინ შესაძლებელი იქნება სასჯელის მნიშვნელობის შემცირებაზე საუბარი, იმის შესასწავლად, შემცირდა თუ არა ამ სასჯელის დამაშინებელი ეფექტი (გვ. 135-136).

შექმნილია სისტემა სადაც ადმინისტრატორების ახირება გაცვლილია უზომოდ ძლიერ, ადვილ და ცენტრალიზებულ სახელმწიფო კონტროლის სისტემაში. ნეო-კლასიციზმი გამოხატული ვონ ჰირშის კომიტეტის წარმომადგენელის ერვინ გოფმანისა და ასევე, პოლიციის უფროს მაკმარას თვალთახედვის არიდან, წარმოადგენს სისტემას, რომელიც ერთდროულად საჭიროებს და აძლიერებს ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს.⁶ ზუსტად ანალოგიური სიტუაციაა სკანდინავიაშიც.

მკურნალობის იდეოლოგიის მარცხი და მისი ამის სააშკარაოზე გამოტანა იყო პირველი აუცილებელი ნაბიჯი. ამან შექმნა წინაპირობა და გამოიწვია ძალაუფლების მნიშვნელოვანი გადამეტება ისედაც სუსტი ფენის წარმომადგენლებისთვის. ნეო-კლასიკური სკოლა, თავისი მტკიცე მიდგომებით, რომელიც ითვალისწინებდა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას თვალისთვის, ხოლო სამი თვით თავისუფლების აღკვეთას კბილისთვის, იყო ალბათ აუცილებელი და დაბალანსებული მეორე ნაბიჯი, მანამდე მაინც სანამ ასეთი სისტემა კანონად არ იქცა. ნეო-კლასიციზმის სიმარტივე და სიმყარე ადვილად წარმოაჩინეს იმას, თუ რას ეხება ეს სისტემა. როდესაც ბრალი, რეციდივიზმი, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები რაოდენობრივად გამოითვლება, დანარჩენი უკვე მარტივი არითმეტიკაა. მაგრამ, როდესაც ჩვენ ამას ვხედავთ და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენ ამას ვხედავთ იმ სისტემაში, რომელიც ამტკიცებს, რომ მას ჩამოყალიბებული აქვს ღირებულებების სია (რიგითობის მიხედ-

⁶ ყველაფერი ბეკერისა და გოულდნერის 60-იანი წლების დებატების გამოკრებას ჰგავს. აღნიშნული დებატი დაიწყო ჰოვარდ ბეკერის მნიშვნელოვანი საპრეზიდენტო სტატიით (1967) „ვის მხარეს ვართ?“. ბეკერმა თავის თავი, რა თქმა უნდა დამარცხებული მხარის, მებრძოლი ციხის ოფიცრების, ბადრაგების, ადმინისტრატორების და ბიუროკრატების გვერდით დააყენა. აღ. გოულდნერის (1968) მწვავე კომენტარები ეხებოდა იმის მტკიცებას, რომ საშუალო ფენის წარმომადგენელი მამაკაცების უნებლოე მარცხის შედეგი იქნებოდა ძალაუფლების გაზრდა მათთვის, ვინც ხელისუფლების სათავეში იყო.

ვით), მაშინ მე მიწევს აღიარება, რომ მე საკმაოდ უკმაყოფილო ვარ მსგავსი სიტემით. ეს საზოგადოება, ჩემი საზოგადოება არ არის. ეს არის ცენტრალიზებული, ავტორიტარული სახელმწიფო, რომელიც იმდენად მიისწრაფვის თანასწორობისკენ, რომ უგულებელყოფს ყველა სხვა შედარებით სუსტ ღირებულებას და საერთოდ არ ითვალისწინებს მათ. აღნიშნულის ალტერნატივად, ჩვენ გვიწევს ისეთი პირობების შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავუმკლავდეთ ამ სიტუაციას, რომელიც ასეთ დროს შესაბამისობაში იქნება სოციალური სისტემის სართო ღირებულებების ნიმუშთან.

თავი 7

კომპიუტერი

მკურნალობის იდეოლოგიისთვის სასჯელის დანიშვნისას მნიშვნელოვანია კონკრეტული დამნაშავის პიროვნული მახასიათებლები. ნეო-კლასიციზმისთვის უმთავრესი საკუთრივ დანაშაულის ხასიათია. ორივე მიმდინარეობა ექსტრემალურ პოზიციას წარმოადგენს და გამოიხატება მეორე პოზიციის დადებითი კომპონენტების გამოყენების შესაძლებლობას. ასეთ სიტუაციაში მომგებიანი ჩანს ამ ორივე მიმდინარეობის საუკეთესო ელემენტების გაერთიანება. აღნიშნული კი, შესაძლოა კომპიუტერის დახმარებით იქნეს რეალიზებული.

კომპიუტერებს შეუზღუდავი შესაძლებლობები აქვთ. მათ შეუძლიათ წესრიგის შექმნა. მათ შეუძლიათ გააერთიანონ ყველა რელევანტური ინდივიდუალური მახასიათებელი და მოგვცენ ზუსტი პროგნოზი შესაძლო რეციდივიზმის შესახებ. ამავდროულად კომპიუტერს თავისუფლად შეუძლია მხედველობაში მიიღოს დანაშაულებრივი ქმედების მახასიათებლები და შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ყველა ფაქტორის მნიშვნელობას შეიძლება მიეცეს წინასწარდადგენილი წონა. ლომბროზო და ბეკარია ალბათ ორივე კმაყოფილი იქნებოდა. ეს სულაც არ არის უტოპია. ეს არის სისტემა შემუშავებული გოთფრედსონის, ვილკინსისა და ჰოფმანის (1978) მიერ აშშ-ის მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების

ფედერალური კომისიისთვის. ეს სისტემა ითვალისწინებდა პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობას იმ მსჯავრდებულებისთვის, რომლებსაც განუსაზღვრელი სასჯელები ჰქონდათ შეფარდებული. სისტემა სრული დატვირთვით გამოიყენება.

ხსენებულ სისტემას რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა და უდიდესი პოტენციალი აქვს. მას შეუძლია მოიცვას იმდენი ფაქტორი, რამდენიც გვინდა და თან სისტემა სანდოა. თანაბარ ფაქტორებს ყველა გადაწყვეტილების მიღებისას შესაბამისი წონა გააჩნია. თუ პროგრამას სწორ ინსტრუქციას მივცემთ, კომპიუტერი თანაბარი ტიპის საქმეებს თანაბარი სიზუსტით მოეპყრობა და ამავდროულად შეუძლია მხედველობაში მიიღოს სხვა დამოუკიდებელი ფაქტორები. მსგავსი სისტემა, ასევე ხასიათდება ყველაზე მეტი დემოკრატიულობით იმ კუთხით, რომ ამ შემთხვევაში მსჯავრდებულთა გათავისუფლების საკითხს კანონმდებლობა წყვეტს და არა ადმინისტრაცია. ვილკინსს შეუძლია ჰკითხოს კანონმდებელს ან გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრალურ ორგანოს იმის თაობაზე, თუ რომელ ფაქტორს რა წონა უნდა მიენიჭოს, მაგალითად, როგორი წონით უნდა შეფასდეს დანაშაულის სახე, ზიანის ხარისხი, განათლების ხარისხი, რეციდივიზმის რისკი, ან ციხეში ქცევა. კანონით შეიძლება დადგინდეს, მაგალითად, ნორმალურზე ორი თვით მეტი სასჯელი განათლების საფეხურების მიხედვით, (იდეა შემდეგია: ადამიანს რაც მეტი განათლება აქვს, მით მეტი პასუხისმგებლობა აქვს მოიქცეს მართლზომიერად ანუ მას მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოეჩინა და არ ჩაეძინა დანაშაული) ან, მაგალითად ორი თვით ნაკლები სასჯელი უმაღლესი განათლების საფეხურების მიხედვით (ამ შემთხვევაში იდეა მდგომარეობს იმაში, რომ რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო იტანჯება სასჯელით). ეს სისტემა საკმაოდ ეფექტურია ადმინისტრაციული კონტროლის კუთხითაც. მაგალითად, დროის უმოკლეს პერიოდში შეიძლება იმის გაგება, თუ როგორ გაიზრდება ციხის მოსახლეობა,

თუ მოიმატებს ნარკოტიკული დანაშაულები. ხსენებული პროგრამის სისტემა ახლო კავშირშია გენერალური პრევენციის იდეებთანაც. მას შეუძლია „უქადაგოს“ მისი „სახარება“ არა მხოლოდ მოსამართლეებს, არამედ მთელ მოსახლეობასაც. ახლო მომავალში, განვითარებული ქვეყნების უმეტესობას შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ სრული ინფორმაცია საავიაციო ფრენებისა და სარკინიგზო განრიგის შესახებ, რესტორნის მენიუსა და ფასების შესახებ ტელევიზორის ეკრანებზე. ჩვენ შესაძლებლობა გვქნება ღილაკს ხელი დავაჭიროთ და მყისიერად მივიღოთ პასუხი. ყველაფერი უფრო მარტივი იქნება, თუ სტანდარტული სასჯელები გათვალისწინებული იქნება ყველა ტიპის დანაშაულისთვის, რომელიც მორგებული იქნება ყველა შესაძლო შემთხვევაზე და აღქმადი იქნება ყველა ამსრულებლისთვის. აღნიშნული იქნებოდა პრევენციის რაციონალური ფორმა. შეეკითხეთ თქვენ საკუთარ კომპიუტერს და მიიღებთ ზუსტ პასუხს კითხვაზე, რა ელირება კანონის დარღვევა.

მაგრამ ამასთანავე არსებობს პრობლემებიც.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ კომპიუტერი იდეალურია, შეუცდომელია. როდესაც სათანადოდაა დაპროგრამებული, მისი გადაწყვეტილებები აშკარაა. მას შემდეგ რაც ბრალის საკითხი გადაწყდება, არავის აღარ დასჭირდება მოსამართლის წინაშე ყოფნა და განაჩენის მოსმენა იმ შემთხვევაში, თუ მათ თავისი პატარა კომპიუტერები აქვთ. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები თავის მნიშვნელობას დაკარგავს. მეტიც, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოს არც არავინ გამოიყენებს. შედეგი ისედაც ცნობილი იქნება, რალატომ შევიწუხით თავი?

თუ მაინც მოთხოვნილი იქნება სასამართლოს გამოყენება, მაშინ რალაც დოზით გაურკვეველობა – მაგრამ არა სრული გაურკვეველობა, მხოლოდ იმ დოზით, რომ საწინააღმდეგოს მტკიცებას აზრი მიეცეს – საჭირო იქნება.

ალტერნატიულად შესაძლებელია, ასევე პროგრამის შეცვლაზე ფიქრი. ეს იქნებოდა სისხლის სამართლი საქმეებზე უმთავრესი სტრატეგია სადაც, მას შემდეგ რაც ბრალის საკითხი დადებითად გადაწყდებოდა და უმეტეს საქმეზე ასეც ხდება, პატარა კომპიუტერი ეტყოდა დამნაშავეს, რომ შედეგი მისთვის ძალიან არასასურველი იქნებოდა. ამ მომენტში პროგრამის სრულყოფილებამ თავბრუ დაგვახვია. მაგრამ იბადება კითხვა, ვინ უნდა გადაწყვიტოს ის საკითხი, თუ რა უნდა იყოს პროგრამაში ჩადებული ან რა დოზით, ვინ უნდა გადაწყვიტოს წონების მინიჭების საკითხი.

აქვე შეგვიძლია ვიფიქროთ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებზე. გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს:

- გაეროს გენერალურმა ასამბლეამ;
- გაეროს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა;
- რეგიონულმა ორგანოებმა, როგორცაა ევროსაბჭო ან არაბულ სახელმწიფოთა კავშირი;
- ეროვნულმა პარლამენტებმა;
- შტატების პარლამენტებმა – როგორცაა კალიფორნიის საკანონმდებლო ორგანო;
- პოლიტიკოსების ქვე-ჯგუფებმა – როგორცაა მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიები ან საკანონმდებლო დაწესებულების იურიდიულ საკითხთა კომიტეტები;
- შემთხვევითობის პრინციპზე შერჩეულმა მოქალაქეებმა, რომელიც გამოიკითხებიან სატელეფონო ან პირადი ინტერვიუების საფუძველზე;
- რომელიმე ოლქში საამისოდ შექმნილმა ჯგუფმა ან ოლქის წარმომადგენლებმა;
- იმ მუნიციპალიტეტში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა სადაც ცხოვრობს დაზარალებული ან ქმედების ჩამდენი;

- ან გადაწყვეტილება შეიძლება ურთიერთანამშრომლობით მიიღონ დაზარალებულმა და ქმედების ჩამდენმა.

როგორც ხედავთ, აღნიშნული სია შედგენილია იმდაგვარად, რომ პროგრამის მონაცემების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა იწყება გლობალურ დონეზე და ნელ-ნელა უახლოვდება ქმედებაში უშუალოდ მონაწილე პირებს. თქვენ, ასევე შეამჩნევდით, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სიახლოვე სრულყოფილია, მაშინ კომპიუტერიც სრულყოფილია. ამ შემთხვევაში ადამინებს შეუძლიათ პირდაპირ ილაპარაკონ. მაგრამ სწორედ გაეროს დონეზე, რომელიც ცხრილის სათავეშია, არის გარდაუვალი კომპიუტერული პროგრამის არსებობა აუცილებელი. სხვა სიტყვებით, წარმოადგენს თუ არა კომპიუტერი კარგ და საჭირო იარაღს სისხლის სამართლის სისტემის ხელში დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიღების სისტემის ხასიათზე. ამავდროულად, საკუთრივ კომპიუტერის არსებობა წარმოადგენს ცდუნებას და ალბათ წნეხსაც მიმართულს იმ ტიპის გადაწყვეტილების მიმღებ სისტემებზე, რომელსაც შეუძლია ნამდვილად ეფექტურად გამოიყენოს კომპიუტერული პროგრამა. ვისაც არ მოსწონს მსგავსი სისტემები რა თქმა უნდა უარყოფითად იქნებიან განწყობილი ზოგადად კომპიუტერის მიმართ.

აღნიშნულს კი, მივყავართ მესამე და ალბათ ყველაზე მთავარ პრობლემაზე დაკავშირებულს კომპიუტერის გამოყენებასთან. მხოლოდ მხარეები არ არიან ისინი ვისაც აღარ დასჭირდებათ სასამართლოში წასვლა, რადგან მათ კომპიუტერებს შეეძლება შედეგის შედეგის წინასწარ გამოცნობა. მოსამართლეებსაც აღარ დასჭირდებათ პროცესის ჩატარება, როდესაც ბრალეულობა აშკარად დადგენილია. ან რატომ უნდა ჩაატაროს? ყველა ქმედებისთვის სასჯელი მკაცრად არის წინასწარ განსაზღვრული. თუ ბრალეულობის საკითხი გარკვეულია და მოსამართლეს წინასწარ მიეწოდება ყველა ისეთი

ინფორმაცია, რაც მას საშუალებას მისცეს შესაბამის კატეგორიაში ზუსტი ციფრი გამოთვალოს, პროცესზე დამნაშავესთან შეხვედრის არავითარი საჭიროება აღარ არსებობს. რადგანაც დანაშაულის კატეგორიები წინასწარ შეთანხმებული და ცნობილია, მოსამართლეს შეუძლია გაიმარტივოს თავისი საქმე და სთხოვოს მხარეებს წარმოადგინონ წერილობითი ინფორმაცია საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე, რის შემდეგაც მისი მდივანი გადაამოწმებს წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეს და სასჯელის დანიშვნის პროცედურაც დაიწყება, რაც ღილაკზე ხელის დაჭერას გულისხმობს, რათა კომპიუტერმა საბოლოო პასუხი დააფიქსიროს.

ხსენებული ელემენტების გამოყენებით, კომპიუტერს შესწევს დისტანციის გაორმაგების უნარი სისხლის სამართალში. კომპიუტერის არსებობის პირობებში შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღება მხარეთაგან საკმაოდ დაშორებულ მანძილზე. თუ მხარეები მანც ესწრებიან, მათი იქ ყოფნა საჭირო არ არის. შესაბამისად, გადაწყვეტილება ტკივილის შესახებ შესაძლოა მიღებულ იქნეს იმ პირის მონაწილეობის გარეშე ვის მიმართაც არის ეს ტკივილი მიმართული. ამ შემთხვევაში არავის მოუწევს ცრემლების, მწუხარებისა და უხამსი სიტყვების ყურება და მოსმენა. აღნიშნული უფრო ბიუროკრატიული პროცედურა იქნება. დოკუმენტები, სუფთა მაგიდები და ნათელი პასუხები. სწორედ ეს ნათელი პასუხებია აუცილებელი საზოგადოებაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. კომპიუტერის მიერ გამოთვლილ პასუხებში განთავსებული პრინციპები წყდება ზედა ეშელონებში. ყველა კატეგორიის დანაშაულისთვის პასუხი ზუსტად ერთნაირი იქნება დამნაშავეებისთვის. და ეს პასუხი თავად ნაკარნახებია დამნაშავის მიერ. მოსამართლეს კი, ღილაკზე თითის დაჭერის გარდა, სხვა გამოსავალი არ აქვს.

კომპიუტერთან დაკავშირებული მეოთხე პრობლემური საკითხი მის ფარულ სასწავლო გეგმაშია. მისი ფარული გზავნილი ისაა, რომ

კონფლიქტები გადაჭრილ უნდა იქნეს. კომპიუტერი იგივე კალკულატორია, ის შექმნილია პასუხის მოსაძებნად. მაგრამ ნუთუ კომპიუტერის მიერ მოცემული პასუხები ისაა რაც გვჭირდება? არის თუ არა ის სისხლის სამართლის პროცესისთვის დამახასიათებელი საბოლოო შედეგი, თუ თავად პასუხია შედეგი? აღნიშნულ კითხვებს შემდეგ თავში მივუბრუნდები.

სამართალში ტრენინგი არის ტრენინგი სიმარტივეში. იგი არის გახედნილი უუნარობა იმისა, შეისწავლოს ყველა ღირებულება მოცემულ სიტუაციაში, მაგრამ ამავდროულად იგი ამ პროცესში არჩევს მხოლოდ კანონიერად მართებულ ღირებულებებს ანუ ისეთებს, რომელიც სისტემის უმაღლესი ქურუმების მიერ მართებულადაა მოაზრებული. ნეო-კლასიციზმში არის ლოგიკური გაფართოება ელიმიაციის სრული პროცესისა. ტოტალურობის იმდენად მცირე ელემენტებია გათვალისწინებული, რომ თანასწორობა გარანტირებულია. მაგრამ აღნიშნული, სწორედ ამ გამარტივებების გამო არის პრიმიტიული სისტემა. კომპიუტერებმა გზა გაუხსნეს ახალ, გაცილებით რთულ შესაძლებლობებს. მაგრამ ახლა, როდესაც სრულყოფის ტექნიკური იარაღი უკვე შექმნილია, ჩვენ მკაფიოდ შეგვიძლია დავინახოთ, რომ სიცხადე, პროგნოზირება და ადმინისტრაციული კონტროლისთვის გათვალისწინებული წინასწარ დაპროგრამებული ქცევა, არასოდეს შეიძლება იყოს ერთადერთი იდეალი სამართლის სისტემისთვის. შეიძლება ნეო-კლასიციზმში არის ზედმეტად გამარტივებული მცდელობა, მიმართული არარსებული მიზნის მისაღწევად. ისიც შეიძლება, რომ სამართალი იმაზე მეტად იყოს დაკავშირებული ხელოვნებასთან ვიდრე გვგონია. მაგრამ ხელოვნებასა და ძალაუფლებას ხშირად დაძაბული ურთიერთობა აქვთ.

თავი 8

ნეო-პოზიტივიზმი

8.1 იპოთეზური საზოგადოება

1978 წელს სოციოლოგიის ასოციაციის შეხვედრის შემდეგ შევედეთ-ში, მე მივიღე წერილი საზღვარგარეთელი კოლეგებისგან, რომლებიც ითხოვდნენ ამ შეხვედრაში მომხდარის შესახებ განმარტებას. შეხვედრები გაიმართა უპსალაში, სტოკჰოლმთან ახლოს მდებარე ადგილას. კოლეგებიც ესწრებოდნენ შეხვედრას და განცვიფრებულები იყვნენ იმით, რაც ნახეს, ლოთები, ნარკომანები, მოხეტიალე მითოვებული ახალგაზრდები, რომლებიც პარლამენტის კიბეებთან, საკონცერტო დარბაზებთან, მეტროების შესასვლელთან ჯგუფურად იყრიდნენ თავს და შესაბამის იერს სძენდნენ სხვადასხვა ლამაზ სკანდინავიურ არქიტექტურულ დიზაინს. პოლიციაც სიახლოვეში იყო, თუმცა თითქმის არასდროს ერეოდნენ. შეხვედრის რამდენიმე მონაწილემ სხვა ქალაქებშიც იმოგზაურეს და გაოცებას ვერ მალავდნენ იმით, რომ ყველგან მსგავსი სურათი იყო. ოსლოში ნარკოტიკის გამსაღებლებისა და მომხმარებელების საყვარელ ადგილს წარმოადგენს „ჰილკოკის პარკი“ სამეფო სასახლის ახლოს, რომელსაც სიახლოვეში ემიჯნება ძველი უნივერსიტეტი და ეროვნული თეატრი, ხოლო პარლამენტი კი მის წინაა. იმდენად აშკარა და იმდენად ხალ-

ხმრავალ ადგილას იკრიბებიან მიტოვებული ახალგაზრდები, რომ ჩნდება განცდა თითქოს მათ უნდათ, რომ ჩანდნენ, თითქოს მათ რაღაცის თქმა უნდათ.

იქნებ მათ მართლა ეს სურთ.

შესაძლებელია მათი ნათქვამის სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია. ყველაზე მარტივია ის, რომ ისინი არაფერს ამბობენ. ყოველ შემთხვევაში არაფერს ახალს. ისინი ყოველთვის ჩვენს გარშემო იყვნენ და ახლა გახდნენ უფრო შესამჩნევი. საკითხი მდგომარეობს ციფრებში, რომლებმაც თავი ახალ ადგილზე იჩინეს. ჩვენ გავაუქმეთ ყველაზე საშინელი მიყრუებული ადგილები. ლუმპენპროლეტარების შეხვედრის ბუნებრივი ადგილები გაუქმდა და გადაიქცა უფრო მიმზიდველ, ჩახშობილ, სუფთა, ადაპტირებულ ადგილებად. უიღბლოების გეტოების ნაცვლად, ახლა ისინი სიამაყისთვის განკუთვნილ ცენტრებში იყრიან თავს. ანალოგიურად თუ არ იარსებებს ჰარლემი და მისი მსგავსი უბნები აშშ-ში, ისინი როკფელერის ცენტრში შეიკრიბებოდნენ.

განსხვავებული ინტერპრეტაცია ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდების ადგილზე, თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებებში. ახალგაზრდობა საკმაოდ გაწეილ პროცესად არის ქცეული. ასაკობრივი სტრუქტურა ადაპტირებულ იქნა სამუშაოს სტრუქტურას. ხალხისათვის განკუთვნილი სამუშაო ადგილები უფრო მცირდება და ადრინდელთან შედარებით არც დიდი საჭიროებაა. ჩვენ აღნიშნულს ვუმკლავდებით სამუშაოს საძებნელად მოსაცდელი წლების გაზრდით და საპენსიო ასაკისთვის მოსალოდნელი პერიოდის შემცირებით. საპენსიო ასაკი თანდათანობით შემცირდა. ჩვენ აღნიშნულ პრივილეგიას ვეძახით და მართლაც, ბევრსიტვის ეს ასეა. მეორე მხრივ, ჩვენ ვზრდით იმ პერიოდს რა დროსაც ადამიანებს არ ძალუძთ მუშაობა იქიდან გამომდინარე, რომ გაზრდილია სავალდებულო ან სავალდებულოსთან გათანაბრებული სასწავლო პროცესები. სისტემა ღიაა ყვე-

ლასთვის. აღნიშნული ჩვენი სოციალ დემოკრატიული ქვეყნის სიამა-ყვა. ყველას აქვს იმის პრივილეგია კონკურენცია გასწიონ იმ არენაზე, რომელიც შექმნილია საშუალო ფენის მიერ, საშუალო ფენისთვის. ეს არის შეთანხმება, რომელიც გამიზნულია იმისათვის, რომ შეცვალოს სტრუქტურული განსხვავებები და გარდაქმნას იგი ინდივიდუალური წარუმატებლობად ან ბრალად (იხ. მაგალითად, Hernes and Knudsen 1976, Callewaert and Nilsson 1978). წარუმატებელი ადამიანების უმეტესობა, კარგი წარუმატებლები არიან. ისინი ეთანხმებიან ვერდიქტს, ისინი არ არიან უკეთესი თავის შეფასებაში (ქულებში) და ისინი ეთანხმებიან იმ პოზიციას სამსახურში ან მის გარეთ, რომელიც შესაბამისობაშია მათ მიერ სწავლის დროს მოპოვებულ ქულებთან. მაგრამ არიან ისინიც ვინც არ ეთანხმება ამ ყველაფერს. ისინი ზიან პარკებში.

ივან ილიჩი (1978) საუცხოოდ აღწერს უმუშევრების მდგომარეობას. დანიაში უმუშევართა ჯგუფმა შექმნა საზოგადოება, რომელიც ტკბება თავისი თავისუფალი სტატუსით. მონობისგან, ანუ შეთავაზებული სამუშაოსგან, თავისუფლება დიდი პრივილეგიაა მათთვის ვისაც შესაბამისი რესურსები გააჩნია, რომ სიამოვნება მიიღოს ამ სტატუსისგან. მაგრამ აღნიშნულს სჭირდება ბევრი ტრენინგი კლასიკურ ენებში და მაღალი კლასები პურიტანიზმში იმისათვის, რაც საბოლოო ჯამში მოგვცემს უქნარა ინლისელების მსგავს ადამიანს, რომლებიც დატოვებული მემკვიდრეობით ირჩენენ თავს. ილიჩის შესაქმნელად აუცილებელი იყო იეზუიტების ტრენინგი და მნიშვნელოვანი თანდაყოლილი ტალანტი. სარგებლიანი უმუშევრობა ბევრისთვის მიუღწეველი ფუფუნებაა იმ საზოგადოებაში სადაც ჩვენ ყველანი დაპროგრამებულები ვართ მივყვეთ ცხოვრების ყოველდღიურ რიტმს და ვიმუშავოთ წლობით. უმუშევრებს ან პენსიონრებს უხდიან და ამით აძლევენ უამრავ უშინაარსო დროს. შესაბამისად, მათთვის ადვილია ცხოვრების ისეთი სტილის არჩევა, რომელიც მათი და სხვა ადამიანების კონტროლს არ ექვემდებარება.

ამას ემატება ის ფაქტიც, რომ კლასობრივი განსხვავება უფრო შე-სამჩნევი გახდა. სხვა ქვეყნებიდან ან მოხუცების თვალთახედვიდან დანახული ისე ჩანს, რომ სკანდინავიურ საზოგადოებაში ადამიანთა უმეტესობა საკმაოდ მდიდარია. მაგრამ ხალხი თავის თავს საზღვარგა-რეთიდან ან ისტორიული პერსპექტივიდან ვერ შეაფასებს. უთანასწო-რობა კვლავაც არსებობს და სიმდიდრეში ზრდა, რომელსაც შეუძლია დროებით შეაჩეროს უკმაყოფილება, შეჩერებულია. უთანასწორობა აღარ არის წინასწარი ან მოსამზადებელი სტადია. უთანასწორობა უკვე განიხილება საზოგადოების მუდმივ მახასიათებლად, იმ საზოგა-დოებისა, რომლისთვისაც თანასწორობა უმთავრესი ღირებულებაა.

თუ ეს საზოგადოებები სკანდინავიური ტიპისაა, მაშინ ისინი თა-ვის თავს კეთილდღეობის პრინციპის გამტარებელ სახელმწიფოდ (welfare states) მოიაზრებენ. ჰასე ბეტერბერგი მსგავსი ტიპის სახელ-მწიფოებს აზარტული მოთამაშის სამოთხეს უწოდებს, ადგილს სადაც ადამიანს მხოლოდ მოგება შეუძლია. აღნიშნული ტერმინი მან 60-იან წლებში დაამკვიდრა ოსლოში, ერთ-ერთ ლექციაზე. დარმწმუნებუ-ლი არ ვარ, რომ მას დღესაც გამოეყენებინა ეს ტერმინი. შესაძლე-ბელია, რომ ასეთ საზოგადოებაში მუდმივად დამარცხებული იყო და ნარკომნები ყოვლდღიურად ადასტურებენ ამას. მეძავები კიდევ ერთი მაგალითია ამისა. ნორვეგიაში მოხუცი ან ავადმყოფი ადამი-ანების პენსია შეადგენს ინდუსტრიული მუშაკის საშუალო ხელფასის მეოთხედს. იმ ადამიანების შემოსავალი, ვინც დამოკიდებულია მუნი-ციპალურ სოციალურ დაცვის სისტემაზე, პენსიის ნახევარს შეადგენს. როგორც კნუტ დალ იაკობსენი უთითებს (1967), „ყველაზე დიდი დაბ-რკოლება კეთილდღეობის პრინციპის გამტარებელ სახელმწიფოს შექმნისა არის რწმენა იმისა, რომ მსგავსი სახელმწიფო უკვე გვაქვს“. ბალვიგმა (1980) საკმაოდ მყარი მტკიცებულებები წარმოადგინა იმის წარმოსაჩენად, რომ სიღარიბესა და დანაშაულს შორის არსებული ძველი ურთიერთობა კვლავაც არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულს არაერთი მეცნიერი უარყოფს.

მიუხედავად ყველაფრისა ჩვენ რაღაც დოზით ვცხოვრობთ კეთილდღეობის სახელმწიფოში. ისინი ვინც მორჩილ ღარიბ ფენას მიეკუთვნებიან ბოლომდე ვერ დამარცხდებიან. სადღაც შორს მათთვისაც არსებობს უსაფრთხოების ბერკეტები. საუკუნის დასაწყისთან შედარებით აღნიშნული არის დიდი სხვაობა. ჩვენი ძველი ლეიბორისტი პოლიტიკოსები სიამაყით უყურებდნენ საკუთარ მიღწევებს. მათ შექმნეს საზოგადოება სადაც „დამსახურებული ღარიბი“ არ შიმშილობდა, ჰქონდათ გარკვეული ტიპის თავშესაფარი და მათი სიცოცხლის უკანასკნელ ეტაპზე ასევე გარკვეული სახის მატერიალური მზრუნველობა ეძლეოდათ.

მაგრამ სოციალურ კონტროლს, სწორედ ასეთი სისტემა უქმნის სპეციფიკურ პრობლემებს. ლუმპენპროლეტარიატის ნაწილები ყველასთვის დაკარგულია. მათთვის სასჯელიც აღარ არსებობს. მათი კონტროლი შეუძლებელია სამუშაოს დაკარგვის მუქარით, რადგან მათ არ აქვთ სამუშაო. მათი კონტროლი შეუძლებელია ოჯახთან დაშორების მუქარით, რადგან მათ არ ჰყავთ ოჯახები. მათი კონტროლი შეუძლებელია იმაზე დამუქრებით, რომ მათი ნათესავები დაიტანჯებიან, რადგან კეთილდღეობის სახელმწიფოს ვალია იზრუნოს ყველაზე. რწმენა იმისა, რომ ჩვენ ყოველთვის გვყავს ვიღაც მზრუნველი თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც დაბალი ისე მაღალი ფენის წარმომადგენლებისთვის, რადგან ისინი ამით ახდენენ სინდისის ნეიტრალიზაციას იმ უყურადღებობის გამო, რომელსაც ისინი იჩენენ ნათესავების, მეგობრების ან იმათ მიმართ, ვისაც მზრუნველობა ესაჭიროება. და ბოლოს, შეუძლებელია ლუმპენპროლეტარიატის იმ წარმომადგენლების კონტროლი, რომლებიც თანახმა არიან იცხოვრონ აბსოლუტურ მინიმუმზე. მათ გარანტირებული აქვთ სავალდებულო მინიმუმი მიუხედავად იმისა, ხარჯავენ ისინი ამ თანხას ნარკოტიკის ან ალკოჰოლის შეძენაში თუ არა.

დრო თავისუფალია, მინიმალური ფული ჩემია (და შეუძლებელია მისი წართმევა კეთილდღეობის სახელმწიფოს საფუძვლის შეცვლის

გარეშე) და ისედაც არავის არაფერში ვჭირდები. რატომ არ უნდა მოვიხმარო ნარკოტიკი ან ალკოჰოლი მაშინ, როცა მინდა და რა დობითაც მინდა, მათ შორის სიკვდილამდე.

დამატებით, ყურადღება კიდევ ერთხელ უნდა გამახვილდეს დანაშაულის კონტროლის ისტორიაზე. დანაშაულის განკურნების იდეოლოგია დიდი შედეგების მომტანი არ ყოფილა. მეცნიერებამ, სოციალურ მიღწევებთან ერთად, განაპირობა მისი კრახი. დევიაციის იძულებითი განკურნების იდეამ არ იმუშავა და განაპირობა ის, რომ იგი ძირითადად უსამართლოდ იყო მიმართული საზოგადოების ერთი ფენის - მუშათა კლასის - წინააღმდეგ. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების, საშიში დამნაშავეებისა და ფსიქოპატებისათვის მოწყობილი სამკურნალო დაწესებულებები, ყველა გაუქმდა. ექსპერტი ფსიქიატრები დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ ექიმთა წრეში. ახალგზარდა თაობის უმეტესი წარმომადგენელი ეწინააღმდეგებოდა სავალდებულო მკურნალობის იდეოლოგიას, როგორც პასუხს დევიაციურ ქმედებაზე. მკურნალობის იდეოლოგიის გადაცდომების საპასუხოდ, დაშინების თეორიის პოტენციური გადაცდომების საპასუხოდ, ჩვენ მივიღეთ შედარებით ლეგალური იდეოლოგია, რომელმაც გამოხატულება ნეო-კლასიციზმში ჰპოვა.

ჩვენ კვლავინდებურად შეგვიძლია გავუმკლავდეთ მძიმე დანაშაულებს, რაც იმას გულისხმობს, რომ ჩვენ შეგვიძლია ქუჩებს ჩამოვაშოროთ მძიმე დანაშაულის ჩამდენი კრიმინალები და ყველაფერი ეს გავაკეთოთ მართლმსაჯულების სახელით. მაგრამ როდესაც საქმე მიდგება ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე, ჩვენ უძლურები ვართ. ისინი უფრო ადვილად შესამჩნევია და შესახედად საკმაოდ საზარელია. ისინი თავს იკლავენ ალკოჰოლით ან ნარკოტიკით. მაგრამ ზოგიერთი ამ დანაშაულის ჩამდენი ქმედებას ჩადის პენსიით მიღებული თანხით, ხოლო სხვები წვრილმანი ქმედებების დახამრებით, რომლის მტკიცებაც ძალიან ძნელია. ამ შემთხვევაში მკურნალობა არ უშველის.

8.2 კონსოლის მოხეჯები

არამართო უცხოელი კოლეგები არიან გაოგნებული იმ ბნელი დე-ვიაციური პრაქტიკით, რომელიც სხვა მხრივ ჩვენს სუფთა ქუჩებში ხდება. ჩვენ ყველას გვაქვს გარკვეული პრობლემები აღნიშნულთან დაკავშირებით, მაგრამ ზოგს უფრო მეტად. განსაკუთრებით ზიანდება შემდეგი სამი ჯგუფი:

პირველი: მშობლები და ახალგაზრდებთან სხვაგვარად დაკავშირებული ადამინები, რომლებიც მომსწრეები არიან იმისა, თუ როგორ მოიხმარენ ალკოჰოლსა და ნარკოტიკს ან როგორ არიან ჩართული დანაშაულებრივ ქმედებებში. უწინ, ვინც არ ემორჩილებოდა მშობლებს აგდებდნენ სახლიდან და შეიძლებოდა შიმშილით მომკვდარიყო. დღეის მდგომარეობით მათ შეუძლიათ გადარჩენა „ნარჩენებისა“ და საზოგადოებრივი პოლისების ხარჯზე. შესაბამისად, სიტყვიერი მოთხოვნები კონტროლის ალტერნატიული მექანიზმების აუცილებლობის შესახებ გაცილებით მეტად გაისმის. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ახალგაზრდები თავის ნებაზე იყვნენ მიშვებული. სავალდებულო სწავლა, სამკურნალო დაწესებულებები და საბოლოო ჯამში ციხე, არის ის ალტერნატივები რომლისკენაც ტარდება სამუშაოები. ზოგიერთი ძველი ლიბერალი ცდილობს ხაზი გაუსვას იმ საფრთხეებს, რაც შეიძლება ახალგაზრდამ განიცადოს ციხეში. თუმცა, მათი მოსაზრებები ადვილად ნეიტრალდება მშობლების მიერ, რომლებიც სხვა ვერაფერს უხერხებენ, ნარკოტიკებში დაკარგულ შვილებს. მათ ურჩევნიათ ცოცხლად ჰყავდეთ შვილები, თუნდაც ციხეში. ვიზიარებ ამ პოზიციას.

დაზარალებულთა მეორე კატეგორიას განეკუთვნებიან ხილული დანაშაულის რეალური და პოტენციური მსხვერპლები. რთულია იმის მტკიცება გაიზარდა თუ არა დანაშაული. მაგრამ აშკარაა, რომ დანაშაულთან დაკავშირებული ვნებათაღელვა ნამდვილად გაიზარდა. დანაშაული წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გაყიდვად პროდუქტს,

რომელსაც სიამოვნებით აშუქებს მედია. ამავდროულად, სოციალური სტრუქტურა შეცვლილია იმდაგვარად, რომ შეუძლებელია იმის გაგება რამდენად წარმომადგენლობითია მედიის მიერ გაშუქებული ინფორმაცია. ბალვიგის (1979) მიხედვით, ვნებათაღელვა დანაშაულის მსხვერპლად გახდომის შესახებ მით უფრო იმატებს, რაც უფრო იზოლირებულია ადამიანი. მარტოხელა მოხუცი ქალბატონი ზუსტად იგივეს ხედავს და ისევე შეცბუნებულია სტოკჰოლმის ქუჩაში ნანახით, როგორც უცხოელი კოლეგები. ამავდროულად იგი წაიკითხავს გაზეთს და გაიგებს ყველაფერს. მაგრამ ის ამ საქმეში მარტო არაა და მისი შეშფოთების უკან მართლაც არის შემამფოთებელი საკითხები. კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სახელწიფოს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს საკუთრების გადანაწილებასთან დაკავშირებით. საკმაოდ ცოტაა ზრდასრული ადამიანი რაიმე საკუთრების გარეშე, ნივთების გარეშე, რომელიც შეიძლება მოპარულ არ იქნეს, საკუთრება, რომელიც არ საჭიროებს დაცვას.

ამ შემთხვევაშიც ზოგიერთი ძველი თაობის ლიბერალი ჩარევას შეეცდება და აუხსნის მოხუც ქალბატონებს, რომ რაც ხდება არც ისეთი სახიფათოა და მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ვინც მათ საკუთრებას საფრთხეს უქმნის არიან საცოდავი, ავადმყოფი ადამიანები, რომლებსაც სჭირდებათ გაგება და არა ტკივილის მიყენება. ნორვეგიის ყოფილი იუსტიციის მინისტრი იზიარებდა ამ უკანასკნელ პოზიციას, მაგრამ იგი ყოფილი სწორედ იმიტომ გახდა, რომ ამ პოზიციას იზიარებდა. უკიდურესად მემარცხენე პოლიტიკური ფრთა დაბნეულია და წარმოდგენა არა აქვს, როგორ გაუმკლავდეს ამ შემთხვევას. უმეტესობა ლიბერალების პოზიციას იზიარებს, მაგრამ არიან გამონაკლისებიც, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი მაოსტი (იგულისხმება მათ ძედუნის კომუნისტური იდეოლოგიის მიმდევარი) იან მირდალი (1977). მის რამდენიმე ნაშრომში იგი ამტკიცებს, რომ დამნაშავეები მუშათა კლასის მტრები არიან. მირდალის

მიხედვით, პოლიცია და ციხის თანამშრომლები უფრო ახლოს არიან მუშათა კლასთან ვიდრე ლუმპენპროლეტარიატთან. იგი დადასტურებულად არ მიიჩნევა იმ ფაქტს, რომ მუშას ყოველ მიზეზ გარეშე უნდა შეესრულებინა სასჯელაღსრულების მოძრაობის მითითებები. „ჩვენ ვართ კანონის და წესრიგის მხარეზე. ჩვენ ვართ პოლიციის მხარეს, როგორც დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, ისე პოლიციელის სამუშაო პირობებისა და სოციალური გარანტიების გაუმჯობესების კუთხით“.

1960 წელს, შვედეთში მსჯავრდებულებმა და ყოფილმა მსჯავრდებულებმა გამართეს პირველი შეხვედრა. პრესამ ამ შეხვედრას „ქურდების პარლამენტი“ უწოდა. აღნიშნული შეხვედრა საკმაოდ უცნაური იყო. პატიმრებს უნდა დაეცვათ სიჩუმე, არ მოეთხოვათ არაფერი, არ უნდა ჩარეულიყვნენ სასჯელის დანიშვნის პროცესში. რამდენიმე წლის შემდეგ, სკანდინავიურ ქვეყნებს ჰქონდათ პატიმრების ორგანიზაციები. ისინი საზოგადოების ყურადღების ქვეშ იყვნენ მოქცეული. მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო, ციხის პირობების გაუმჯობესება, პატიმრების ორგანიზება და საჭიროების შემთხვევაში მათი გაფიცვა. ტომას მათიესენი (1974) აღწერს მათ საქმიანობას კარგად. მათ უამრავი მარცხი განიცადეს, მაგრამ გამარჯვებებიც ჰქონდათ. ამ ორგანიზაციების არსებობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, მათი წევრების მხრიდან თავის თავში რწმენის და ღირსების დაბრუნება იყო.

დღეს სიტუაცია შეცვლილია დრამატულად. დღესდღეობით ციხის მოძრაობები უფრო თავდაცვითი ღონისძიებების სახეს ატარებს ვიდრე 70-იანი წლების დასაწყისში. აღნიშნული მოძრაობების მიმართ საზოგადოების დაინტერესებაც დაბალია. გარემოება შეიცვალა. ყოფილი მოკავშირეები მტრები გახდნენ, უფრო ნაკლებ ინიციატივებს იჩენენ ან აღარც აქვთ ძალაუფლება. ეკონომიკური პრობლემების თაობაზე ახალი ექსპერიმენტები აღარ ტარდება. კეთილდღეობის

ყველაზე შესამჩნევი ლაქების ჩამოსაშორებლად მკაცრი მოქმედებაა საჭირო და არა სისუსტე. კანონისა და წესრიგის მოთხოვნებს, ასევე დიდი გამოძახილი აქვთ სკანდინავიაში. რა თქმა უნდა მათ აქვთ. მაღალ ინდუსტრიულ საზოგადოებები მიდრეკილი არიან ისეთი სიტუაციების შექმნისკენ სადაც ეს მოხდება. საწყის ეტაპზე, როდესაც ყველაფერი გადაჭარბებულად იყო, ჩვენ შეგვეძლო მოდუნება, მშვიდად ყოფნა, ლიბერალიზმი მართავდა ყველაფერს და არსებული პრობლემები წარმავალი იყო. ახლა პრობლემები მუდმივია. ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, მიწოდებაც ყოველწლიურად იკლებს. სიტუაცია უზომო პოტენციალიდან და პროგრესიდან, არსებული მინიმუმის დაცვამდე შეცვალა.

მაგრამ ყველაზე მეტად გამწარებული და დაბნეული არიან ამ ყველაფრის შემქნელები, ისინი ვინც იყვნენ ახალგაზრდები და ლარიბები და იბრძოდნენ სოციალიზმისთვის, რომელიც შემდეგ სოციალდემოკრატიამ შეცვალა, ხოლო საბოლოოდ კეთილდღეობის სახელმწიფომ. ადრეულ პერიოდში ჩვენ გარშემო არსებულ სიღარიბესთან შედარებით, ჩვენი ამდროინდელი სიმდიდრე წარმოუდგენელია. აღნიშნული დაადასტურეს კვლევებმა (მაგ. რამსონი 1977) და პრინციპში არც კი გვჭირდება კვლევები, რადგან ბევრ ჩვენთაგანს ისედაც ყველაფერი ახსოვს. ჩვენ ძველ უსაფრთხოების სისტემასთან შედარებით, ახალის სისტემის ხარისხი დიდებულია. მიუხედავად ამისა, მაინც არ იგრძნობა რომ მიზანს მივალწიეთ. თუ მიზანი მიღწეულია მაშინ რატომ არის ქუჩები სავსე გამხდარი, უფერული ახალგაზრდებით, რომელიც ხილულია როგორც მეფისთვის, ისე მეფის ხალხისთვის?

ცდუნება უნდა იყოს საშინელი. პარლამენტის რამდენიმე გადაწყვეტილება და ბნელი ლაქები მოცილებული იქნება. არ არის აუცილებელი აღნიშნულს ეწოდოს ხულიგანიზმის წინააღმდეგ კანონი, რომელიც შეიძლება ვერ იქნეს გაგებული. შეგვიძლია მას ვუწოდოთ ახალგაზრდების დასაცავად მიღებული კანონი. მათ დახმარება და

დაცვა სჭირდებათ. მათ მშობლებსაც სჭირდებათ ეს. დაზარალებულებსაც სჭირდებათ. კეთილდღეობაზე ორიენტირებული სახელმწიფოსაც სჭირდება ეს, რადგან უკვე იმ კონდიციამდე არიან მისული, რომ კონტროლის სადავეები ხელიდან გაუშვან.

შეჯამების სახით უნდა იქთვას, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეები უფრო მეტად ხილული გახდნენ და უფრო გართულდა მათი ქცევის კონტროლი, შესაბამისად, მათი ნათესავები, დაზარალებულები, მემარცხენე პოლიტიკოსები და კეთილდღეობის სახელმწიფოს შემქმნელები კონკრეტულ ქმედებებს ითხოვენ. საერთო ჯამში სახეზე გვაქვს არასტაბილური სიტუაცია. რაღაც უნდა მოხდეს და მოხდება კიდევ.

8.3 ჩვენი ამხანაგები

გასულ ზაფხულს, შვედეთში, 350 სოციალური მუშაკი შეიკრიბა იმისათვის, რომ მოესმინათ გზავნილი იმის თაობაზე, თუ როგორ გამკლავებოდნენ ნარკოტიკის პრობლემას. შეხვედრა გაიმართა ჰასელაში, პატარა და გეოგრაფიულად განცალკევებულ ქალაქში. არაფერი ისეთი ყბადაღებული და განსჯის საგანი არ არის დღესდღეობით სოციალურ მუშაკთა წრეში, როგორც ჰასელა. ინსტიტუტები საკუთარ პრინციპებზე დაყრდნობით მრავლდებიან სკანდინავიის სხვა ქვეყნებში. მათ იდეებს, როგორც სოციალური სამუშაოს ყოველდღიურ პრაქტიკას სხვა ინსტიტუტებიც ითავსებენ.

და რა იყო ხსენებული გზავნილი?

ყველაზე ხშირად გამოთქმული იდეა იყო ის, რომ კლიენტები არიან ამხანაგები. ნარკოდამოკიდებულები და ალკოჰოლიკები მუშათა კლასს მიეკუთვნებიან. ჩვენ, ჰასელელი ხალხი სოციალისტები ვართ. ისინი ჩვენი ამხანაგები არიან და შესაბამისად უნდა მოვექცეთ. ჩვენ საერთო იდენტობა და საერთო მიზნები გვაქვს. ამხანაგობა პასუხის-

მეგლობას ნიშნავს, ჩვენ ვალდებული ვართ დავეხმაროთ ჩვენს ამხანაგებს და გამოვიყენოთ ყველა საჭირო ზომა, რათა თავიანთი მავნე ჩვევებზე უარი თქვან. 1850 წლიდან საუკუნის ბოლომდე, სკანდინავიელი მუშათა კლასი ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების პრობლემის წინაშე დადგა. ლეობორისტმა ლიდერებმა დაინახეს ეს და იმოქმედეს. მუშები ვერასდროს გახდებოდნენ თავისუფლები და მათი მოძრაობა ვერასდროს იქნებოდა ძლიერი, თუ ალკოჰოლის პრობლემა არ გადაიტრებოდა. ტიტოტალიზმი შრომის უმთავრესი ნაწილი გახდა და ალკოჰოლის პრობლემა კონტროლს დაექვემდებარა. ახლა, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი ძველ, სახიფათო ნიშნულს დაუბრუნდა, რომელიც სასწრაფოდ საჭიროებს კონტროლს ძველი რეცეპტის მიხედვით.

ხალხის იძულება თავის შეკავებისკენ ერთ-ერთი ნაცადი ხერხია. ამხანაგებს არ აძლევენ იმის უფლებას, რომ ნარკოტიკების მოხმარებით თავი მოიკლან, მათ შველიან. შენ კვდები შენი ამხანაგისთვის და რა თქვა უნდა აიძულებ მას იცოცხლოს. თუ საჭიროა, შენ მას აიძულებ შეწყვიტოს ნარკოტიკის მოხმარება. თუ საჭიროა, შენ ამხანაგურ მზრუნველობას მანამ არ მოაკლებ, სანამ არ დაეხმარები მას. ჰასელა ახალგაზრდა მომხმარებელიბისთვისაა შექმნილი. მათ იჭერენ სტოკჰოლმში, გზავნიან ჰასელაში, მათი ნება-სურვილის მიუხედავად და თუ გაიქცევიან, პოლიცია უკან მიიყვანს მათ. ისინი იქ არიან ერთი წლის განმავლობაში. დამატებით, მათ უწევთ ერთწლიანი სავალდებულო მონაწილეობა „სახალხო უმაღლეს სკოლაში“ სხვა ახალგაზრდებთან ერთად, რომელთათვისაც ამ სკოლაში სიარული სავალდებულო არ არის. მათ იქ შეიძლება დაჰყონ 20 წლამდე. ბავშვთა კეთილდღეობის სამართალი არის მათი იქ ყოფნის სამართლებრივი საფუძველი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია აღნიშნული მიდგომის მორალური მხარე. სტანდარტები დადგენილია, სტანდარტების დარღვევა მკაცრად იკიცხება თანამშრომლებისა და სხვა ამხანაგების მიერ.

ჰასელა არ არის მოწყობილი იმისთვის, რომ კლიენტების სულში აფათუროს ხელი ან იკვლიოს მათ მიერ ცხოვრების ადრეულ ასაკში გადახდენილი ცუდი ფაქტები. იქ არ არსებობს მსუბუქი ლიბერალიზმი. ეს არის საკმაოდ მოთხოვნადი ადგილი, თავისი მძიმე შედეგებით უპასუხისმგებლობის ნებისმიერ გამოვლინებაზე. აქ ცხოვრება უხეშია, უხეში არამართო ახალგაზრდებისთვის, არამედ თანამშრომლებისთვისაც. ისინი იქ ცხოვრობენ, მონაწილეობას იღებენ ყველა აქტივობაში და ისინი კლიენტებისგან არ არიან რაიმე დამცავი ზღუდით შემოფარგლული. ეს არის ყველასთვის ტოტალური ინსტიტუტი.

როგორც ჩანს ეს ინსტიტუტი მუშაობს. მეტიც, მავანნი ამტკიცებენ, რომ ამ პროგრამის წარმატება გაცილებით აღემატება შვედეთის სამეფოში არსებულ სხვა პროგრამებს. მართალია, აღნიშნული საკამათოა (Englund 1975, Thelander 1979), მაგრამ შესაძლებელია მისი დამტკიცება. ჰასელა საკმაოდ წარმატებულია ახალგაზრდების მოხმარების პრობლემის გადაჭრაში და ასევე, საკმაოდ წარმატებულია იმაშიც, რომ თავის ძალებში დაერწმუნებინა სხვა მხრივ გამოუსადეგარი სოციალური მუშაკები და სხვა პროფესიონალები. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ წარმატების ხარჯები შესაძლოა სჭარბობენ იმ სარგებელს, რომელსაც ახალგაზრდა მომხმარებლები იღებენ.

8.4 ჩვენი ახანაგი ავაზროულად მოხელა

ჰასელას პრობლემა, არა საკუთრივ ჰასელაშია, არამედ იმათში ვინც გამალებით ელოდება რაიმე მოქმედებას, მაშინ როდესაც საზოგადოება საერთოდ არაფერს არ აკეთებს. ჰასელა სავსეა იდეალისტი და ისეთი ადამიანებით, რომლებიც თავისი იდეების შედეგებით ცხოვრობენ. მე დიდ პატივს ვცემ მათ ქმედებებს, მაგრამ არა მათი სოციალური ანალიზის გამო. ანალოგია ჩვენ ახლანდელ და გასული საუკუნის სკანდინავიურ საზოგადოებას შორის საკმაოდ შემამოფოთებელია, რადგან თითქმის არ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სა-

ზოგადოებისათვის განკუთვნილ გზავნილებს გაითავისებენ. ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩვენ ვნახეთ არნახული მატება იმ პროფესიონალებისა, რომლებიც ეხმარებიან ადამიანებს ვისაც ქცევის პრობლემა აქვთ. ახლა ისინი იქ არიან, ზოგიერთ მათგანს საკუთარი იდენტობა უდევთ სასწროზე. მაგრამ ამავდროულად ისინი მოხელეები არიან, უმეტესობა მათგანი ბიუროკრატიულ დაწესებულებებში მსახურობს, 9 საათიდან 4 საათამდე, ზუსტად გაწერილი ვალდებულებებით, უამრავი დოკუმენტით, კლიენტებთან მცირედი შეხებით და მათ ამავე კლიენტებზე აქვთ ადმინისტრაციული ძალაუფლება. მათ არ უწევთ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგებზე ფიქრი, ისინი სახლიდან გარეუბნებში მიდიან, პარტნიორებთან და შვილებთან და ძალებთან, მიდიან აგარაკებზე და ცხოვრობენ ჩვეულებრივი ცხოვრებით და ვიღაცამ უნდა აგრძნობინოს ნარკოტიკების მომხმარებლებს რა შედეგები მოჰყვება მათ ქცევას თუ ისინი არ დაემორჩევიან „თამაშის“ დადგენილ წესებს. ეს ვიღაცეები გახდებიან დასავლეთის საზოგადოებებში სოციალური კონტროლის ახალი მიმდევრები. მე ვთავაზობთ მათ „ამხანაგი მოხელეები“ ვუწოდოთ.

მაგრამ ზოგიერთი მათგანი ისაუბრებს არა როგორც ამხანაგი, არამედ როგორც მოხელე. ისინი დაიწყებენ საკუთარი ღონისძიებების გატარებას მომხმარებლების წინააღმდეგ. მათ ეს კარგად ისწავლეს. თუ კლიენტი გაიქცევა, ისინი იპოვნიან მას და უკან მოიყვანენ. თუ ვერ იპოვიან, მაშინ პოლიციას სთხოვენ მის პოვნას. როდესაც პოლიცია იპოვის მას და მოიყვანს, მასზე კონტროლი გამკაცრდება ისე, რომ ხელახლა გაქცევა ვეღარ მოახერხოს. მაგრამ ისინი დაიღლებიან. პარტიონრებს ყურადღება დასჭრიდებათ; მათ შვილებს შეიძლება წითელა დაემართოს; პოლიცია გაღიზიანდება; და საბოლოოდ ისინი კლიტეებს დააყენებენ. მაგრამ კლიტის გატეხვა ადვილია და უკანონოდ გაღება ახალ სამართლებრივ პრობლემას ქმნის. ამის შემდეგ აღმართავენ ღობეს, მაგრამ ზოგიერთი ამოთხრის ორმოს; აღიმართება კედელი, მაგრამ ზოგიერთი მაინც გადაახტება; საკ-

ნები დამონტაჟდება, მაგრამ ზოგიერთი მაინც დააღწევს თავს, ღობეს გადაახტება და გაიქცევა. ყველაფერი აღნიშნულის ასაცილებლად სპეციალური სამკურნალო ბლოკი ამენდება.

ძველი ფილმივითაა. ეს ყველაფერი ხომ ნანახი გვაქვს უკვე. ჰასელას იდეოლოგიის პოტენციალი ახალგაზრდა დამნაშავეების სკოლების მიერ გაწეული სამუშაოს განმეორებას ჰგავს. ამ სკოლების სტარტიც იდეალისტური იყო და ახალგაზრდებს ახალ შანსს სთავაზობდნენ. თუმცა, მასწავლებლების ხელთ არსებული ძალაუფლების გამო, რომლის მიხედვითაც მათ თავიანთი ურჩი მოსწავლეების მიმართ საკმაოდ დიდი დისკრეცია ჰქონდათ, სკოლები საბოლოო ჯამში უსიამოვნო განუსაზღვრელი სასჯელის მქონე ციხეებს დაემსგავსნენ. აქედან გამომდინარე, რთულია იმის გაგება თუ რატომ უნდა იყვნენ სოციალური მუშაკები ჰასელაში აღნიშნული სკოლის მასწავლებლებზე წამატებულები.

სკანდინავიაში სპეციალური დაწესებულებები განკუთვნილი ბავშვებისთვის, რომლებსაც ქცევის პრობლემები ჰქონდათ, გასული საუკუნის ბოლოს დაარსდა, პოლიტიკოსების, სამართლის სპეციალისტების და მასწავლებლების მოთხოვნით (Stang Dahl 1978). აღნიშნული მაკონტროლებელი მხარისათვის შვებას წარმოადგენდა. ამ დაწესებულების თანამშრომლები უნდა ყოფილიყვნენ ექსპერტები, დაქირავებული საგანმანათლებლო, ჯანდაცვის და კეთილდღეობის სფეროდან. თუმცა კეთილდღეობის ელემენტის პრაქტიკული ხორცშესხმა არ მომხდარა. იმ პერიოდში ამ სფეროში პროფესიონალების ნაკლებობა იგრძნობოდა. მაგრამ დღესდღეობით ისინი საკმაოდ ბევრი არიან, ელოდებიან ახალ დავალებებს და ამავდროულად სწავლობენ ძველ შეცდომებზე და საკუთარ თავს ამხანაგად მოიაზრებენ. შესაბამისად, ჩვენ სახეზე გვაქვს სავალდებულო მოხმარების სისტემა, რომლის ერთ-ერთი პროდუქტი სოციალური კონტროლია, რომელსაც ახორციელებენ ამხანაგ-მოხელეების მსგავსი ადამიანები, რომლის მსგავსიც, სხვა პირობებში, მხოლოდ ტოტალიტარულ სახელმწიფოებში გვხვდება.

თავი 9

საშუალო სპივილი?

9.1 ერთ განყოფილებიანი რითი

დიდი ტალღების მსგავსად, კონტროლის სხვადასხვა ფორმები ჩნდება, უჩინარდება და მერე ისევ ჩნდება. სხვა სიტყვებით შესაძლებელია იგი რითმს შევადაროთ, რომელიც ჩნდება და უჩინარდება. კლასიციზმისა და პოზიტივიზმის რითმი შემდგომში ჩანაცვლა ნეო-კლასიციზმმა და ნეო-პოზიტივიზმმა. არცერთი აღნიშნული ექსტრემალური პოზიცია არ არის სტაბილური. თუმცა, მათ აქვთ პოტენციური ცვლილებისკენ. კლასიკური და ნეო-კლასიკური პოზიციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სასჯელის თანასწორობას ქმედების სიმძიმესთან, მაგრამ მათი მართლმსაჯულების დიაპაზონი ამის იქით აღარ მიდის. აღნიშნული პოზიციები არც იმისთვისაა გამიზნული, რომ შექმნას კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულების ეფექტური კონტროლით იქნება დაკავებული. ამის საპირისპიროდ, პიზიტივისტური და ნეო-პოზიტივისტური იდეოლოგიები იძლევიან კონტროლის ეფექტურ საშუალებებს, არა მარტო ნაკლებად მძიმე დანაშაულებისთვის, არამედ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისა და საშიშროების

შემცველი დამნაშავეების მიმართ. მათი დეფექტები ხილული ხდება ისეთ პერიოდებში, როდესაც კონტროლის საჭიროება იკვლევს, ან როდესაც ამ ტიპის კონტროლის პოტენციური სამიზნეები პოლიტიკურ ძალაუფლებას ან მხარდაჭერას იძენენ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ისმის კითხვა, არსებობს თუ არა რაიმე შუალედური პოზიცია, სადაც რითმი წყვეტს მოძრაობას და სადაც ჰარმონია ისადგურებს? თეორიაში ალბათ არ არსებობს, მაგრამ პრაქტიკაში შესაძლებელია ბუნდოვანი კომპრომისების მოძებნა. ცოტაოდენი პროპორციულობა ქმედებასა და სასჯელს შორის, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი ადამიანების ცოტაოდენი კონტროლი მათი საჭიროებების მიხედვით, ცოტაოდენი განუსაზღვრელი სასჯელები მათთვის ვინ განსაკუთრებით საფრთხის შემცველად ითვლება. დანაშაულის კონტროლი ცხად პრინციპებს არ ემყარება. მეტიც, ამ პრინციპების სიცხადე ამორალური დანაშაულის და საერთაშორისო ეკონომიკის კონტროლის მსგავსია. აღნიშნული არის ყოველდღიური საკითხი, რომელიც მოითხოვს კომპრომისებს და შეიცავს ბუნდოვანებებს. მხოლოდ მცირე რაოდენობის სოციალური სისტემები მოახერხებდნენ გადარჩენას მონაწილეებს, რომ სრულად ესმოდეთ ერთმანეთის ან გარშემორტყმული იყვნენ მათი სისტემების დეკლარირებული ძირითადი პრინციპების მიხედვით.

ერთი მიზეზი, რატომაც ადვილია კომპრომისების პოვნა დანაშაულის კონტროლის სისტემაში არის ის, რომ ე.წ. ექსტრემალური პოზიციები არც თუ ისე გასწვავდებიან ერთმანეთისგან. შესაძლებელია პოზიტივიზმსა და კლასიციზმს, ასევე, ნეო-პოზიტივიზმისა და ნეო-კლასიციზმს შორის გაცილებით მეტი საერთო მახასიათებელი არსებობდეს, ვიდრე სხვაობა.

ბემოთ მე ვამტკიცებდი, რომ მკურნალობის იდეოლოგიასა და გენერალურ პრევენციას (დაშინებას) საერთო მახასიათებლები აქვთ. ახლა მსურს ჩემი ამ მოსაზრების ერთი საფეხურით წინ წაწევა და იმის მტკიცება, პოზიტივიზმი და კლასიციზმი, როგორც დანაშაულის კონტროლის საშუალებები, შეიცავენ მრავალ საერთო ნიშანს. ბეკარია სასჯელს გამიზნულად იყენებდა. ვონ ჰირშის ანგარიში დანაშაულის პრევენციისთვის ტკივილის განაწილების დონეებს ადგენს. ისინი იბრძოდნენ თანასწორობისთვის დანაშაულის განაწილების პროცესში. მაგრამ განაწილებასაც აქვს თავის მიზეზი, რომლის უკანაც დანაშაულის კონტროლის აშკარა მიზანი დგას. ნეო-კლასიციზმი მოქმედებს არა მარტო გენერალური პრევენციის ინტერესების გამოსაცოცხლებლად. აღნიშნულ ორ მიმდინარეობას ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ. დასჯა, როგორც სასჯელის მიზანი, იქნებოდა საკმაოდ ცარიელი, რომ არ განიხილებოდეს იმ მარეგულირებელ მექანიზმად, რომელიც ტკივილის განზრახ მიყენებას გაამართლებდა.

კლასიციზმსა და პოზიტივიზმს შორის მოძრავი რითმი, წარმოადგენს ნამდვილ სურათს დანაშაულის კონტროლის თაობაზე არსებული მნიშვნელოვანი პოზიციების შესახებ. მაგრამ ეს იქნება მცდარი სურათი იმ შემთხვევაში, თუ ამ სფეროში სხვადასხვა ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიციების ანალიზი მოხდება. ამ პარაგრაფში აღწერილი რითმი, არის ერთ განზომილებიანი. არსებობს სხვა განზომილებაც, რომელიც სისხლის სამართლის პოლიტიკის განმსაზღვრელების მიერ უგულებელყოფილია – ან არასერიოზულად აღიქმება ის, როგორც სოციოლოგების ისე ლიბერალების მიერ. შემდეგ პარაგრაფში მე სწორედ ამ ალტერნატიულ რითმს განვიხილავ. მაგრამ ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, სწორედ ამიტომ ცოტა მძიმედ ვიწყებ.

9.2 ქსენოფონის საჭიროება

წარმოვიდგინოთ, რომ 300,000 კაციან თანამედროვე ქალაქში მკვლევლობა მოხდა. აღნიშნულის შესახებ იგებთ გაზეთიდან, რაც ცუდ განწყობაზე გაყენებთ. ორი დღის წინ თქვენ ესწრებოდით სავარაუდო მკვლელის მოხსენებას და მოხსენების შინაარსში, ისევე როგორც მომხსენებელში არანაირი უჩვეულო არ შეგინიშნავთ. ყოველივე აღნიშნული საკმაოდ გაუგებარია. სასამართლოსათვისაც აღნიშნული საკმაოდ გაუგებარ ფაქტს წარმოადგენს, რის გამოც საქმეში ფსიქიატრები ჩართეს.

მაგრამ ახლა წარმოვიდგინოთ სხვა მკვლელის საქმე. ამჯერად 200 წლის წინანდელი შემთხვევა. იმაში დასარწმუნებლად, რომ ზოგიერთ ჩვენგანს აქვთ ცოდნა მკვლევლობის სცენის შესახებ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მკვლევლობას ადგილი ჰქონდა ჰილტაუნში, ნიუ ინგლანდში, ქალაქი, რომელიც ცნობილი გახდა ჯორჯ კასპერ ჰომანსის (1951) აღწერის შემდეგ. იმ პერიოდის ჰილტაუნში რომ გვეცხოვრა, არავის თავში აზრად არ მოუვიდოდა იმის გარკვევის მცდელობა ექსპერტის დახმარებით, თუ რატომ ჩაიდინა მკვლელმა მკვლევლობა. არ მოუვიდოდა, რადგან ყველამ ვიცოდით რატომაც მოკლა. შეიძლება არ ვიცოდით წინასწარ ანუ ისე, რომ ჩავრეულიყავით და მკვლევლობა თავიდან აგვეცილებინა. მაგრამ საკუთრივ ქმედების შემდეგ ჩვენ არ გავვიკვირდებოდა და მეგობრებში ვიტყოდით, რომ მოხდა ზუსტად ის, რასაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ველოდით.

განსხვავება ამ ორ მკვლევლობას შორის მდგომარეობს იმაში, თუ რა ოდენობის და რა ტიპის ინფორმაციას ფლობენ მონაწილეები ერთმანეთის შესახებ. იმდენი ადამიანი ცხოვრობს საშუალო ზომის

თანამედროვე ქალაქში, რომ რთულია ასეთ პირობებში ყველას იცნობდე. ამას გარდა, ცხოვრება მოწყობილია იმდაგვარად, რომ სხვების შესახებ მხოლოდ მცირედი ინფორმაცია გვაქვს. ჩვენ ვიცნობთ თანამშრომლებს, როგორც თანამშრომლებს, მეგობრებს, როგორც მეგობრებს, ოჯახის წევრებს, როგორც ოჯახის წევრებს, . . . ჩვენთვის რთულია იმ ადამიანების ქცევის განჭვრეტა, რომლებიც კონკრეტული ჯგუფების გარეთ არიან. ჰილთაუნში კი, ყველამ ყველას შესახებ ყველაფერი იცოდა.

ფსიქიატრის წინაშე არსებული გამოწვევა მეტწილად სწორედ დაკარგული ჰილთაუნის სურათის აღდგენაა. კარგი ფსიქიატრი ყველა მხრივ შეისწავლის მკვლელს; იგი შეეცდება შეისწავლოს მკვლელის არსებობის მთელი რიგი ასპექტები და ამით შესაძლებელი გახადოს გაუგებრის გაგება. აღნიშნულის გაკეთებით ფსიქიატრი ინდივიდუალურ დონეზე ასრულებს ზუსტად ისეთივე სამუშაოს, როგორც სოციოლოგი სოციალურ დონეზე. ჩვენ ერთმანეთს საკმაოდ გავუყუხოვდით (და შესაბამისად, ხშირად ჩვენი თავის შეცნობაც გვიჭირს). ჩვენ ექსპერტები გვჭირდება საკუთარი თავის შესაცნობად. მსგავსი რამ სჭირს საზოგადოებასაც. ერთიანობის აღსადგენად, ჩვენ დახმარება გვჭირდება.

სწორედ აღნიშნული არის მიზეზი იმისა, რომ ექსპერტთა სხვადასხვა მიმდინარეობები განვითარდა. თანამედროვე პირობებში, ჩვენ ისევე გვჭირდება ექსპერტები, როგორც გვჭირდება სერვისის სხვა მიმწოდებლები. ჩვენ გვჭირდება ექიმები, მედლები, საავადმყოფოები, სკოლები. მაგრამ მათაც ვჭირდებით ჩვენ. ამას კი, მივყავარ მედლის მეორე მხარესთან. ექსპერტებს სჭირდებათ კლიენტები და შესაძლებელია შეძლონ კიდევ მათი დახმარება. აღნიშნული ხშირად

გვავიწყებს ჩვენ, რომ ერთმანეთისთვის არც ისე უცხონი ვართ, როგორც ზოგიერთი ავტორი ცდილობს ჩვენს დარწმუნებას. ზოგი კვლავ სოფლებში ცხოვრობს. და ზოგიც არასდროს ტოვებს თავის მეგაპოლისის სამეზობლოს.

9.3 ზარული ჩვევა

ნება მიბოძეთ მოგიყვებთ ისტორია ხეობის შესახებ. იგი ზღაპარს გავს, მაგრამ სინამდვილეში რეალობაა, რომელიც დაწერა პერსპექტიულმა სტუდენტმა (Bjorkan, 1977). მისი ამოცანა იყო მოეძიებინა ინფორმაცია უძველეს, მაგრამ კვლავაც აქტიურ ნორვეგიული თანამდებობის - ლენსმანის შესახებ, რომელიც ფუნქციებით ჰგავს შერიფს, მთელი რიგი სამოქალაქო ფუნქციების დამატებით. ის ცხოვრობდა რაიონში. ხშირად აღნიშნული პოზიცია მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა. ძველ დროში იგი ხშირად უარყოფითად ხასიათდებოდა, რომელსაც კავშირი ჰქონდა მდიდრებთან და ძალაუფლებიან ხალხთან; შესაბამისად, ხალხურ ზღაპრებში ეს ის იყო სწორედ ვინც ყველას ჭკუაში ატყუებდა, ხოლო მეფე იყო უფრო კეთილი და ამავდროულად სულელი. დღევანდელ პირობებში ლენსმანი უფრო მეტად ექვემდებარება კონტროლს, უფრო პოპულარულია და მისი პოპულარობა დამოკიდებულია მისი მოქმედების უნარზე. ის მართავს აუქციონებს, ის უზრუნველყოფს ალიმენტის თანხის ამოღებას ურჩი მამების მხრიდან – და ის აკონტროლებს დანაშაულს. და სწორედ აქ ერთვება ბიორკანის მთავარი მოსაზრება. როდესაც იგი ატარებდა ინტერვიუს ლენსმანებთან, ყველა მათგანი ამბობდა, რომ მის უბანში დანაშაული არ ხდებოდა. სახეზე იყო მხოლოდ რამდენი-

მე გამონაკლისი. გამვლელებს ხანდახან შეიძლება გაეჭურდათ ბენზინი გასამართ სადგურები ან მაღაზიები. მაგრამ საკუთრივ კონკრეტული რაიონის მცხოვრებლები? არასდროს სჩადიოდნენ დანაშულს.

როგორც უკვე აღინიშნა, ბიორკანი იყო საკმაოდ პერსპექტიული დამკვირვებელი და მის მიერ კვლევის ჩატარების პერიოდში, რამდენიმე შემთხვევას ჰქონდა ადგილი. დარეკა ტელეფონმა, რომელზეც ქალბატონი იტყობინებოდა, რომ დაკარგა საფულე. ლენსმანმა სთხოვა მის ასისტენტს მისულიყო ახლომდებარე კაფეში, სადაც იპოვნეს საფულე და დაუბრუნეს მეპატრონეს. იქვე იპოვნეს ახალგაზრდა ვაჟი, რომელიც იყენებდა ამ საფულეს. როგორც გაირკვა ეს ბიჭი, ქალბატონის შვილი იყო.

კიდევ ერთი შემთხვევა: განცხადება შემოვიდა, რომელიც იტყობინებოდა, რომ ვიღაცამ უკანონოდ შეაღწია იარაღის მაღაზიაში. ლენსმანი მყისიერად ჩაჯდა მანქანაში და გაემართა მაღაზიისკენ, გზაზე შემოხვდა მანქანა, გააჩერა და საჭესთან, როგორც ყოველთვის დახვდა მთვრალი მამაკაცი, რომელსაც იარაღები ეწყო მანქანაში და წაეღო იმ მიზნით, რომ გაეღიზიანებინა მამამისი. მან მამაკაცი წაიყვანა სახლში, ხოლო იარაღები წაიღო უფრო უხიფათო ადგილას. როგორი დრამატული ისტორია დაკარგა მედიაში! შვეულმფრენებითა და ანტი-ტერორისტული პოლიციის თანამშრომლები შეიძლება ჩართულიყვნენ ამ დანაშაულის აღკვეთის საქმეში. სანაცვლოდ კი რა მივიღეთ, ოჯახური კამათისა და უბედურების კიდევ ერთი, ძველი ისტორია.

დანაშაული არაფერს არ წარმოადგენს. დანაშაული არის ცნება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მიესადაგება კონკრეტულ სოციალურ ინსტიტუტებს და მისი გამოყენება ერთი ან რამდენიმე მხარის

ინტერესებში შედის. ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ დანაშაული ისეთი სისტემების შექმნით, რომლებიც ითხოვენ ამ სიტყვას. ამავდროულად, ჩვენ შეგვიძლია გავანეიტრალოთ დანაშაული საპირისპირო ტიპის სისტემების შექმნით.

9.4 საინანაღდეო კულუნი

დანია კოლექტიურ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს არის სახელმწიფო სადაც არა მხოლოდ თანამდებობის პირები მართავენ კოლექტივს, არამედ სახელმწიფო, რომლის მმართველობაში ჩვეულებრივი ხალხიც იღებს მონაწილეობას. რისი გაყოფაც შეუძლიათ სამანქანო დანადგარებს, მათი შეერთება შეუძლიათ ადამიანებს. ქრისტიანია არის ამის ყველაზე დიდი დასტური. იგი განთავსებულია ლამაზ მიდამოში, კოპენჰაგენის ცენტრთან ახლოს, წინათ ამ ტერიტორიაზე სამხედრო დანაყოფები იყვნენ, რომლებმაც მიატოვეს ეს ადგილი, რის შემდეგაც იგი „ჯურღმულების დამყრობლებმა“ აითვისეს და მოგვიანებით მათ სხვებიც შეუერთდნენ. იქ მცხოვრებთა რაოდენობა უცნობია; იქ მცხოვრებ ხალხს საკმაოდ მწყრალი დამოკიდებულება აქვთ რეგისტრაციის სისტემებთან და სტატისტიკის სამსახურთან, მაგრამ ისინი ათასზე მეტნი არიან, გადანაწილებული დიდ ქვის შენობებში და ასევე, საკმაო ოდენობით, ხის სახლებში. ცხოვრების მატერიალური დონე საკმაოდ დაბალია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია იქ გადარჩენა საკმაოდ მცირე შემოსავლით. ზოგიერთი იქ მცხოვრები მუშაობს კოლექტივის გარეთ, კოპენჰაგენში, ხოლო ზოგიერთი მათგანი იღებს სოციალურ დახმარებას. ქრისტიანის შიგნითაც არის ცხოვრების შესაძლებლობა (იგულისხმება ფულის შოვნის შე-

საძლებლობა). იქ მდებარეობს რამდენიმე სახელოსნო, რესტორანი, საცხობი, ჯანდაცვის ცენტრი, რომელშიც მთლიანად „ნატურალური წამლები“ გამოიყენება. ამავე უბანში მდებარეობს დანიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თეატრი. რაღაც მხრივ, მთელი ეს ადგილი ჰგავს დიდ, პაროდულ სანახაობას.

ქრისტიანია არის საზარელი, ბინძური ადგილი, სადაც ჰაშიში სა-ჯაროდ იყიდება, ქუჩებში უამრავი ნასვამი და საკმაოდ ბევრი უცნა-ური გამომეტყველების ადამიანია, რომლებიც აშკარად გიჟები არიან, ყველაფერი თითქოს შუა საუკუნეების ნახატიდან არის გადმოტანი-ლი. უამრავმა ბავშვმა, რომელთა ნაწილი ან მშობლებთან ერთად ცხოვრობს ქრისტიანიაში ან გამოქცეულები არიან დანიის სხვადასხ-ვა ქალაქებიდან, რომ შეურთდნენ ქრისტიანიას თავისუფალ ქალაქს, შექმნა ჯგუფი, რომელსაც „ბავშვების ძალა“ ჰქვია. მთელ ტერიტო-რიაზე დარბიან საკმაოდ ლამაზი ძაღლები და ამასთან რამდენიმე ცხენიც ჰყავთ ტერიტორიაზე. ერთხელ ქრისტიანიას განმარტოებულ ადგილზე ყავისფერი დათვიც კი შევნიშნე. ამ დროს დამეუფლა გრძნობა, რომ რაღაც წესრიგში არ იყო – ქრისტიანიას ღირებულე-ბების მიხედვით – როდესაც ნელ-ნელა გავაცნობიერე, რომ დათვი ჯაჭვით იყო დაბმული.

ამ ადგილს აქვს გამონათებებიც და ჩავარდნებიც. ჩემი ბოლო შე-ხება მასთან იყო გრეი ჰოლში. ორი ათასი კაცი გამოსულიყო ქუჩაში, მძიმე ნარკოტიკის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყებად ქრისტიანი-ასა და დანიიაში. მოგვიანებით, საკმაოდ დიდი წნეხი განხორციელდა გამსაღებლებსა და მომხმარებლებზე. ეროვნული მოძრაობა შეიქმნა და ქრისტიანია წავიდა წინ. მაგრამ აღნიშნული არის საზოგადოება, რომელსაც გააჩნია დიდი სკეპტიციზმი მმართველობასთან დაკავ-

შირებით, ნებისმიერი ტიპის მმართველობასთან. შორიდან დამკვირვებლის თვალთახედვით დანახული ისე ჩანს, თითქოს ბუნებით ლიდერები იბადებიან და იბადებიან ყოველთვის, როდესაც კრიზისია სახეზე. იღებენ რა პასუხისმგებლობას, მათ შესახებ ცნობილი ხდება როგორც ქრისტიანიაში, ისე მის გარეთ. მაგრამ ლიდერის ფუნქციის შეთავსებიდან ისინი არღვევენ თანასწორობის წესს და კარგავენ მოქმედების შესაძლებლობას. იგივეს თქმა შეიძლება ფემინისტურ მოძრაობებზეც. ამრიგად, შეუძლებელია ქრისტიანიის მართვა, მაგრამ ამავდროულად არც მისი მოკვლაა ადვილი საქმე. ყოველ ჯერზე, როდესაც ამის მცდელობაა, ის ახდენს არანორმალურ მობილიზაციას და მთავრობასაც უკან დახევა უწევს.

ქრისტიანიის უამრავი მეგობარი ჰყავს. როგორც ბენ კუჩინსკი (1981) უთითებს, ლიბერალიზმი მეტად მნიშვნელოვანია დანიისთვის. ქრისტიანია კი, დანიისთვის არის მეტად მნიშვნელოვანი. იმ სიბინძურესთან და ცოდვებთან ერთად, რაც იქ სუფევს, ეს არის ადგილი სადაც ნათლად არის გამოხატული დანიური საზოგადოების ძირითადი ღირებულებები. კარგ პერიოდებში - მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ არსებობს ცუდი პერიოდებიც - ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების ადგილი. იქიდან გამომდინარე, რომ იქ მყოფი უამრავი ადამიანი ცოტას მუშაობს, მათ რჩებათ საკმაოდ დრო სასაუბროდ, კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად და მათში მონაწილეობის მისაღებად. ამავდროულად, ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს ნათელი ინდიკატორები (Madsen 1979), რომ ქრისტიანიისთვის ვაჭრობა/კომერციალიზმი მეტად მნიშვნელოვანია.

ქრისტიანია გამოწვევაა დანიისთვის, მაგრამ შეიძლება უფრო ჩვეულებრივმა დანიამ დაიკავოს მის ადგილი სამომავლოდ.

ქრისტიანია შუასაუკუნეების მსგავსი ქალაქია, რომელიც ეფუძნება პატარა კერძო საწარმოებს და კომუნალურ ვაჭრობას. დანიის მეორე ბოლოში არის სხვა კოლექტივი, რომელიც დაფუძნებულია მუშაობასა და სოციალიზმზე. მისი სახელია „ტვინდსქული“, მისი სიმბოლოა დანიის ყველაზე დიდი ქარის წისქვილი, რომელიც აშენებულია მისი წევრების მიერ. ქალაქი წარმოიშვა სახალხო უმაღლესი სკოლის მოძრაობის მიერ, სადაც უმეტესობა ქრისტიანები იყვნენ და ეს ადგილი განკუთვნილი იყო ახალგაზრდების სასწავლებლად, მას შემდეგ რაც ისინი სავალდებულო სასკოლო განათლებას მიიღებდნენ. ტვინდის მასწავლებლები მათ მთელ ხელფასს წილებში დებდნენ. აღნიშნული არის საკმაოდ ეფექტური ტექნიკა, რომელსაც უმცირესობა მიმართავს კეთილდღეობის სახელმწიფოში. ამის საფუძველზე ტვინდის სისტემა გახდა საკმაოდ მდიდარი და უფრო ხშირად ყიდულობს ფერმებს, რომლებსაც სკოლებად აქცევს.

ამ ქალაქის არსებითი ელემენტი ისაა, რომ მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც ერთდორულად მუშაობენ და სწავლობენ კიდევ. მათ ააშენეს საკუთარი შენობები, გამოიგონეს საკუთარი საკანალიზაციო სისტემა, რომელიც უკვე სხვა ადგილებშიც გამოიყენება და აქვთ საკუთარი ელექტრო სისტემა. ქარის წისქვილი იძლევა საკმარისზე მეტ ელექტროენერგიას, რომელსაც ყოველანაირად სხვადასხვა კომპანიებზე. თუ მაგალითად, თქვენ არ იცით, როგორ შეაკეთოთ ჩამტვრეული ფანჯარა ან კარბურატორი, თქვენ უბრალოდ უნდა სცადოთ. რა თქმა უნდა თქვენ ეს შეგიძლიათ. ისინი ყიდულობენ ძველ ავტობუსებს, საკლასო ოთახებად აკეთებენ მათ და შემდეგ დადიან მთელ ევროპაში და აზიაში იმისათვის, რომ გაიგონ იქ არსებული ცხოვრების პირობების შესახებ, რომელსაც შემდეგ ლექციების სახით გააცნობენ დაინტე-

რესებულ ადამიანებს. შესაბამისად, სწავლება ხდება არა მხოლოდ წიგნებიდან. საზღვარგარეთ ყოფნისას ისინი ცდილობენ ადგილზე მყოფი ადამიანების ცხოვრებაში მიიღონ მონაწილეობა და ხშირად მათთან ერთად ახორციელებენ ცალკეულ პროექტებს სოფლებსა და ქალაქებში. მეტიც, „მოდრავ სახალხო უმაღლეს სკოლას“ აქვს მასწავლებელთა სკოლა და სკოლა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც დაასრულეს სავალდებულო სასკოლო კურსი. მუშაობა მათი ძირითადი ღირებულებაა. დისციპლინა ძალიან მკაცრია. ალკოჰოლი და „ჰაშიში“ მკაცრად აკრძალული, მათ შორის შვებულებაში ყოფნისას. ამ წესები დარღვევა გარიცხვის ტოლფასია.

ქრისტიანია და ტვინდი, ორივე გარშემო მყოფი საზოგადოების ნაწილი და ამადროულად მათთან შეპირისპირებულია. ისინი შეპირისპირებული არიან ერთმანეთთანაც. ქრისტიანიაში უამრავი დროა, ტვინდში დროის სიმცირეა; დისციპლინის ნაკლებობა ქრისტიანიაში, მკაცრი დისციპლინა ტვინდში. ქრისტიანიას საფრთხე არის ინტერვენციის ნაკლებობა და იმ დონის ტოლერანტობა, რომელმაც შეიძლება სიცოცხლისათვის საფრთხე შექმნას. ტვინდის საფრთხე მის კოლექტიურ მიდგომაშია, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ ასეთ დროს შეიძლება ინდივიდები განადგურდნენ. მაგრამ მაინც, რაც ამ ორ სისტემას აერთიანებს მეტად მნიშვნელოვანია. ეს არის ადამიანებისადმი უსაზღვრო ნდობა. ქრისტიანია და ტვინდი არიან საზოგადოებები შემწინააღდეგებლების გარეშე. მათ მიერ დადგენილი კონკრეტული პრაქტიკის მიხედვით, ისინი აცხადებენ, რომ ადამიანებს, მათი სურვილის შესაბამისად, ყველაფრის მიღწევა შეუძლიათ. ადამიანი შემქმნელია და არა უბრალოდ მომხმარებელი.

მიდმინარე გაზაფხულს, ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროზე 30-მა

კაცმა გამართა შეხვედრა. ისინი შეიკრიბნენ ეთიკური და ფილოსოფიური საკითხების, ასევე ძალიან პრაქტიკული საკითხების განსახილველად, მაგალითად, როგორცაა მათი ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზება და საჭირო საქმის გაკეთება. შეხვედრა სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. გარდა რამდენიმე მოწვეული სპიკერისა, ჩვენი ოფიციალური კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით, ისინი ყველა გონებრივად განუვითარებლები იყვნენ.

მაგრამ მართლა ასეთები არიან?

ეს კითხვა არ არის საინტერესო. მთავარია, მათი შეხვედრა. მათი დისკუსია საინტერესო იყო. შეხვედრის შემდეგ, ისინი წავიდნენ თავიანთ ოთხ სოფელში სადაც ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. ყველა მათგანი მუშაობს. ყველა მათგანი მონაწილეობას იღებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ყველა მათგანი სხვადასხვა კულტურულ აქტივობაშია ჩართული. ცხოვრებაში არსებობს ერთობლიობა, რომელიც იძლევა ჩვეულებრივზე მეტ შესაძლებლობას.

ისინი წესით ჩუმად უნდა იყვნენ. აღნიშნულის შესახებ ვფიქრობდი მეორე დღეს, როდესაც ერთ-ერთ სოფელში საღამოს ვახშამს მივირთმევდით. მაგიდას დაახლოებით ათი კაცი ვუსხედით. ვიდარმა გვკითხა კიდევ თუ ვინებდით ჩაის და ყველას მოგვემსახურა, ხმაურის გარეშე, ისე, რომ არც ერთი წვეთი არ დაღვრილა. იმის გარდა, რომ იგი გონებრივად განუვითარებელია, ვიდარი ამავდროულად ბრმაა. მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ის არ არის, რომ გონებრივად განუვითარებელმა და ბრმა ვიდარმა ჩაი მოგვართვა. აქ მთავარია მაგიდასთან მსხდომი სხვა ადამიანების ქცევა. შემთხვევითობა არ ყოფილა, რომ სწორედ ვიდარმა მოგვითანა ჩაი. ეს იყო ნდობის საკითხი. მე შევათვალე იმ ადამიანის სახე, ვინც სუფრა გაშალა, მის

საქმეში არავინ ჩარეულა და არც არავის მიუცია მითითებები გაშლის შემდეგ, ისევე როგორც არც მას მიუცია მითითება ვინმესთვის. ე ს ყველაფერი დაგეგმილი არ ყოფილა. მე ამის თაობაზე ძველ ნაცნობს ვკითხე მეორე დღეს. არავითარი სტრატეგია, ეს შეხვედრა არასდროს ყოფილა განსჯის საგანი.

ერთადერთი საშიშროება, რაც შევნიშნე სუფრასთან მსხდომი ადამიანების მიმართ არის ის, რომ მათ გარშემო ძალიან ბევრი დამხმარე ჰყავთ. დამხმარეები არ არიან პროფესიონალები, ისინი მათ საზოგადოებაში მიუღებლები არიან. მაგრამ კეთილი საქმის გამკეთებელი დამხმარეები. აღნიშნული ძალზედ რეალური საფრთხეა. ახალგაზრდებს ძალიან იზიდავს მათი ერთობა. ისინი რიგებში დგანან, რომ მონაწილეობა მიიღონ. ბევრი ვიდარისთვის ჩაიდანის ჩამორთმევასაც იოლად შეძლებდა და მეტიც, ჩამოაცილებდა კიდეც მას თავის ძირითად სამსახურს – თეფშების რეცხვას. იგი ამას დღემდე ერთხელ აკეთებს, სხვა საქმეების პარალელურად. ვიდარის დასაცავად, თეფშების სხვა მრეცხავები არ დაიშვებიან სისტემაში. მის დასაცავად, ზოგიერთი ახალგაზრდა, რომელიც ცდუნებას ვერ გაუძლებდა და მოინდომებდა მის დახმარებას, იძულებულია გავიდეს მათი ერთობის გარეთ და ისადილოს ისეთ ადგილას, სადაც გონებრივად შეზღუდულები არ არიან. სხვა სიტყვებით, სიტუაცია თავდაყირა დგას. ის ახალგაზრდები ვინც სხვების დახმარებას ცდილობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონენი გახდნენ. და მათ კარგად უწყიათ ამის შესახებ. ისინი ცდილობენ შესვლას, ერთობასთან დაახლოებას, სხვადასხვა დარგის მასწავლებლების აყვანას, რაც ამ პირობებში კაცობრიობის ნაირსახეობას გულისხმობს. აღნიშნული არ არის ერთადერთი კონტრ-კულტურა, როგორც თეოდორე როსჟაკი უწოდებს (1969) მას.

ამ კონტრ-კულტურაზე რადიკალური მე არცერთი არ მინახავს, ის უფრო რადიკალურია ვიდრე ტვინდი და ქრისტიანია, უფრო რადიკალური ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკური მოძრაობა. ჩვენს კარგად რეგულირებულ, განსაკუთრებით მდიდარი სერვისის მიწოდებელი საზოგადოების შუაგულშიც კი, არსებობს კონტრ-ძალები, საწინააღმდეგო აზრის გარეშე არსებული საზოგადოება, ადგილები სადაც აშკარა არ არის, ვინ არის მიმწოდებელი და ვინ არის მიმღები.

ვიდარესენი არის იმ ერთობის სახელი, სადაც ვიდარი ცხოვრობს (დამთხვევა სახელებში, ალბათ მხოლოდ დამთხვევაა). ოფიციალურად ვიდარესენი არის დაწესებულება მენტალურად შეზღუდული ადამიანებისათვის. იგი დაფინანსებას სახელმწიფოსგან იღებს. როგორც ტვინდში, ხელფასები გადანაწილებულია და წილებში მიდის. პირველად მსგავსი ტიპის კოლექტივი შეიქმნა შოტლანდიაში გერმანელი დევნილის კარლ კიონიგის მიერ. მისი შთამაგონებელი რუდოლფ შტეინერი იყო. საერთაშორისო დონეზე ეს ადგილები კემპზილის სოფლების სახელითაა ცნობილი. მათ აქვთ საინტერესო მსგავსება ფრანგული ტიპის სოფლებთან, რომელიც „ლარშეს“ სახელითაა ცნობილი და შექმნილია ჟან ვანიეს მიერ (Clarke, 1974). მიწა საკმაოდ ნოყიერი სხანს მსგავსი სოფლებისთვის ნორვეგიაში. ამჟამად არსებობს ოთხი მათგანი და კიდევ ორის აშენება იგეგმება. ამჟამად, ისინი ცდილობენ შეიცვალონ სტატუსი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ინსტიტუტებიდან გადაკეთდნენ ერთობებად ისეთი ადამიანებისათვის, რომლებიც ამათუიმ მიზეზის გამო ინსტიტუციური ტიპის დაწესებულებებს გაუსაძლისად თვლიან. ვიდარესენი ვერ იარსებებს სახელმწიფოს შემწეობის გარეშე. აღნიშნული არის რეაქცია კეთილდღეობის სახელმწიფოს დომინანტურ მახასიათებლებზე.

ამავდროულად, მსგავს სახელმწიფოზე დამოკიდებული ცხოვრების ფორმას მაინც გააჩნია პოტენციალი ახალი კეთილდღეობაზე ორიენტირებული სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად.

რა თქმა უნდა ისინი მორწმუნენი არიან, როგორც ჩვენ ყველა. ისევე, როგორც ბევრ სარწმუნოებაში, ვიდარესენში და კემპჰილში აქვთ ერთნაირი წარმოდგენა სულთან მიმართებით. ისინი მიიჩნევენ, რომ სხეულის სიკვდილის შემდეგ, სული ახალ სხეულში გადადის. სოციალურ ცხოვრებაში, აღნიშნული წარმოდგენს ჰიპოთეზას დიდი შედეგებით. იგი ადამიანებს უფრო ყურადღებიანს ხდის. გარეგანი ნიშნები, როგორცაა ბუნდოვანი საუბარი, ერუპციული მიხვრა-მოხვრა, ან მუდმივი ლორწოვანი გამონადენი ცხვირიდან, არ წარმოდგენს ადამიანის მეობის განმსაზღვრელ ძირითად ინდიკატორებს. ასეთი ადამიანის შიგნით შეიძლება ცხოვრობდეს დიადი სული. როდესაც ჩვენ ვიყურებით დაკვირვებით, ვრწმუნდებით, რომ აღნიშნული სიმართლეა.

თავი 10

გოგინათი კონდიცია, ნაკლები ტვირთის მისაყენებლად

ზემოაღნიშნული მთელი რიგი ინფორმაციის ანალიზის შემდეგ, შესაძლებელია განვიხილოთ ნაკლები ტვირთის მიყენების შესაძლო პირობები. ჩემ დისკუსიას შემდეგი 5 ძირითადი კატეგორიის გარშემო მივმართავ: ცოდნა, ძალაუფლება, დაუცველობა, ორმაგი დამოკიდებულება და რწმენის სისტემა.

10.1 სურვა

ცოდნის მნიშვნელობა ყველაზე უკეთ შეიძლება წარმოჩენილ იქნეს, თუ ერთმანეთს შევადარებთ საზოგადოებაში არსებულ ექსპერტებსა და ზემოთ განხილულ ფარული ჩვევის შემთხვევას. ყველა სხვა რამ თანაბარია, მაგრამ აშკარაა რომ ეს ასე არ არის. დამაჯარებელ ჰიპოთეზას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რაც უფრო დიდი რაოდენობის ინფორმაცია ხელმისაწვდომი სხვადასხვა სისტემის წევრების ცხოვრების შესახებ, მით უფრო ნაკლებად გამოსაყენებადი (და საჭიროა) ისეთი განზოგადებული ცნებები, როგორცია „ავადმყოფობა“, „სიგიჟე“ და „დანაშაული“. სისტემის წევრებმა იმდენი იციან ერთმანეთის შესახებ, რომ ფართო და რთული ცნებები ძალიან მარტივი ხდება. ეს ცნებები არც ინფორმაციას მატებენ და არც არაფერს ხსნიან.

ნორვეგიულად ჩვენ გვაქვს სიტყვა “bygdeoriginal”. „უცნაური ადგილობრივი ტიპაჟი“ შეიძლება გამოდგეს მის თარგმანად. პატარა საზოგადოებებს ახასიათებთ მათი წევრების ქცევის იგივეობა. პირიქით, ასეთ საზოგადოებებში ჩვენ ვხვდებით ყველა ტიპის ადამიანს. ჩვენი ძველი ლიტერატურა, სწორედ ამ ადამიანების აღწერითაა დაკავებული. ეს არ არის სწორი საზოგადოებები სადაც ყველა ერთმანეთის მსგავსად იქცევა. ასეთი საზოგადოებები ცხოვრების ინდივიდუალური სტილით ხასიათდება. “Bygdeoriginalene”-ები არიან ადამიანები, რომლებიც იმ საზოგადოების წევრებს განეკუთვნებიან, რომლებსაც საკმარისი დრო აქვთ ერთმანეთის გასაცნობათ. ამ ტიპის საზოგადოებაში, ჩვენ ვხვდებით დიდ ადამიანებს შორის ურთიერთობის სხვადასხვაობას. ამ საზოგადოებაში ექსენტრიულობის მიმართ ტოლერანტულები არიან, მაგრამ არათანმიმდევრულობის მიმართ არა. ადამიანის ქცევა, რომელიც ზოგადად მიღებული ქცევის წესებისგან გადახვეულია, დაშვებულია. დაშვებულია ასევე, ადამიანის ისეთი ინდივიდუალური ქცევა, რომელიც კონკრეტულ ადამიანთან არის დაკავშირებული და მის ქცევას შეიძლება პირადი მახასიათებელი ვუწოდოთ. სხვა სიტყვებით, ამ საზოგადოებაში უცნაური ხალხის მიმართ ტოლერანტულები არიან, მაგრამ მათი ფუნქცია ან საქმიანობა დაქირავებას/სამსახურში აყვანას არ ექვემდებარება.

მაგრამ ამგვარი სისტემის წევრებზე, რომლებზეც ზღვა ინფორმაცია არსებობს ზოგადი განყენებულობა მისაღები არ არის, მისაღები არ არის ასევე, მარტივი რეაქცია არასასურველი ქმედებისადმი. დანაშაული და სასჯელი. ორივე ცნება ერთნაირად განყენებული ცნებებია. იმ საზოგადოებებში კი, სადაც ერთ-ერთი მათგანის საჭიროება არ არსებობს, მეორის საჭიროებაც ზედმეტია. “bygdeoriginal”-ის – უცნაური ადგილობრივი თვისებების მქონე ტიპაჟის – პიროვნების ცოდნა საკმარისია იმისთვის, რომ სისტემის წევრებმა გაიგონ მისი ქცევის გამომწვევი მიზეზები და ის სირთულეები, რაც მის შეცვლასთან არის

დაკავშირებული. ამ სიტუაციაში მარტივი სასჯელები არ განიხილება ბუნებრივ და სავალდებულო პასუხად.

აუცილებელია იმის გააზრებაც, რომ ყველა პატარა საზოგადოება განსხვავებულია და შესაბამისად, არც მათი წევრები ფლობენ ამდენ ინფორმაციას ერთმანეთის შესახებ. საზოგადოების სიმცირე (ზომაში) არ არის ცოდნის გარანტია, ამავდროულად ზოგიერთი დიდი სისტემა შეიცავს საკმაო ოდენობის ორმხრივ ინფორმაციას სისტემის წევრების შესახებ. ასეთ დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, თუ რამდენი ხნის განმავლობაში არსებობს ეს სისტემა. პატარა საზოგადოებებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საერთო ისტორია, მიუღებელი იქნება ინდივიდუალური დევიაციის შემთხვევები. ასეთ საზოგადოებას არც დრო ჰქონია საკმარისი და არც იმდენი შემთხვევა, რომ მსგავს საკითხებზე ეფიქრა. პატარა საზოგადოებაში სადაც სისტემის წევრებზე ორმხრივი ინფორმაცია საკმაოდ მცირე ოდენობითაა ხელმისაწვდომი, არსებობს მოთხოვნა წევრების მხრიდან მსგავსი ქცევის თაობაზე. მსგავსი ქცევისადმი დაუმორჩილებლობა ხასიათდება, როგორც ცალკეული შემთხვევა და მის მიმართ მარტივი პასუხები გამოიყენება. სისტემები შეზღუდული შიდა ურთიერთკავშირით საერთო ისტორიის გარეშე რჩებიან. თანამედროვე „საერთო საცხოვრებელი ქალაქები“ არის სანიმუშო შემთხვევები. ექსტრემალურ შემთხვევებს საერთოდ არ უნდა ერქვათ სისტემები, რადგან ასეთ დროს წევრებს შორის საკმაოდ მცირე ურთიერთკავშირია. არც სასჯელებს ძალუძთ ურთიერთკავშირის შექმნა, რადგან შემთხვევის ადგილზე მხოლოდ პოლიცია მიდის, ხოლო სასჯელის მექანიზმი მთლიანად სისტემის გარეთაა მოქცეული. ისეთი სიტუაციის შექმნა, რომელიც აიძულებდა მსგავს ფსევდო სისტემებში მცხოვრებლებს დამორჩილებოდნენ დადგენილი წესების დარღვევასთან დაკავშირებული პრობლემების არ გატანას საზოგადოების გარეთ, ხელს უწყობს ფსევდო სისტემის წარმოქმნას. ტკივილის მიყენების საჭიროება შეიძლება შემცირდეს შესაბამისი სისტემის შექმნით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საერთო ცნობიერებას ზღუდავს არის სეგმენტაცია. საზოგადოების პატარა კასტას შესწევს იმის უნარი, რომ მისი მონაწილეები ეფექტურად დაანაწევროს. აღნიშნულის ეფექტი კი, ძალაუფლებაში უთანასწორობას ზრდის.

10.2 ძალაუფლება

ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ძალაუფლება შეუძლიათ სხვებს მიაყენონ ტკივილი. ძალაუფლება ნიშნავს, სხვებს გააკეთებინო ის რაც გინდა, მათი სურვილების მიუხედავად. სისხლის სამართლის მოსამართლე უფლებრივად აღემატება ბრალდებულს. იგი დაცულია სასამართლო დარბაზის ისეთი სიმბოლოებით როგორცაა: შემადგენელი ადგილი, მანტია, ზოგ სისტემებში პარიკი, შენობის პრესტიჟი, ატმოსფერო, მისი ტრენინგები, სპეციალური კლასი და სარგებლობს იმ უპირატესობით, რომ გადაწყვეტილებები მიიღება სადღაც სხვა ადგილას. მოსამართლე მხოლოდ მძიმე სამუშაოს ასრულებს. მას რა თქმა უნდა გული უცემს, მაგრამ იგი ვალდებულია იმოქმედოს, ვალდებულია დასაჯოს.

ადამიანები ძალაუფლების გარეშე აბსოლუტურად განსხვავებულ სიტუაციაში არიან. თუ ისინი არ არიან სათანადოდ დაცული ან ძლიერი, ტკივილის განაწილება მაცდურ წინადადებას არ წარმოადგენს. პოტენციურ მიმღებს არ ენდომებოდა ეს და იგი წინააღმდეგობას გაწევს. განზრახ ტკივილის მიყენება მით უფრო ადვილია, რაც უფრო დაშორებულია ტკივილის მიმყენებელი მიმღებისგან. მილგრამმა (1965) აღნიშნული ექსპერიმენტით დაადასტურა. მან დაიქირავა ხალხი – კვლევის მიზნით – რათა მათზე ელექტრონული შოკური თერაპია ეწარმოებინათ. საკვლევი ობიექტები დაარწმუნეს, რომ კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, რამდენად სწავლობდნენ ადამიანები თავის შეცდომებზე დასჯის შემთხვევაში. სასჯელის

გამოყენებაზე უარი თითქმის არავის უთქვამს, მაშინაც კი, როდესაც მათ იცოდნენ, რომ ვოლტების რაოდენობა სახიფათოდ მაღალი იყო. მაგრამ რაც უფრო ახლოს მიჰყავდათ ისინი საკვლევ ობიექტთან, მით უფრო მეტად იკავებდნენ თავს. მსგავსი შედეგი უჩვენა ჩემს მიერ ჩატარებულმა საკონცენტრაციო ბანაკების კვლევამ (Christie 1972). რაც უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდათ პატიმრებს დაცვის თანამშრომლებთან მით უფრო დიდი იყო მათი გადარჩენის შანსი. პატიმრები იუგოსლავიელები იყვნენ, რომლებიც ჩრდილოეთ ნორვეგიაში „Nacht- und Nebel-camps“-ში განეთავსებინათ. ისინი ვინც ახერხებდნენ ენის შესწავლას, მეტად იყვნენ დაცული, შინაგანი განადგურებისგან მაინც. მათ დაცვის თანამშრომლებს ურთიერთობის ხარზე ავრძნობინეს, რომ ისინიც ადამიანები იყვნენ. საუბრის ხარჯზე პატიმრები გაადამიანურდნენ. ისინი იმდენად დაახლოვდნენ, რომ სასჯელი აღიქმებოდა იმად, რასაც ის რეალურად წარმოადგენდა.

სწორედ აქ არის მთავარი პრობლემა. ჩვენ დავინახეთ, როგორ წარმოაჩინა სასჯელის პროცესი ნეო-კლასიკურმა მიდგომამ. მსგავსი არჩევანი გააკეთეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა და იმ დამნაშავეებმა ვინც ეს ყველაფერი დაიწყეს. მოსამართლე გახდა მხოლოდ ხელსაწყო, ბედისწერის ინსტრუმენტი. ტკივილის განაწილება საჭირო მეცნიერულ მეთოდად გადაიქცა, რომლის საზომი დანაშაულის სიმძიმეა. მოსამართლის პირადი მოსაზრება და სურვილები ნაკლებად მნიშვნელოვანია, ასევეა საკუთრივ დამნაშავის სურვილებიც. კომპიუტერის დახმარებით არც არის სავალდებულო მათი შეხვედრა. სხვა სიტყვებით, ყველაფერი ისე ოსტატურად არის მოწყობილი, რომ ტკივილის მიყენების პროცესი უცნაურად ლამაზად გამოიყურება.

თუ არსებობს კონფლიქტი და ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა რამე მოუხერხონ მას, ჩვენ ვდგებით ორი ალტერნატივის წინაშე. ერთია, რომ მივცეთ ადამიანებს ძალაუფლება. თუ მივცემთ, მაშინ

ძალაუფლება უნდა კონტროლდებოდეს და ნეო-კლასიციზმი არის ერთი გზა მის გასაკონტროლებლად. ძალაუფლების მქონეთა შესაძლებლობების განხილვა შეცვლების თაობაზე ამასთან არის დაკავშირებული. მეორე ალტერნატივა კონფლიქტის გადასაჭრელად არის ის, ვისაც მისი გადაჭრის ვალდებულება აქვს მათ არ მიეცეთ ძალაუფლება. სამეფო სასამართლოზე გამოსახული ჯუჯა სწორედ ამ იდეას სიმბოლიზებს; იგი იმდენად პატარა იყო მისგან არავინ არაფერს ელოდა სანამ არ გახდა სპეციალისტი და ამიტომაც, პოტენციურად იგი საშიშად იქნა მიჩნეული. ბავშვმა შეიძლება ითავოს კონფლიქტის მომგვარებლის როლი საოჯახო კონფლიქტისას. შესაძლებელია აღნიშნული თავის თავზე აიღოს იმანაც, ვინც თავის ასაკის გამო გარეშე პირად არის ქცეული. კიდევ ერთი სიმბოლო ამ მხარეს არის დამოუკიდებელი მესამე პირი – რომელსაც ეთხოვება დახმარება, მაგრამ არ აქვს აღსრულების უფლებამოსილება და არავითარ პირად მოგებას არ ნახულობს კონფლიქტის შედეგის მიუხედავად.

10.3 დასკვნა

ძალაუფლების კონტროლის ერთ-ერთი საშუალება არის მისი მპყრობელებისათვის დაუცველობის განცდის შექმნა. დაუცველობის განცდა შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვანაირად, მაგრამ სამი გზა არის მეტად მნიშვნელოვანი. ესენია დაუცველობა სტატუსის თანასწორობის ხარჯზე, კვალიფიკაციის თანასწორობის ხარჯზე და ახლო და მისაწვდომი ფიზიკური სიახლოვის ხარჯზე.

სიახლოვის მნიშვნელობა კარგად არის წარმოჩენილი სამეგობლო პოლიციის შესახებ ბოლო დროინდელი დისკუსიით. სხვადასხვა ურბანულ ადგილებში გაუცხოვების გამო, იყო მცდელობები პოლიციის, ასევე სოციალური და ჯანდაცვის სერვისების დეცენტრალიზაციის თაობაზე. აღნიშნული კვლავინდებურად წარმოადგენს

საზოგადოების ხელთ არსებულ მოქმედებათა შესაძლებლობას. მუნიციპალური პოლიციის სისტემების გაუქმების შემდეგ, მთელი რიგი პატარა პოლიციის პუნქტების, პატარა ჯანდაცვის შენაერთების ხარჯზე ცდილობენ მათ აღდგენას. პოლიციის მანქანები და მასზე განთავსებული ციციმები რომლის მსგავსიც კონსტებლის მანქანაზე იყო განთავსებული და რომელიც ჩემს სამეზობლოს პატრულირება და ბავშვობაში, არ დაკარგულა. ჩვენ ხელახლა შემოვიღეთ ის. ჩვენ მართლა ასე მოვიქცით, მაგალითად, ოსლოში, ბოლო დროს ქარავანები გადაკეთდა ადგილობრივ პოლიციის პუნქტებად, რომელშიც განაწილებული მუდმივი რაზმი და მიდის სერიოზული მცდელობები იმის თაობაზე, რომ პოლიცია დაუახლოვდეს იმათ, ვისაც ისინი უნდა ემსახურებოდნენ. აღნიშნული ამავდროულად წარმოადგენს მცდელობას, რომ გაკონტროლდნენ მაკონტროლებლები. პოლიცია ვერ გაკონტროლდება ბიუროკრატიული საშუალებებით. როგორც შტოკენი (1974) უთითებს, თუ პოლიცია ამას მონდომებს, მათი საქმიანობა ცოტაოდენ კვალს დატოვებს ქალაქებზე. აღნიშნული კი მათ ზემოდან კონტროლს შეუძლებელს ხდის. ალტერნატივა არის ქვემოდან კონტროლი, საზოგადოების მიერ, რომელიც პოლიციასთან კონტაქტშია. მაგრამ იმისათვის, რომ ეს კონტროლი ეფექტური იყოს, პოლიცია სამეზობლო პოლიციად უნდა გადაიქცეს.

რა თქმა უნდა არსებობენ მოწინააღმდეგენიც. სტენ კოენი (1979) და ტომას მათიესენი (1978) მათ შორის არიან. მათი კრიტიკის მთავარი საგანი არის ფუკოს (1975) დისციპლინებული საზოგადოების ცნება. და ისინი არ ცდებიან. აღნიშნული წარმოადგენს უთანასწორო ურთიერთობას. ციხეები შეიძლება გაუქმდეს ისეთი მეთოდით, რის შემდეგაც საზოგადოება რაღაც მისი მსგავსი გახდება. პოლიციაზე საუბრისას, ჩვენი მიზანი არ არის ძველი კონსტებლის მსგავსი მოხელის ხელახლა შექმნა. ამ შემთხვევაში მიზანია ფორმიანი ოფიცერის სხვაგვარი ინტეგრირება დიდ, არმიის მსგავს დანაყოფში, რომელსაც

ეწეება მკაცრი მოქმედების შესაძლებლობა. რა თქმა უნდა ციმციმიანი მანქანებით. ახალი „ადგილობრივი“ პოლიციელი ადგილობრივია იმ გაგებით, რომ იგი მთელი დღე იმ უბანში მსახურობს. მათ არ აქვთ ამ უბანთან სხვაგვარი კავშირი, ისინი მიდიან სახლში მას მერე, რაც დამთავრდება სამუშაო საათები. ისინი მიდიან და აგრძელებენ ისეთ ცხოვრებას, რომელიც დამრჩენთათვის უცნობია. სხვა სიტყვებით, ისინი დაუცველები არ არიან. ძველი ადგილობრივი პოლიცია კი, დაუცველი იყო. მას რა თქმა უნდა ჰქონდა პოლიციელის სტატუსი და შეეძლო დახმარებისთვისაც გამოეძახა. ყველაზე ცუდ შემთხვევებში მას შეეძლო სახელმწიფოს ძალუფლების მობილიზება. მაგრამ იგი გარეგან ძალებს ყველა შემთხვევაში არ ეძახდა. იგი მრავალმხრივ თავისი კომუნის მძევალი იყო. იგი იქ ცხოვრობდა ან სადმე სიახლოვეს. მისი შვილები იმ უბნის სკოლაში სწავლობდნენ, მისი ცოლი იმავე უბნის მაღაზიებში დადიოდა. ეს არ იყო რკინის მუშტისა და ხვერდის ხელთათმანის შემთხვევა (Cooper 1974). აღნიშნული იყო რეალური დაუცველობის შემთხვევა. მასთან შედარებით, დეცენტრალიზებული სისტემამ, სადაც ძირითადი მოქმედი პირი ამ კომუნის გარეთ მცხოვრები ადამიანია, შეიძლება გამოიწვიოს ჯაშუშობის სისტემის შექმნა, რომელიც აბსოლუტურად არაკონტროლირებადია საკუთრივ სისტემის წევრების მიერ. იმისათვის, რომ „გარყვნილება“ თავიდან იქნეს აცილებული, დეცენტრალიზებული პოლიციის იდეა გულისხმობს სამეზობლოზე დამოკიდებულ პოლიციას, რომელსაც სუსტი კავშირები ეწეება ამ სამეზობლოს გარეთ არსებული პოლიციასთან და რომელმაც მნიშვნელოვნად უნდა შეცვალოს წარმოდგენა ჩვეულებრივი პოლიციის შესახებ. თუ ჩვენ დავუშვებთ სამეზობლო პოლიციის გაფართოებას, მაშინ ჩვენ უნდა შევზღუდოთ ცენტრალური პოლიცია და უნდა დავახშოთ საკომუნიკაციო არხები, ცენტრსა და პერიფერიებს შორის. პოლიცია ტოტალურ სისტემად უნდა განიხილებოდეს. თუ ჩვენ მხოლოდ სამეზობლო პოლიციას დავამატებთ,

ჩვენ მივუახლოვდებით იმ „სადამსჯელო ქალაქს“, რომელიც მშვენივრად აქვს აღწერილი სტენ კოენს (1979). პოლიციის დაუცველობა უნდა შენარჩუნდეს.

„სპეციალური კვალიფიკაცია/უნარები“ წარმოადგენს დაუცველობის წინააღმდეგ კიდევ ერთ საშუალებას. სოციალური საკითხების ექსპერტები დაცვის ამ ფორმას კარგად იცნობენ. ისინი სერტიფიცირებული არიან უფრო კომპეტენტურებად სოციალურ საკითხებში ვიდრე სხვები. ისინი ნავარჯიშები არიან იმ სპეციფიკურ ტერმინოლოგიაში, რომელიც გასაგებია მათი თანასწორებისთვის. იმისათვის, რომ ემსახურონ კომუნას, ისინი მიდიან ადგილობრივ ოფისში სოციალური საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ საკმაოდ მალე ისინი მმართველები ხდებიან. ადგილობრივების აზრით, ისინი პოლიციელებზე ნაკლებად ექვემდებარებიან კონტროლს. ისინი არ არიან მოწყობილი იმდაგვარად, რომ ადამიანებს აცადონ თავიანთი კონფლიქტების მოგვარება, ისინი ცდილობენ მათ ნაცვლად მოგვარებას. როგორც მოსამართლეები ისინი დაპროგრამებული არიან ისე, რომ ცალკეულ შესაძლებლობები უგულებელყონ და მნიშვნელოვნად ჩათვალონ სხვები. მაგრამ მოსამართლეებისგან განსხვავებით მათ წარმოდგენა არ აქვთ, რომ კონფიქტთან გამკლავება უწევთ. ისინი, დანაშაულის კონტროლის ძველი სისტემის მკურნალი თანამშრომლების მსგავსად, ადვილად იქცევიან ტკივილის გამანაწილებელ ადმიანებად.

იმის გაცნობიერებამ, თუ რა საშიშროებას შეიცავს ძალაუფლება და დაუცველობის აუცილებლობამ, გამოიწვია ბავშვთა კეთილდღეობის კომიტეტისა და თავშეკავებულობის კომიტეტების ხელახლა შექმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. რითმმა კვლავინდებურად გადაინაცვლა; ამ კომიტეტების კრიტიკის შემდეგ ისინი გაუქმდა, ახლა ისევ დავუბრუნდით მათ. მაგრამ ეს კომიტეტები განსხვავებული იქნება იმისგან, რაც დღეს მოქმედებს. ეს კომიტეტები ზუსტად იმ იდეების გამტარებლები იქნებიან, რაც კანონმდებელს ჰქონდა ჩაფიქ-

რებული, მხოლოდ მცირედი ცვლილებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ წინათ დაშვებული შეცდომები აცილებულ იქნეს და იმითაც, რომ კომიტეტები განსხვავებულ საზოგადოებაში იმოქმედებენ. ახალი კომიტეტები არ იქნებიან ბავშვის მხსნელად მოვლენილები (Platt 1969). ჩვენ დავაგროვებთ გამოცდილება. ჩვენ მათ არ მოვექცევით როგორც თანასწორებს და ისინი არც ძალაუფლებას მიიღებენ. ჩვენ ახლა უფრო მეტი ვიცით როგორი პარალიზებადი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლებას სოციალურ სისტემებზე. შესაბამის კომიტეტებს არც თანამდებობის პირები ეყოლებათ. მათ ეყოლებათ წევრები და არა მმართველები. და ბოლოს, კომიტეტები სამუშაოს გასწევნ ახალ სოციალურ გარემოში, რაც მათი საქმიანობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ძველი კომიტეტები მოქმედებდნენ იმ საზოგადოებებში სადაც სიღარიბე ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. გასული საუკუნის ბავშვის მხსნელები ალბათ უფრო ნაკლებად ექვემდებარებიან კრიტიკას, როდესაც იმ დროის გადმოსახედიდან ფასდებიან. ჩვენი არის პოსტ-კეთილდღეობის სახელწმიფო იმ გაგებით, რომ ძირითადი სოციალური საჭიროებისთვის განკუთვნილი მარაგი ყველას დამსახურებულად მიგვანჩნია.

10.4 ონხნივი დამოკიდებულება

სოციალური სისტემები არ კარგავენ მის მნიშვნელოვან წევრებს. ვერნერ გოლდშმიდტი (1954) მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა მეორე მსოფილო ომის შემდეგ, რომელმაც პირველად დაწერა გრელანდიის (ან Kaladlit Nunat – „ადამიანის მიწა“, როგორც ამ კუნძულს ეძახიან დანიისგან გარკვეული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ) სისხლის სამართლის კანონი. კანონი წარმოადგენს ესკიმოსების ტრადიციებისა და შეხედულებების კოდიფიცირების მცდელობას. და ყველაზე მნიშვნელოვანი გოლდშმიდტის ნამუშევარში არის იმაზე

ხაზგასმა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მშვიდობისა და სისტემის წევრების შენარჩუნება. ისეთი სიტუაციის შექმნა სადაც კარგი მონადირე კარგავს სახეს, რისკს უქმნის კომუნას, რომ ის დაკარგავს ადამიანს. ამის გამო, კომუნაც მიმართავს ალტერნატიულ საშუალებებს.

ემილ დიურკემი (1933) ერთმანეთისგან ასხვავებს საზოგადოებებს ორგანული და მექანიკური სოლიდარობის მიხედვით. იგი პოულობდა ორგანულ სოლიდარობას იმ საზოგადოებებში სადაც შრომის გადანაწილება მეტად განვითარებული იყო. აქ მონაწილეები ერთმანეთზე დამოკიდებული არიან; ისინი ცვლიან სერვისებს და ამით ერთმანეთს აკონტროლებენ. ამის საპირისპიროდ არის თანასწორთა საზოგადოება, სადაც მისი წევრები ერთმანეთთან მსგავსებით არიან დაკავშირებული. დიურკემისთვის ასეთი საზოგადოება მექანიკურ სოლიდარობაზეა დაფუძნებული. მოდერნიზაციასთან ერთად, დიურკემის მიხედვით, საზოგადოებებიც მექანიკური სოლიდარობიდან, ორგანული სოლიდარობისკენ მიიწევს და სასჯელებიც მცირდება.

მე შემძლია ყველაფერში დავეთანხმო დიურკემს გარდა ბოლო ფრაზისა. დიურკემი იყო ფრანგული ურბანული კულტურის პროდუქტი. მას ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: თუ ადამიანმა დაინახა ერთი ინდიელი, მას ყველა მათგანი დაუნახავს. აქვე შესაძლებელია ამის საწინააღმდეგოდ ითქვას, რომ ცივილიზებულ ადამიანებში ორი ადამიანი იმთავითვე განსხვავებულები არიან. მსგავსმა მიდგომამ იგი მიკერძოებული გახადა, რამაც თავის მხრივ ის გამოიწვია, რომ იგი ვერ ამჩნევდა პატარა საზოგადოებებში არსებულ ვარიაციებს და ასევე, კონტროლის პრობლემებს დიდ საზოგადოებებში. რადგან იგი თვლის, რომ პატარა „პრიმიტიული“ საზოგადოებები შედგება თანასწორი ადამიანებისგან, იგი ასეთ დროს ვერ ხედავს სერვისების გაცვლის საჭიროებას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას ავიწყდება ორგანული სოლიდარობის მთავარი მახასიათებელი: პატარა საზოგადოება არის ორმხრივი დამოკიდებულების საზოგადოება, სადაც მისი

წევრების შეცვლა შეუძლებელია. აქ ორგანულ სოლიდარობას აქვს მაქსიმალური გამოვლინება და იგივე შეიძლება ითქვას მხარეების შესაძლებლობაზე, განახორციელონ ორმხრივი კონტროლი. დიდ საზოგადოებებში, სოლიდარობის შესაძლებლობა შეზღუდულია, რადგან სერვისების გაცვლა საკმაოდ ადვილია. ჩვენ შეგვიძლია ვიყიდოთ რაც გვჭირდება ბაზარში და რაც დარჩება მასთან მიმართებით შეიძლება ტკივილის მიყენებაზე ვიფიქროთ.

10.5 ჩვენის სისტემა

მე-9 თავში აღწერილი კოლექტივები საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ეს პრობლემა. ტვინდში გარკვეული დობით იყენებენ სასჯელებს, გაძევება არის ყველაზე ქმედითი საშუალება. მაგრამ ტვინდი მეტად ცენტრალიზებული სისტემაა, სადაც მმართველ წრეებში უთანასწორობაა და ხდება მათი წევრების ხშირი ცირკულაცია ისე, რომ ისინი ერთმანეთს კარგად არც იცნობენ. ქრისტიანიაში სასჯელები არ გამოიყენება რადგან იქ ხელისუფლება არ მოქმედებს. ვიდარესენში არ შეუძლიათ, რადგან საკუთრივ დასჯის იდეა წარმოუდგენელია.

ზემოაღნიშნული არ არის კარგი ახსნა, ამიტომ კიდევ ერთხელ ვცდი. მოდით დავუბრუნდეთ სამხარის მაგიდას. წარმოვიდგინოთ, რომ ვიდარი ჩაიდანს განზრახ აგდებს ძირს. მე არ მჯერა, რომ იგი ამას იზავდა, მაგრამ მოდით წარმოვიდგინოთ.

პირველ რიგში, ამის საპასუხოდ ვიდარისათვის ტკივილის მიყენებით რა შეიძლება მიიღწეს? ვიდარისთვის, რომელიც მეტად კეთილი ადამიანია, რთული სათქმელია, მას ისედაც უამრავი პრობლემა აქვს და მისი ბიოგრაფიის შესახებ ბევრმა იცის და მაგიდასთან მსხდომებმა ახლა უკვე ყველამ იცის მისი არსებობის შესახებ, შესაბამისად მისთვის ტკივილის მიყენება იქნება ყველა დანარჩენისთვის ტკივილის მიყენება. ამ სისტემაში ძალიან ბევრი საერთო ცოდნაა.

მეორე მხრივ, ვიდარესენის მსგავს სისტემაში, ძალაუფლება არა-თანაბრადაა განაწილებული. რთულია იმის უარყოფა, რომ ზოგიერთი ადამიანი რაღაც მხრივ უფრო სწრაფია ვიდრე სხვა. მათ შეუძლიათ თავისი თავის გატანა და ამიტომ დაცული არიან სანქციებისგან. ეს ამკარაა, მაგრამ ეს კომპენსირებულია რწმენის სისტემით. ვიდარესენი ჰყავს ერთი ვისაც აქვს ძალაუფლება და ყველაფერს აკონტროლებს, ვინც ადამიანებს ათანასწორებს. თუ სხეული ღირსეული სულის თავშესაფარია, სისტემის წევრები ერთმანეთისადმი დიდი პატივისცემით არიან განმსჭვალული. ისინი არიან პატივსაცემი თანასწორები, რაც ტკივილის მიყენებას რთულად წარმოსადგენს ხდის. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მათ აქვთ იდეები რომელიც უფრო სწორი იქნება თუ სხვებს მოხმარდებათ და არა ისინი უნდა მოხმარდნენ იდეებს. აღნიშნული კიდეც ერთი დასტურია იმისა, რომ სხვა ადამიანის ტანჯვა კანონისა და წესრიგის შესანარჩუნებლად მათთვის მიუღებელია.

მაგრამ რა თქმა უნდა, ეს შესავალი რწმენის მნიშვნელობის შესახებ, არის შესავალი იმ რწმენის შესახებ, რომელიც ტკივილს ითხოვს. ინკვიზიციის სასახლე კართაგენაში ულამაზესი შენობაა. ამ შენობაში ცხოვრობდნენ ღირსეული და კეთილი მღვდლები, რომლებსაც სარდაფში მოწყობილი ჰქონდათ საწამებელი ოთახები. და მე სიტყვა კეთილს ირონიის გარეშე ვხმარობ. მე დარწმუნებული ვარ ბევრი მათგანი ღმერთის კეთილი მსახური იყო, რომელიც თვლიდა, რომ თავის საქციელით უბადრუკ სულებს ეხმარებოდა. ინკვიზიტორისთვის, ჯოჯოხეთი რეალობა იყო და ისინი ტკივილს პრევენციული მიზნებისთვის იყენებდნენ.

თავი 11

მონაწილეობითი მართლმსაჯულება

11.1. კონფლიქტების მინიმიზაცია

იყო დრო, როდესაც სისხლის სამართალში სიახლის ყველა გზა, ცალმხრივი გზა იყო. მიღებული იყო ის ფაქტიც, რომ რაიმე იდეა წარმოიშვებოდა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში და შემდეგ ეტაპობრივად ინერგებოდა ნაკლებად ინდუსტრიულ ქვეყნებში. ევროპელი ან ამერიკელი ექსპერტები მოგზაურობდნენ აფრიკის ან აზიის ქვეყნებში და მიჰქონდათ სისხლის სამართლის სფეროში მათი ძირითადი გზავნილები; ანგარიშები სკანდინავიური ციხეების შესახებ სტატიების სახით მიეწოდებოდათ მათ. აღნიშნული კვლავაც გრძელდება, მაგრამ საკმაო ცვლილებებით. ინდუსტრიული ქვეყნების ზოგიერთი წარმომადგენელი თვლის, რომ მათ აღარ აქვთ გზავნილი ან თუნდაც გზავნილის ნახევარი. სწორედ ამ სიტუაციაში ჩანს ყველაზე კარგად, რომ ცალმხრივი გზა, ორმხრივ გზად გადაიქცა. რაც ნათელია არის ის, რომ ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა დაიწყეს სამოქალაქო სამართლის გამოყენება იმ ქმედებებისთვის, რომლებსთვისაც ჩვენ სისხლის სამართალს ვიყენებთ. აღნიშნული განსაკუთრებით ითქმის იმ სახელმწიფოებზე, რომლებსაც არ აქვთ ძლიერი ცენტრალური ხელისფულება, სადაც ზოგადად სახელმწიფო

სუსტია ან სადაც სახელმწიფო წარმომადგენლები საკმაოდ დაშორებულიები არიან, ასეც დროს ადამიანები იძულებული არიან არ გამოიყენონ ძალა.

მაგრამ ისმის კითხვა, სანაცვლოდ რას აკეთებენ?

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ აუცილებელი არ არის კონფლიქტის გადაჭრა. კონფლიქტის გადაჭრის გზის ძიება არის ფარისევლური და ეთნოცენტრული ქმედება. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მშვიდად ვიღებდი იმ ფაქტს, რომ კონფლიქტი უნდა გადაჭრილიყო, მანამ სანამ არ გავაცნობიერე რაოდენ შეზღუდულ პერსპექტივას წარმოადგენდა იგი. შემდეგ რაღაც დროის მანძილზე ვიყენებდი ალტერნატიულ ცნებას: „კონფლიქტის მართვა“. კვლავინდებურად ვიწრო, ეთნოცენტრულად განსაზღვრული არჩევანი. სიტყვა „მართვა“ დაკავშირებულია იტალიურ გამოთქმასთან ცხენის წვრთნა „manège“-სთან, ან ჩვენ დროს, რომ მივუსადაგოთ, მენეჯერები ითქმის იმ ადამიანებზე ვინც აკვალიანებს/მართავს სხვა ადამიანებს. ეს ტერმინი ძალიან დაშორებულია მონაწილეობასთან. მართალია შესაძლებელია კონფლიქტების გადაჭრა, მაგრამ ასევე შესაძლებელია მათთან ერთად ცხოვრებაც. „კონფლიქტთან გამკლავება“ ალბათ უკეთესი ტერმინია. „კონფლიქტში მონაწილეობა“ კი, საუკეთესო. ტერმინი აქცენტს აკეთებს არა შედეგზე, არამედ ქმედებაზე. შესაძლებელია კონფლიქტში მონაწილეობა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მისი გადაჭრა.

კონფლიქტები არ არის ყველა შემთხვევაში ცუდი. შესაძლებელია მათი ღირებულად განხილვაც. თანამედროვე საზოგადოებებში კონფლიქტები არც თუ ისე ხშირია, პირიქით დამახასიათებელია მათი საკმაოდ მწირი გამოვლინება. არსებობს საფრთხე, რომ კონფლიქტები საერთოდ დაიკარგოს, ან მოიპარონ. მაგალითად, ჩვენს საზოგადოებაში, დაზარალებული სისხლის სამართლის საქმეში არის ორმაგად დამარცხებული. პირველ რიგში მას დამნაშავე აზა-

რალებს, ხოლო მეორე რიგში სახელმწიფო. იგი გამოირიცხულია მის კონფლიქტში მონაწილეობისგან. მისი კონფლიქტი მოპარულია სახელმწიფოს მიერ, აღნიშნული წარმოადგენს ქურდობას, რომელსაც პროფესიონალები ახორციელებენ. მე გამოვიყენე აღნიშნული პერსპექტივა ჩემს ერთ-ერთ სტატიაში „კონფლიქტი, როგორც საკუთრება“ (Christie 1977) და შესაბამისად, დეტალებში აღარ მიმოვიხილავ აქ, უბრალოდ მოკლედ შევხები ერთ პოზიციას, რომელიც ცდილობს ცხადად დაგვანახოს რეალური დანაკარგი, რაც კონფლიქტის წართმევას ახლავს თან (გვ.მ.):

ეს დანაკარგი პირველ რიგში შესაძლებლობის დაკარგვაა. მეტიც, ის პედაგოგიური შესაძლებლობების დაკარგვაა. ეს არის იმ დისკუსიაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის დაკარგვა, რომელმაც სამართლიანობა უნდა დაადგინოს. რამდენად არასწორი იყო ქურდის საქციელი ან რამდენად მართალი იყო დაზარალებული? იურისტებს, როგორც წესი აქვთ სათანადო ცოდნა სწორი დასკვნის გასაკეთებლად მომხდარის თაობაზე. მაგრამ ამ დატრენინგებული ადამიანების უუნარობა მაშინ ვლინდება, როდესაც ისინი საშუალებას აძლევენ მხარეებს თვითონ გადაწყვიტონ რა არის რელევიანტური. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ რთულია პოლიტიკური დებატების მსგავსი პროცესის გამართვა სასამართლოში. როდესაც დაზარალებული პატარაა და თავდამსხმელი დიდაა წონაში ან ძალაუფლებაში – რამდენად გამკიცხავი უნდა იყოს დანაშაული ასეთ დროს? ან პირიქით, პატარა ქურდი და დიდი სახლის მეპატრონე? თუ თავდამსხმელს აქვს კარგი განათლება, ის მეტად უნდა იტანჯოს, თუ ნაკლებად? ან თუ ის შავკანიანია ან ახალგაზრდაა, ან თუ მეორე მხარე სადამღვევო კომპანიაა, ან თუ იგი ცოლმა მიატოვა, ან თუ მისი საწარმო განადგურდება თუ იგი ციხეში წავა, ან თუ მისი ქალიშვილი დაკარგავს საქმროს, ან თუ ის ნასვამი იყო, ან თუ ცუდ გუნებაზე იყო, ან თუ გიჟია? შესაძლებელია უსასრულოდ გაგრძელება. ეს უსასრულობა კარგიცაა. შესაძლებელია ბაროტის კანონი, რომელიც აღწერილია მაქს გლუკმანის (1967) მიერ, უკეთესი საშუალებაა ნორმის დასაბამსუტებლად, რომელიც კონფლიქტში მყოფ მხარეებს საშუალებას აძლევს ყოველ ჯერზე ახალი არგუმენტები წარმოადგინონ.

ჩვენ ისევ და ისევ ახლოს ვართ იმ სხვაობას შორის, რაც არსებობს ნეო-კლასიკურ მიდგომასა და მონაწილეობითი მართვასა და

ჯულების ძირითად ასპექტს შორის. სისხლის სამართალში, ღირებულებები დაზუსტებულია ტკივილის მიყენების გრადაციის ხარჯზე. სახელმწიფო ადგენს მის შკალას, ადგენს ღირებულებების რანგს, რომელიც მოიცავს დამნაშავეზე ზემოქმედების საშუალებებსაც და რომელიც ხშირ შემთხვევაში გამოხატებულია წლების რაოდენობით, ანუ რამდენი წელი უნდა წაერთვას მას. ტკივილი ჰგავს ენას და იგი გამოიყენება, როგორც კომუნიკაციის საშუალება. მონაწილეობით მართლმსაჯულებაში შედეგი იგივეა – ღირებულებების დაზუსტება – რომელიც მიიღწევა თავად პროცესით. მაგრამ აქ, საბოლოო შედეგიდან, ყურადღება გადატანილია პროცესზე.

11.2 საკომპენსაციო მართლმსაჯულება

სამოქალაქო სამართალი რა თქმა უნდა არაა დამოკიდებული მხოლოდ მონაწილეობაზე და სიტყვებზე. ამ დროს აუცილებელია ქმედებაც. თუ რაიმე არასწორადაა, ის უნდა გამოსწორდეს. მშვიდობამ კვლავ უნდა დაისადგუროს. კერძოდ, დაზარალებულს ზიანი უნდა აუნაზღაურდეს. ყველა სისტემაში სადაც არ არის ძლიერი სახელმწიფო, დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურება მთავარი გამოსავალია. აღნიშნული არის სწორედ ის, რის თაობაზეც სოციალური ანთროპოლოგები დიდ ყურადღებას ამახვილებენ. ეს არის ის, რასაც სამართლის ისტორიკოსები აღწერენ. ეს არის სისტემა, რომელსაც ჩვენ მიგმართავთ, როდესაც ვინმე გვაზიანებს ან ვაყენებთ ზიანს და გვსურს ყველაფერი გამოვასწოროთ.

დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდა ხომ ასეთი აშკარაა გამოსავალია და გამოიყენება მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, უმეტეს შემთხვევებში. რატომ არ გამოიყენება აღნიშნული სახელმწიფოს დონეზე ინდუსტრიულ ქვეყნებში? ან რატომ არ შეიძლება დაზარალებულს გადავუხადოთ კომპენსაცია და შევამციროთ სისხლის სა-

მართლის გამოყენება? არსებობს სამი მიზეზი, რომელიც იძლევა ამ კითხვებზე პასუხს და ქვემოთ სწორედ მათ განვიხილა.

პირველ რიგში, აღნიშნულს ვერ გამოვიყენებთ ჩვენი ტიპის საზოგადოებებში. ჩვენი საზოგადოება, ისეთი საზოგადოებაა, რომელშიც აუცილებელია არსებობდეს ცალკეული სპეციალობები. ჩვენ გვჭირდება ექსპერტები დანაშაულთან გასამკლავებლად. ცოტა ხანში ამ პრობლემას დეტალურად განვიხილავ. აქ საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ჩვენს ირგვლივ არსებული ყველა სოციალური ღონისძიება არ არის საჭირო. ისინი შეიძლება იმის გამოც არსებობენ, რომ ერთ დროს მათი არსებობა აწყობდათ ხელისუფლების წარმომადგენლებს. დღემდე ამ არასაჭირო აქტივობების არსებობა განპირობებულია იმით, რომ ისინი სხვა ინტერესებს ემსახურებიან. სასამართლოს მსახურები, ისევე როგორც დამხმარე პერსონალი, საკუთარ თავს საკმაოდ წარმატებით ემსახურებიან.

მეორე, საკომპენსაციო მართლმსაჯულება, კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობას გულისხმობს. დამნაშავეს უნდა შეეძლოს რამის დაბრუნება. მაგრამ დამნაშავეები ხშირად, გაჭირვებული ხალხია. მათ არაფერი აქვთ უკან დასაბრუნებელი. ამაზე მრავალმხრივი პასუხი არსებობს. მართალია, რომ ჩვენი ციხეები სავსეა გაჭირვებული ადამიანებით. ჩვენ ნებას ვაძლევთ დამნაშავეებს გადაიხადონ მათ ხელთ არსებული ერთადერთი საშუალებით, რომელიც თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული საზოგადოებაში და ეს საშუალებაა დრო. დამნაშავეებს ერთმევათ დრო ტკივილის შესაქმნელად. მაგრამ დრო, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკომპენსაციო მნიშვნელობითაც, რა თქმა უნდა თუ ამას მოვისურვებდით. აღნიშნული სულაც არ არის შეუძლებელი, უბრალოდ ორგანიზაციული პრობლემაა. მეტიც, არც ის არის სწორი, თითქოს პატიმრები ძალიან ღარიბები იყვნენ. უამრავ სასამართლებულ დამნაშავეს აქვთ ახალგაზრდული მოწყობილობები; ველოსიპედები, სტერეო მოწყობილო-

ბები და ა.შ. მაგრამ კანონი და კანონის აღმასრულებლები რატომღაც ერიდებიან იმოქმედონ საკომპენსაციო მართლმსაჯულების ფარგლებში, ჩამოართვან დამნაშავეებს მათ ხელთ არსებული ნივთები და გამოიყენონ ისინი დაზარალებულის სასარგებლოდ. გამოდის, რომ საკუთრების უფლება გაცილებით უკეთ არის დაცული, ვიდრე თავისუფლების უფლება. უფრო ადვილია ახალგაზრდას წავართვათ დრო, ვიდრე ველოსიპედი. საკუთრების უფლება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თავისუფლების აღკვეთა არ არის რეკომენდირებული ჩვეულებრივი მოქალაქისთვის. მაგალითად, შუა საუკუნეების ცოდვილები/დამნაშავეები, რომლებსაც სამოქალაქო მართლმსაჯულების გზით აგებიანდნენ პასუხს, ყოველთვის მდიდრები არ იყვნენ. ჰერმან ბიანკი მის სტატიაში (1979) აღწერს, როგორ ფუნქციონირებდნენ ტაძრები. ეკლესიები და მონასტრები იყო ადგილი, სადაც დამნაშავეებისთვის ხელის ხლება არ შეიძლებოდა. შესაბამისად, სწორედ ტაძარი გახდა ის ადგილი სადაც მიდიოდა მსჯელობა ბრალეულობასა და კომპენსაციაზე, დამნაშავეების წარმომადგენლებსა და დაზარალებულს შორის. შესაძლებელი იყო მკვლელობის პატიება, თუ მკვლელი 1000 გულდენს გადაიხდიდა. ასეთ შემთხვევაში მას შეეძლო მონასტრის დატოვება. მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც გარკვეული დროის შემდეგ აღმოჩნდებოდა, რომ მკვლელს არ შეეძლო 1000 გულდენის გადახდა. ასეთ შემთხვევაში ის უკვე ცუდი ადამიანიც იყო, მაგრამ უფრო ნაკლებად ცუდი. იგი ასეთ დროს მკვლელიდან, მოვალე ხდებოდა. ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ახალი დისკუსია და მხარეები შეიძლება შეთანხმებულიყვნენ უფრო ნაკლებ თანხაზე, ისეთზე, რომლის გადახდა რეალური იქნებოდა დამნაშავეისთვის. ის დამნაშავეები ვისაც არ სურდათ არავითარი კომპენსაცია, ნელ-ნელა ქვეითდებოდნენ რანგებში და ნელ-ნელა კარგავდნენ ტაძარში მიღებულ პრივილეგიებს და ბოლოს იძულებული ხდებოდნენ ლტოლვილად გადახვეწილიყვნენ სხვა ქვეყანაში ან ხდებოდნენ ჯვაროსნე-

ბი, რომლებიც ქრისტიანობისთვის და სავაჭრო პრივილეგიებისთვის იბრძოდნენ. ჰერმან ბიანკი ცდილობს მსგავსი ტაძრების მშენებლობას ამსტერდამში. აღნიშნული კი ჩვენს საუკუნეში, უიშვიათეს ორიგინალურ იდეას წარმოადგენს.

მაგრამ აქ ვაწყდებით მესამე წინააღმდეგობას: აღნიშნული მიგვიყვანს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასთან. ძლიერი დაზარალებული დამნაშავეს არაპროპირციულად „გაწურავს“ და პირიქით, ძლიერი დამნაშავე უბრალოდ გაცივდება დაზარალებულზე, თუ კომპენსაციაზე იქნება საუბარი. ან შესაძლებელია შურისძიებას ჰქონდეს ადგილი. დაზარალებული და მისი მეგობრები, სამართლიანობის აღდგენას საკუთარ ხელში აიღებენ და დამნაშავე და მისი მეგობრებიც იგივეს იზავენ. მაფიისთვის ძალადობა არ შემცირდება, არამედ მოედება მთელ სისტემას. სწორედ, მსგავსი ანარქიული მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად გამოვიგონეთ სახელმწიფო. და მაინც, მიუხედავად აღნიშნულისა არსებობს საწინააღმდეგო არგუმენტებიც: უამრავი დანაშაული ხდება თანასწორ მხარეებს შორის (ფინანსურად და ძალაუფლების მხრივ). კომპენსირების პროცესში არსებული გადახრები არც თუ ისე ბუსტია. მეტიც, მონაწილეობითი მართლმსაჯულების პროცესში დამნაშავე და დაზარალებული დახურულ კარს მიღმა არ საუბრობენ. მათ შორის მიმდინარე დისკუსია საჯარო უნდა იყოს. აღნიშნული იქნება დისკუსია სადაც დაზარალებულის თავს გადამხდარი დეტალურად გაანალიზებული იქნება – მიუხედავად იმისა დეტალები სამართლებრივად რელევანტურია თუ არა – და აღნიშნულზე სასამართლოს ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, თუ რა შეიძლება დაზარალებულისთვის გააკეთოს პირველ რიგში დამნაშავემ, შემდეგ სამეზობლომ, ბოლოს კი, სახელმწიფომ. შესაძლებელია თუ არა ზიანის ანაზღაურება, ფანჯრის შეკეთება, საკეტის შეცვლა, კედლის შეღებვა, დაკარგული დროის ანაზღაურება მანქა-

ნის ქურდობის გამო, ისეთი საშუალებით როგორცაა დაზარალებულის ბაღში მუშაობით ან მისი მანქანის გარეცხვით ზედიზედ 10 კვირის განმავლობაში? ან შეიძლება ზიანი არც ისეთი დიდია, როგორც ეს დოკუმენტებში ჩანდა? შესაძლებელია თუ არა ფიზიკური ზიანი უფრო ნაკლებ ტკივილის მომტანად იქცეს, თუ ქმედების ჩამდენი განახორციელებს დაზარალებულის სასარგებლო ქმედებებს დღეების, თვეების ან წლების განმავლობაში? დამატებით, ამოწურა თუ არა საზოგადოებამ დასახმარებლად ყველა რესურსი? აშკარა იყო თუ არა, რომ ადგილობრივი საავადმყოფო ვერავითარ დახმარებას ვერ გასწევდა? დამნაშავეს სიტუაციაც ანალოგიურად უნდა გაანალიზდეს. ამ უკანასკნელმა შეიძლება წარმოშვას სოციალური, საგანმანათლებლო, სამედიცინო და რელიგიური ქმედებების საჭიროება. არა იმიტომ, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი დანაშაული, არამედ იმიტომ, რომ საჭიროებები უნდა დაკმაყოფილდეს.

და ამის საწინააღმდეგოდ: რატომ უნდა დააბრკოლოს შეუძლებელმა შემთხვევებმა ნორმალური გადაწყვეტილების მიღება მაშინ, როდესაც შესაძლებელია ასეთი გადაწყვეტილების მიღება? რატომ არ უნდა შევზღუდოთ სასჯელის გამოყენების არეალი იმდაგვარად, რომ სასჯელის გამოყენება მაქსიმალურად შეიზღუდოს? ჩამოვაცალიბოთ შერიგების ორგანოები. გამოვიყენოთ სხვადასხვაობა, როდესაც დღის წესრიგში დადგება ამ ორგანოების დაკომპლექტების საკითხი, ტრენინგი და ა.შ. მათი შექმნის შემდეგ გავითვალისწინოთ ყველა ის შეცდომა, რაც მათმა წინამორბედებმა დაუშვეს: გავხადოთ ისინი დაუცველნი, არ მივცეთ მათ ძალაუფლება, არ დაუშვათ მათი ექსპერტებად გახდომა, არ დაუშვათ, რომ ისინი დიდ დისტანციაზე დაგვშორდნენ.

ჩვენ უნდა დაგვენახა, რომ შერიგების პროცესში დამნაშავეები და დაზარალებულები თანასწორი არიან და მათ კონფლიქტის შემდეგ ერთად თანაცხოვრება უწევთ. როულსი (1972) თვლის, რომ არსებუ-

ლი მართლმსაჯულება ადამიანის ინტერესების უზულებელმყოფელი მართლმსაჯულებაა, ხოლო აღნიშნული იქცევა მართლმსაჯულებად, რომელიც შექმნილია იმ ცოდნის საფუძველზე, რომ ადამიანს თავისი ქმედების შედეგები დიდი ხნის განმავლობაში გაჰყვება. მსგავს ორგანოებს არ ექნებათ იმის უფლებამოსილება, რომ გაუმკლავდნენ ყველაფერს. მართალია ასეთ დროს სახელმწიფოს მონაწილეობა შემცირებულია, მაგრამ იგი სრულად არ არის გამორიცხული. რამდენად შორს შეგვიძლია წასვლა, გამოცდილების საკითხია. მაგრამ მიზნის გარეშე წინსვლა შეუძლებელია. მიზანი კი, ტკივილის შემცირება უნდა იყოს. და ეს მიზანი თანაბრად უნდა იყოს ჩადებული, როგორც კანონში ისე საზოგადოების სხვა ინტიტუტების ყოველდღიურ საქმიანობაში. ლუკ ჰულსმანმა, ერთხელ ოსლოში ჩაატარა ლექცია სახელწოდებით: „სისხლის სამართალი, როგორც სოციალური პრობლემა“. ამ ფორმულირებიდან გამომდინარეობს აზრი, რომ სისხლის სამართლის მოქმედების არეალი შეძლებისდაგვარად უნდა შემცირდეს.

შორეულ პერსპექტივაში, როგორც საზოგადოების სხვა ინტიტუტების შემთხვევაში, დაისმის საკითხი ისეთი ორგანიზაციული მოწყობის არსებობის შესახებ, რომელშიც ჩვეულებრივი მოქალაქეები, მათთვის საინტერესო საკითხებში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც სრულუფლებიანი მონაწილეები და არ იქნებიან მხოლოდ დამკვირვებლის როლში; ან შესაძლებელია ისინი თავად გახდნენ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნის შემოქმედნი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია გზა გავიკვალოთ იმ გამოსავლისაკენ, რომელიც ნაპოვნია იმ ადამიანების მიერ ვინც გვისმენს, ნაცვლად იმ ადამიანებისა ვინც ძალას იყენებს, მითითებების ნაცვლად მნიშვნელოვანია კომპრომისების მოძებნა, მნიშვნელოვანია ისეთი გამოსავალი, რომელიც ახალისებს კომპენსაციას, რეპრესალიის ნაცვლად და რომელიც საბოლოოდ სიკეთეს უფრო უწყობს ხელს, ვიდრე სიბოროტეს.

11.3 სანაპირო, ნორმონი მწუნაჩება/გლოვა

კონფლიქტების ისტორიას თუ გადავხედავთ, შესაძლებელი იქნება იმ დასკვნის გაკეთება, რომ მათ მიერ ნაწარმოები გზავნილები საფრთხეებს შეიცავენ. აღნიშნული უფრო ცხადი ხდება, თუ გავიხსენებთ ჯეფრი გურერის ანალიზს გლოვის საწინააღმდეგო ტაბუს არსებობის შესახებ. თანამედროვე რაციონალურ საზოგადოებას, სიკვდილი, თანამედროვე რაციონალურ მოვლენად მიაჩნია. შესაბამისად, ის კრძალავს გადაჭარბებულ გლოვას. სიბრაზე ისეთივე რეალურია, როგორც მწუხარება. მეტიც, ის ისეთივე ლეგიტიმურიცაა. კონფლიქტების ცივილიზებისა და ტკივილის შემცირების ყველანაირი მცდელობა, შესაძლებელია ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტების მიერ კრიტიკის საგანი გახდეს. აღნიშნული წიგნი შეიძლება იქცეს ისეთად, რომელიც ცდილობს ძირითადი აქტივობები ჩამოაშოროს ადამიანსა და სოციალურ სისტემებს.

ნება მიბოძეთ გავანეიტრალიო მსგავსი ეფექტი იმის დაშვებით, რომ ადამიანს შეეძლოს იმწუთიერი ბრაზის გამოხატვა, როდესაც მის ან სხვის გრძნობებს ადგება ზიანი. მაგრამ წავიდეთ კიდევ უფრო შორს. ანალოგიურად ვიფიქროთ მწუხარების შემთხვევაში. თუ აუცილებელია სასჯელის გამოყენება, ის უნდა იყოს იმ ქმედების/რეაქციის მსგავსი, რომელიც სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც ადამიანი მწუხარებაშია. აღნიშნული კი, წარმოაჩენს ტკივილის გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან შემლუდვებს:

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს რომ, მწუხარება პირადი საკითხია. პროფესიონალებმა შეიძლება მონაწილეობა მიიღონ. მაგალითად, დამკრძალავი ბიურო, მღვდელი, შეიძლება მუსიკოსები ან მაგალობელთა გუნდი. ზოგიერთ კულტურაში, ადამიანებს ქირაობენ მიცვალებულის დასატირებლად. ნორვეგიაში ჩვენ მათ “gråtekoner”-ს ვეძახებით, რაც „დამტირებელ ქალებს“ ნიშნავს. ინგლისურად მათ

„პროფესიონალი დამტირებლები“ ერქვათ. აღნიშნული თანამედროვე ცხოვრების საინტერესო თავისებურებაა, რომ ამ საზოგადოებებში, სადაც როგორც ამბობენ ყველაფერი პროფესიონალურ დონეზეა აყვანილი, გადაგვარდა პროფესიონალი დამტირებლების ბიზნესი. რთულად თუ წარმოვიდგენთ ისეთ პანაშვიდებს, სადაც გარდაცვლილის ახლობლები ცენტრში არ იყვნენ თავმოყრილი. როდესაც მეფე კვდება, სახელმწიფოს მაღალჩინოსნებიც ცენტრში იქნებიან. მაგრამ ამ შემთხვევაში მთლიანად ერი გლოვობს. როდესაც ჩვეულებრივი ადამიანი კვდება, მხოლოდ ახლობლები გლოვობენ. სამოქალაქო საქმეებზე შეიძლება წარმომადგენლის დაქირავება. მაგრამ თუ გარდაცვლილის ახლობელი ხარ, პანაშვიდზე არ შეიძლება წარმომადგენლის დაქირავება. ან პირადად მიდიხარ პანაშვიდზე და დგახარ იქ, ან საერთოდ არ მიდიხარ.

მეორე, მწუხარება ემოციური საკითხია. მაგრამ არა დიდ ხნიანი, არა ხანგრძლივი. როდესაც კუბო უჩინარდება მიწაში ან ლუმელში, ჩვენ უფლება გვაქვს გამოვხატოთ ემოციური მწუხარება, რომელიც კონტროლდება, მაგრამ არა სრულად. ჩვენ უფლება გვაქვს გამოვხატოთ მწუხარება და ყველა ელოდება, რომ ასეც მოვიქცევით. მტრის პანაშვიდზეც კი, შესაძლებელია ნიანგის ცრემლებით ტირილი. მაგრამ სწორედ ასეთი შემთხვევების წყალობით ხდება ნამდვილი და ბუნებრივი მწუხარების გამიჯვნა, ხელოვნური მწუხარებისგან.

მესამე, მწუხარება არის ქმედება მიზნის გარეშე. აღნიშნული სიმართლეა, მაგრამ ამავდროულად სრულიად მცდარი. გლოვას პირადი და სოციალური დატვირთვა გააჩნია. გლოვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ადამიანებისა და საზოგადოებების დანაწევრებას იწვევს. მწუხარებისა და სინანულის გამოხატვა განგრძობადობის პროცესს შესაძლებელს ხდის. ამის შესახებ ყველამ ვიცით. მაგრამ ჩვენ ასევე ვიცით, რომ თუ მწუხარების გამოხატვას რაიმე მიზანი ახლავს, მაშინ მწუხარება ყელში გვეჩხირება. სწორედ ეს უკანაკნელი აქცევს

არასასურველი ადამიანის საჯარო პანაშვიდს, არასასურველ შემთხვევად. მწუხარება არსებობს მწუხარების გულისთვის. მაგრამ ეს სულაც არ გვიშლის ხელს, რომ მწუხარების ხარჯზე უპირატესობები მოვიპოვოთ. „რადგან ასეთი მოწყენილი ვარ, შენ უნდა დარჩე ჩემთან“. ან უფრო ხშირი შემთხვევა: „თუ შენ ცუდად მოიქცევი, მე ძალიან, ძალიან გულნაკტენი დავრჩები“. ეს უკანასკნელი უტილიტარისტული მწუხარებაა, რომელიც კარგად არის ცნობილი მისი საჭიროებიდან გამომდინარე, მაგრამ მისთვის ასევე დამახასიათებელია ემოციის პროფანაცია, რომელიც გამოხატავს ერთგვარ მუქარას და გვაგრძობობებს ჩვენ, რომ შეიძლება რაღაც ღირებული დავკარგოთ.

ადამიანის დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს მწუხარება, გლოვის ფორმით გამოხატული. მაგრამ მან შესაძლებელია ასევე გამოიწვიოს ბრაზი და სასჯელი. რა თქმა უნდა არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები ამ პროცესში. არ არის აუცილებელი, რომ გლოვას სამიზნე ჰყავდეს, მაგრამ სიბრაზეს გადაზრდილს სასჯელში ყოველთვის ჰყავს. მაგრამ მათ შორის ბევრი საერთოც არსებობს. ჩემი არგუმენტი ის არის, რომ სიბრაზეს – სასჯელის სახით გამოხატულს – რაც მეტად მიეცემა გლოვის ფორმა – მით უფრო ნაკლები საწინააღმდეგო მიქნება მსგავს აქტივობასთან. აქ მე ვცდილობ შეზღუდული ანალოგიის ჩამოყალიბებას. თუ ჩვენ ვთანხმდებით ტკივილის გამოყენებას, ის მხოლოდ მისაღებია ისეთი ფორმით, რომელსაც ბევრი საერთო ექნება მწუხარებასთან/გლოვასთან.

უფრო კონკრეტულად: სასჯელი რაც უფრო პერსონიფიცირებულია მით უფრო მისაღებია, რაც უფრო მეტ ემოციას იწვევენ ისინი, მით უფრო ნაკლებად აღიქმებიან უტილიტარისტულ პერსპექტივაში. თუ მე ვაყენებ ტკივილს, სწორედ მე უნდა ვიყო მისი ავტორი, მათ შორის ემოციურადაც, ხოლო მიზანი ტკივილის მიყენება უნდა იყოს. ტკივილს არ უნდა აყენებდეს წარმომადგენელი, რომელიც ზის მშვიდად და მისი მიზანი გამოხატული სულაც არ არის.

რასაც მე აღვწერ ხშირად მოხსენიებულია, როგორც „სასჯელის აბსოლუტური თეორია“. აბსოლუტური, რადგან არავითარი საფუძველი არ გააჩნია. შენ სჯი, დასჯის მიზნით, ისევე, როგორც შენ მოწყენილი ხარ იმიტომ, რომ მოწყენილი ხარ. სასჯელის აბსოლუტური თეორია სრულად უგულებელყოფილია თანამედროვე სისხლის სამართლის სპეციალისტების მიერ. ის არ ემსახურება არავითარ მიზანს, არავითარ სარგებელს. სწორედ ამიტომ მომწონს ეს თეორია. თუ ტკივილის მიყენების უკან არავითარი მიზანი არ იქნება, უფრო ნათელი გახდება ის, რომ აღნიშნული მორალური საკითხია. მხარეებს მოუწევთ მუდმივად იმაზე ფიქრი, სწორად იყო თუ არა ტკივილი მიყენებული. მათ არ მოუწევთ ტკივილის საჭიროებაზე ფიქრი, არამედ მხოლოდ მის სისწორეზე. ასეთ პირობებში კი, რაც მეტს იფიქრებენ ისინი სასჯელის სისწორეზე, მით უფრო მეტად დარწმუნდებიან, რომ მათი ქმედება არ იყო სწორი. აღნიშნულის შედეგი ის იქნება, რომ ბრაზი განიდეგნება. ეს კი თავის მხრივ, სასჯელის დანიშვნის პროცედურის დიალოგში გადაზრდას გამოიწვევს. ჩვენ სამოქალაქო პროცედურებს დავუბრუნდებით.

მაგრამ შემთხვევითი არ არის, რომ სასჯელის აბსოლუტური თეორიები მოდიდან გადასულია და სასჯელის დანიშვნის დომინირებული თეორიები უტილიტარისტული ტიპისაა, სადაც ტკივილის მიზანი ან მკურნალობა ან დაშინებაა. ყველაფერი ეს არის ჩვენი საზოგადოებების ნათელი გამოხატულება: საზოგადოებები, რომლებიც ითვლიან იმ ადამიანებს და რომლებიც პირადი სარგებლის გამზრდის მიზნით, ღმად არიან ჩართული საქონლის მიმოცვლის პროცესში. ჩვენ დაშორებული დემოკრატია გვაქვს, რომელიც კარგად ერგება დაშორებულ პენოკრატიას, კარგად არის მორგებული ფართო მასშტაბიანი საზოგადოების მსახურებისთვის, რომელიც იყენებს ტექნოლოგიებს ყველა ქმედების ფასის საკონტროლოებლად. არაფერი ისე არ არის ჰარმონიაში გაცვლის/მიმოცვლის მოდელთან, როგორც ნეო-კლასი-

კური მიმდინარეობა პროპორციული სასჯელის (just deserts) შესახებ. ტკივილის სამართლიანი გამოთვლა და მისი შესაბამისი ზომა. რაც უფრო ვიზრდებით საერთაშორისო დონეზე, მით უფრო ვუახლოვდებით მსოფლიო სავაჭრო ბაზრის შექმნას.

ორგანიზაციული ფორმითაც, ჩვენი არსებული სასჯელის სისტემა კარგი მაგალითია ჩვენი ამჟამინდელი საზოგადოების ძირითადი მახასიათებლებისა. ჩვენი საზოგადოება არის კლიენტების საზოგადოება, სადაც ჩვენ გვყავს წარმომადგენლები, სადაც სხვები იძიებენ, მსჯელობენ და წყვეტენ. შესაბამისად, რატომ არ უნდა ვიყოთ ჩვენ კლიენტები, როდესაც დაზარალებულები ვართ, მაშინ როდესაც ჩვენ კლიენტების ცხოვრების მრავალ სფეროში ვართ? რატომ არ უნდა შეგვეძლოს სხვა ადამიანებასთვის ნების დართვა, რომ სამართალდამრღვევისთვის ტკივილის მიყენების სანაცვლოთ მათ მიიღონ ანაზღაურებაც და მადლიერებაც, იმ სამართალდამრღვევების მიმართ, რომლებსაც არც ვიცნობთ და სავარაუდოდ ვერც ვერასდროს გავიცნობთ. რატომ არ უნდა შეგვეძლოს სასჯელის ყიდვა, მაშინ როდესაც ჩვენ შეგვიძლია ჯანმრთელობისა და ბედნიერების ყიდვა?

აღნიშნულ მსჯელობას მივყავართ იმ დასკვნის გაკეთებისაკენ, რომ სასჯელი, როგორც გლოვა წარმოუდგენელია ჩვენი ტიპის საზოგადოებაში. რაც მართალია, მაგრამ ამავდროულად მცდარია. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ რეალურად ჩვენი ცხოვრება იმაზე მეტია ვიდრე სავაჭრო ბაზარი და კალკულაცია. ჩვენ გვყავს მეგობრები, მეგობრობის გამო, ჩვენ გვიყვარდება. რაციონალური მიზნების მიუხედავად, ჩვენ ვიქცევით, როგორც მხეცები ან გმირები მაშინაც კი, როდესაც ვიცით, რომ ასეთი ქმედება არავითარ სარგებელს არ მოგვითმანს. ჩვენ ვსაუბრობთ ბაზრისა და კალკულაციის შესახებ, მაგრამ საკმაოდ კარგად ვუწყით, რომ ბაზრები და კალკულაცია ვერ იარსებებს თუ კულისებს მიღმა არ იქნება ისეთი მნიშვნელოვანი სიტყვები როგორცაა: საზოგადოებრივი სულისკვეთება, ტოტალურობა, სოლიდარობა

და ნდობა. სწორედ კულისებს მიღმა იქნება სასჯელის აბსოლუტური თეორიები ბუნებრივი. ასეთ დროს საუბარი გამოხატულ ქმედებებზე და არა სამომავლო შედეგზე ორიენტირებული. ასეთ დროს სასჯელი იქნება, როგორც გაბრაზებული ადამიანის ყვირილი და არა რაციონალური ქცევა, რაღაცის მოსაწყესრიგებლად.

რეალურად, ვთვლი, რომ სასჯელების ნაწილის მოტივაცია სწორედ კულისებს მიღმა უნდა ვეძებოთ. მაგრამ სასჯელს ანაზღაურებადი მოხელეები ნიშნავენ, რომლებიც თეორეტიკოსებს აიძულებს გამოძებნონ აღნიშნულის მისაღები მიზეზები, რომლებიც თავისი შინაარსით უტილიტარისტული იქნება და შესაძლებელი იქნება მათი მთავარ სცენაზე გამოტანა.

როდესაც ვკითხულობათ ან ვაწარმოებთ დისკუსიას ანდანიისთან (1950, 1977), მეკელასთან (1975) და მათ თანამოაზრეებთან, მეუფლება განცდა, რომ ყველას შეგვიძლო საერთო პოზიციაზე შეჯერება, თუ ყველა გავბედავდით და ჩავუღრმავდებოდით დებატებს სოლიდარობაზე, სოციალურ მოთხოვნებზე, ერთობაზე და სხვა ისეთ ელემენტებზე, რომლებმაც საზოგადოება იმაზე მეტად აქციეს, ვიდრე ადამიანების ერთობა და რაციონალური ქმედებებია. გენერალური პრევენციის მომხრეებმა ეს შეძლეს – მკურანლობის მომხრეებზე მეტად – და მნიშვნელოვანი სოციოლოგიური ელემენტები მათი მოსაზრებების უკან არის შემდეგი: ჩვენ ხანდახან შეიძლება შევქმნათ ეჭვები ცალკეული სასჯელის გენერალური პრევენციის ეფექტების შესახებ. მაგრამ ჩვენ იშვიათად თუ შევძლებთ იმას, რომ დავარწმუნოთ მორწმუნე, რადგან გენერალური პრევენციის იდეის უკან სხვა იდეა დგას, ისეთი რომელიც ამბობს, რომ რაღაცა მოხდება, როდესაც ვინმე არასწორად იქცევა, აღნიშნული ერთგვარად გლოვის მსგავსია. სხვა სიტყვებით, უამრავი არგუმენტი, რომელიც ტკივილის განაწილებას გენერალური პრევენციისთვის აუცილებელ საშუალებად განიხილავს, შეიძლება შენიღბულად ასევე შეიცავდეს აბსოლუტური სასჯელის თეორიის ელემენტებს.

მსგავსი შეხედულებები არ უნდა იქნეს სხვაგვარად გაგებული. გენერალური პრევენციის თეორიები უნდა შეფასდეს საკუთარი ხარისხის მიხედვით და უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ მათ უკიდურესად ექსტრემალურ ვერსიებს, როგორცია პოლიციის სრულად გაუქმება ან სიკვდილით დასჯა სატრანსპორტო სამართალდარღვევებისთვის, შეიძლება ჰქონდეთ ის ეფექტი, რაც ამ თეორიების მიზანს წარმოადგენს. რისი თქმაც მინდა არის ის, რომ სასჯელის შესახებ თეორიების უკან გაცილებით მეტი დგას, ვიდრე ეს გადმოცემულია სასჯელის მართი უტილიტარისტულ ვერსიებში. და მნიშვნელოვანია, რომ ეს „მეტი“ საჯაროდ გამოვიტანოთ, გავხადოთ ნამდვილი და მასზე დებატები დავიწყოთ. ტკივილი განაწილებული, როგორც გენერალური პრევენციის საშუალება შესაძლებელია გაკონტროლდეს მართლმსაჯულების ნეო-კლასიკურ სისტემაში. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს არის კონტროლის პრიმიტიული სისტემა არასასურველი გვერდითი მოვლენებით. თუ აქტივობების ნაწილი მაინც დაკავშირებულია სასჯელის აბსოლუტურ თეორიასთან, ამან შეიძლება გზა გაუხსნას ახალ დისკუსიებს ტკივილის საჭიროებისა და ტკივილის კონტროლის ფორმების შესახებ. ჩვენ ვართ სიტუაციაში სადაც ინიციატივები „აბსოლუტური ტიპის სასჯელის“ შესახებ ტრანსფორმირებულია ისეთ სისტემაში, რომელიც ერგება უტილიტარისტული სასჯელების გამოყენებას. ამას კი, საზოგადოების მხრიდან კანონისა და წესრიგისადმი სამუდამო უკმაყოფილებამდე მივყავართ. საზოგადოების საბაზრო სტრუქტურა მეტ-ნაკლებად მიხედვითაა, მაგრამ საზოგადოების ერთიანი სტრუქტურა არასაკმარისია. სისხლის სამართალში აღნიშნულს მივყავართ მეტი სასჯელის თაობაზე გამუდმებულ მოთხოვნებზე და ასეთ დროს სასჯელი უნდა დანიშნოს საზოგადოების იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც საკუთარ თავს აყენებენ ველურ ადამიანებსა, რომლებიც მოწყურებული არიან შურისძიებას, და ზოგიერთ გზიდან აცდენილ ადამიანს შორის, რომლებიც გადაძე-

ტებული ტკივილისაგან დაცვას საჭიროებენ. ასეთი სიტუაცია კი, ჩვენ საზოგადოებაში არასტაბილურობის განცდას ტოვებს.

გემოაღნიშნულის შემდეგ, რა უნდა იყოს ამ ანალიზის შედეგი? ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ ორი.

პირველი, დასავლურ საზოგადოებებში ტკივილის განაწილება არ ხდება იმ ფორმით, რომელიც სტრუქტურულ მსგავსებას გამოავლენდა გლოვასთან. ის მოტივირებულია ბრაზით, მაგრამ გამოხატულია წარმომადგენლობითი ფორმით. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილული ტკივილის განაწილების თავი განსხვავდება საზოგადოებებისა და დროის მიხედვით. ანაზღაურებადი წარმომადგენლები – მოსამართლეები, ციხის ოფიცრები, ციხის ადმინისტრაცია, პირობით ვადამდე გათავისუფლების დირექტორები – ქმნიან ტკივილის განაწილების განსხვავებულ სისტემებს. ამ პროცესში, საკუთრივ ტკივილის სათანადო ოდენობის გამოთვლის გარდა, ისინი რა თქმა უნდა ექცევიან სხვადასხვა მიზეზების გავლენის ქვეშ. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ამავდროულად ჩვენ შეგვიძლია ტკივილის შემცირებაზე სასჯელის აბსოლუტური თეორიების ცალკეული სახეების ხარჯზე ვიზრუნოთ.

მეორე, ჩვენ თუ ვცნობთ სასჯელს, მაშინ იგი უნდა იყოს გამოხატულებითი ტიპის, რომელიც დაკავშირებულია გლოვასთან. ასეთ შემთხვევაში ახალი კითხვების კასკადი წამოიწევს წინ: იყო თუ არა სასჯელი ისეთი, რომლის დანიშვნაშიც ჩვეულებრივმა ადამიანებმა, დაზარალებულის ჩათვლით, მონაწილეობა მიიღეს? მიიღეს თუ არა მათ მონაწილეობა სასჯელის აღსრულებაში? გაატარეს თუ არა მათ შესაბამისი ზომები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში? იცის თუ არა საზოგადოების ყველა წევრმა ყველა დეტალი? რა შეიძლება გაკეთდეს ცნობიერების ასამაღლებლად? შესაძლებელია თუ არა ადგილობრივი ტელევიზიის მოწვევა სასამართლოში და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში? თუ ვინმეს ერიდება მედია საშუალების

მოწვევა, ხომ არ არის ლოგიკური, რომ მასვე უნდა ერიდებოდეს სასჯელის გამოყენებაც? არის თუ არა ტკივილი იმდენად ცუდი, რომ მის აღსრულებაში ყველას მონაწილეობა გამოირიცხოს და თუ ეს ასეა, ხომ არ ხდება ეს იმის გამო, რომ ტკივილი მართლაც ძალიან ცუდია? ტკივილის მიზანი, რომ მართლაც ტკივილი იყოს, მაშინ ის გამოყენებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ იგი ყველასთვის ცხადზე ცხადი იყოს.

თუ ჩვენ სასჯელის დანიშვნის პროცესს ახლოს მოვიტანთ, მაშინ ყველანი პროცესის მონაწილეები გავხდებით, ხანდახან ამსრულებლებიც. აღნიშნულმა შეიძლება მიგვიყვანოს სიტუაციამდე, როდესაც მონაწილეობა არ მიგვანია მართებულად იმის გამო, რომ მაგალითად, ვიცნობდით დამნაშავეს ან დაზარალებულს, ან ამ ან მსგავს სიტუაციებში ვიცით, რომ ტკივილის მიყენება არ არის გამართლებული. აღნიშნული კი, თავის მხრივ გზას უხსნის ფუნდამენტურ დისკუსიას მორალურ საკითხებზე, სადაც ნორმის სიცხადე ცენტრალურ ამოცანად იქცევა.

მაგრამ ამ ახალი კითხვებით და მე-10 თავში განხილული საკითხების გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასჯელის აბსოლუტური თეორიებს, მოქმედს ისეთ საზოგადოებაში რომლებიც ეფუძნება მონაწილეობას და არა წარმომადგენლობას, შეუძლია მიგვიყვანოს ისეთ საზოგადოებამდე, რომელმაც შეძლო ტკივილის შემცირება. ამის საწინააღმდეგოდ სასჯელის აბსოლუტური თეორიები შენიღბული უტილიტარისტული პრინციპებით, ქმნიან ისეთ საზოგადოებებს, რომელსაც აქვს დიდი მიდრეკილება ტკივილის გამოყენებისკენ. აბსოლუტური თეორია, რომელიც აბსოლუტურად განიხილება და აღსრულდება იმის მიერ ვისაც უშუალოდ ჰქონდა შეხება მომხდართან, რა თქმა უნდა არ ექნება იგივე ეფექტი. სასჯელის აბსოლუტური თეორია, რომელსაც ერთი თანასწორი ადამიანი იყენებს მეორის მიმართ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში შექმნის კონფლიქტის ისეთ მიმართულებას, რომელიც სისხლის სამართლის სფეროდან

გამოვა და გადავა სამოქალაქო სფეროში, ანუ სახეზე სისხლის სამართლის ნაცვლად, სამოქალაქო კონფლიქტი გვექნება.

11.4 ანაზღორნაღრი აკონოზიკა

წინამდებარე წიგნი არ ეყრდნობა იმ რწმენას, რომ იდეას მსოფლიოს შეცვლა შეუძლია. მართო იდეებს ეს არ შეიუძლიათ. მაგრამ იდეა შეიძლება დაგვეხმაროს ცვილები განხორციელებაში, როდე-საც სხვა დანარჩენი პირობები სწორია.

აქ საკითხავი ის არის, არის თუ არა სხვა პირობები სწორი?

ჩვენ საზოგადოებაში ზოგიერთ შემთხვევაში ესპერტების აშკარა საჭიროება იკვეთება. ჩვენი დროის ზოგიერთი სირთულე იმ მაგნიტუდისაა, რომ მათი გადაჭრა უბრალო ადამიანებს არ შეუძლია. ოპერაციებში ჩართული არიან უზომოდ ძლიერი ცენტრალიზებული ძალები, რომლებიც ხალისდებიან სამხედრო დაწესებულებებისა და საერთაშორისო სავაჭრო და ინდუსტრიული ეფექტების მიერ. მონაწილეობითი მართლმსაჯულება არარეალური ხდება ისეთ საზოგადოებებში, რომლებიც კატასტროფის წინაშე მომზადების ნაცვლად, იქცევიან მონოლითური ქცევის მქონე საზოგადოებად, სადაც ქმედება მხოლოდ ბრძანებებს ემყარება და არა არჩევანს და სადაც ნებისმიერი ექსპერიმენტი საშიშად განიხილება.

მაგრამ ამადროულად საქმეში სხვა ძალებიც ერთვებიან. ზოგიერთი მათგანი განვიხილეთ 9.3 პარაგრაფში და მას ფარული ჩვევა ვუწოდეთ, ხოლო ნაწილი 9.4 პარაგრაფში და მას საწინააღმდეგო კულტურა ვუწოდეთ. მოდით კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ.

ნორვეგიელი მოსახლეობის ზუსტად ნახევარი მუშა ძალას წარმოადგენს იმ გაგებით, რომ მათ აქვთ ანაზღაურებადი სამსახური. დარჩენილი ნაწილი წინა ნაწილს მოწყვეტილია და არსებობს სხვადასხვა ფორმით. და სწორედ ეს მეორე ნაწილი იზრდება საგრძნობი

ტემპით, როგორც ნორვეგიაში, ისე სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებში.

ჩვენმა ქვეყანამ გაიარა ოთხი მნიშვნელოვანი ეტაპი. პირველი, ძირითადი სექტორი – მიწათმოქმედება და თევჭერა – მექანიზებული გახდა. შესაბამისად, საჭირო მუშა ხელის ოდენობა საგრძნობლად შემცირდა. თუმცა აღნიშნული საკმაოდ კარგი იყო მეორადი სექტორისთვის, მრეწველობისთვის. ამ სექტორმა მიიღო უამრავი კონკურენტუნარიანი მუშახელი, მაგრამ ეს გაგრძელდა მანამ სანამ მექანიზაციის დონემ არ მიაღწია არ ნახულ სიმაღლეებს და შესაბამისად, ასეთი მუშაკების რაოდენობაც შემცირდა. ეს კი თავის მხრივ, კარგი იყო მესამე სექტორისთვის – სერვისები, ადმინისტრაცია, საავადმყოფოები, უნივერსიტეტები, რომლებმაც სიამოვნებით შთანთქეს ნამატი – მანამდე, სანამ დღემდე არაიდუნსტრიული ქვეყნების შურისძიებამ არ გვიწია. სწორედ ეს მოხდა. ეს საზოგადოებები, რომლებიც განვითარების მეორე ან მესამე საფეურზე არიან შემოვიდნენ სრულიად ღია ბაზარზე, ხელში ჩაიგდეს პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი და დაგვიტოვეს უზარმაზარი მომსახურების სექტორის ანაზღაურება, რომელიც უნდა აანაზღაუროს ჩვენმა ინდუსტრიულმა სისტემამ, რომლის მოგებაც საკმაოდ მცირდება. ამ ეტაპზე უმეტესმა ინდუსტრიულმა ქვეყანამ მოახდინა ერთგვარი ინსტიტუტური რეაქცია, მათ შეწყვიტეს მომსახურების სექტორის ზრდა. ჩვენზე ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმაც იგივე გააკეთეს. შესაბამისად, პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოება მივიღეთ.

აქ ამაზე მეტი ანალიზი აღარ მოხდება, მაგრამ ამის აღნიშვნა საჭიროა იმის გასაცნობიერებლად, რომ რაც ხდება, ამას გარკვეული გავლენა აქვს სოციალურ კონტროლზე. მთელი ინდუსტრიული სისტემა მნიშვნელოვანი ცვლილებების წინაშეა. აღნიშნულს კი შესაბამისი შედეგები ექნება ადამიანთა შორის ურთიერთობაზე.

ჩვენი მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია ცალ-ცალკე მიმოვიხილოთ ის ეფექტები, რაც ხსენებულ ორ მნიშვნელოვან კატეგორიაზე ვრცელ-

დება, კერძოდ ნაწილზე, რომლებსაც აქვთ ანაზღაურება და მეორე ნაწილზე, რომლებსაც არ აქვთ. პირველი კატეგორიაზე შეიძლება მარტივად ითქვას, რომ მიიღებს ყველაფერს იმაზე ნაკლებს, ვიდრე იღებდა. მათ სავაჭრო ძალაუფლება დაკარგეს. მას ან მის ფირმას მოუწევს კონკურენციის გაწევა კორეული, ტაილანდური ან ტანზანიური ფირმებისთვის. ამავდროულად, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები მოიმატებს, ასევე მოიმატებს ყველანაირი საზოგადოებრივი ხარჯები. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, ასე ხდება ყოველთვის, როდესაც მცირე რაოდენობით დასაქმებულებმა უნდა უხადონ იმ ხალხს ვინც არ არის დასაქმებული. საერთო შედეგი იქნება შემცირებული ანაზღაურება მათი ოფიციალური სამუშაოდან.

ანაზღაურებად მოხელეებს უფრო ნაკლებს უხდიან. ამავდროულად, უფრო იმატებს იმ ადამიანების რაოდენობა ვისაც საერთოდ არ აქვს ანაზღაურებადი სამსახური. უმუშევრობის მაჩვენებელი საგრძობლად იზრდება ძველი ინდუსტრიული მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

საერთო ცნობიერება ძალზედ შორ დისტანციაზე მოსჩანს. ამის შედეგი კი წესით აშკარა უნდა ყოფილიყო: უმუშევრობა არ ნიშნავს, რომ ადამიანები მუშაობას წყვეტენ. ზოგიერთის გასაკვირად, აშკარა ხდება, რომ არსებობს სამუშაოს ისეთი ფორმები, რომლებიც რეგისტრირებული არ არის. ადამიანები კარგავენ სამსახურებს, მაგრამ აგრძელებენ მუშაობას. ოფიციალური სამუშაო ბაზრის უკან არის ნაცრისფერი სამყარო უმუშევრებისთვის და იმათთვის ვისაც არ აქვს საკმარისი შემოსავალი. იქიდან გამომდინარე, რომ გადასახადები მაღალია, მექანიკოსი მეგობარს მანქანას შეუკეთებს საღამოობით, ხანდახან ამაში ცოტაოდენ ფულსაც მიიღებს, ხშირად კი, იგი ამას უფასოდ აკეთებს, მაგრამ იმედი აქვს საპასუხო სერვისის. ისინი მარტო არ არიან ამის კეთებისას. როგორც გერშუნი (1979) და პალი (1980), ასევე ორივე საერთო ნაშრომში (1980) უთითებენ, ოფიციალუ-

რი ეკონომიკის პარალელურად არსებობს სხვა ეკონომიკა, რომლის ნაწილი ლეგალურია, ნაწილი ნახევრად ლეგალური, ხოლო მესამე ნაწილის მკაცრად არალეგალური. არაფორმალური ეკონომიკა იზრდება ოფიციალური ეკონომიკის შევიწროების ხარჯზე. ამავე დროს არსებობს ქცევითი ჩვევები და გაცვლითი ურთიერთობები ისეთი ფორმით, რომელიც ინდუსტრიული რევოლუციის მომასწავებელია. ინგლისელი ბრაკონიერები კვლავ აშკარად გაცოცხლდნენ და ხილბოსტანიც ბედნიერად იწარმოება უკანა ეზოებში, რომლებიც დაბეგრისგან გათავისუფლებულ ნივთებზე უპრობლემოდ იცვლება. რადგანაც დასავლეთის ქვეყნებში უმუშევრობის ოფიციალური რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, ხსენებული არაფორმალური ეკონომიკებიც უფრო მეტად გაიზრდება. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გვაქვს ორი ეკონომიკა. ერთი ოფიციალური, თავისი მაღალ ტექნოლოგიური საწარმოებით, რომელიც იბეგრება და რაც თავის მხრივ მცირე დობით სოციალური უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ ამის პარალელურად, ჩვენ გვაქვს არაფორმალური ეკონომიკაც.

არაფორმალურ ეკონომიკაში, ივან ილიჩისგან (1981) განსხვავებით მე სხვა რამეს ვგულისხმობ, ის თვლიდა რომ სახეზე გვაქვს ჩრდილოვანი სამსახურები. ეს უკანასკნელი ილიჩისთვის აუცილებელი იყო ინდუსტრიულად დასაქმებული ადამიანებისთვის. აღნიშნული სჭირდებოდა ცოლს იმისთვის, რომ ენახა როგორ მიდიოდა მისი ქმარი ქარხანაში. მაგრამ ილიჩი ჩრდილოვან სამსახურს სახალხო ღირებულებას ადარებდა. და სწორედ ეს არის ჩემ თემასთან ახლოს. ფორმალური ეკონომიკა იმ ფორმით, რაც ჩვენ ვიცით არის შრომითი ხელშეკრულებების, ხელფასების, გადასახადების შემცირების, საწარმოო უსაფრთხოების და სხვა ისეთი რეგულაციების თანხლებით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და რომელიც დღეს

უკვე არარეალობას წარმოადგენს. საწარმომ კორეაში ან ტაილანდში გადაინაცვლა და დასავლეთელი მუშა დაბრუნდა ისეთ სიტუაციაში, როგორმიც იგი შორეულ წარსულში იყო.

ამ ახალ და ამავდროულად ძველ სიტუაციას გავლენა ექნება საზოგადოების მოწყობაზე და შესაბამისად, სოციალურ კონტროლზეც. როგორც პაი (1980) უთითებს, იქმნება ისეთი სიტუაცია სადაც ძველი ინდუსტრიული საზოგადოების ყველაზე ჩამორჩენილი ადამიანები უეცრად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ადამიანების ის კატეგორიები, რომლებმაც ყველაზე ეფექტურად გაუძლე ინდუსტრიული კაპიტალიზმის ძირითად ღირებულებებს, წესით ყველაზე ადვილად უნდა გაუმკლავდნენ იმ პრობლემებს, რომელიც ფორმალური დასაქმების შემცირებით არის გამოწვეული.

პალი გამოყოფს უმუშევრების სამ ჯგუფს, რომლის სათავეშიც ყველაზე პრივილეგირებულები არიან:

1. ადამიანები შესაბამისი უნარებით და ხელმისაწვდომი გასაყიდი სერვისებით ან ისეთი ადამიანები ვისაც აქვს შესაბამისი კონტაქტები არაფორმალურ ბაზარზე გასასვლელად.
2. ადამიანები ვისაც არ აქვთ სავაჭრო უნარები ან პროდუქტები, მაგრამ აქვთ ადგილობრივი ბაზარზე წვდომა და აქვთ იმის რესურსი, რომ იყიდონ შესაბამისი უნარები და შესაძლებლობები.
3. ადამიანები ვისაც არც უნარები აქვთ, არც ცოდნა და არც რესურსები, რომ ხელი შეუწყონ არაფორმალურ ეკონომიკას. უფრო ტრადიციული სისტემის ფარგლებში ეს ადამიანები სოციალური იერარქიის საშუალო ნაწილში მოთავსდებიან. ისინი იზოლირებული არიან კომუნალური სერვისებიდან და არც იმის ფინანსური შესაძლებლობა აქვთ, რომ სამომავლოდ შეძლონ ამ სერვისებით სარგებლობა.

სხვა სიტყვებით: წევრობისთვის საჭიროა გადახდა. თუ ფორმალური ეკონომიკა კიდევ უფრო გაუარესდება, წევრობა აუცილებელი იქნება გადარჩენისთვის. ჩვენ კვლავინდებურად ისეთ სიტუაციაში

აში ვართ, სადაც ადამიანები მუდმივად იყვენ, სადაც მონაწილეობა, ნდობა, კომუნალური ცხოვრება და ერთმანეთზე დამოკიდებულება ცხოვრების ცენტრალური ნაწილი გახდა. ეს არის სწორედ ის კონდიციები სადაც მონაწილეობითი მართლმსაჯულება ყველაზე ეფექტურად იმოქმედებს.

11.5 განიხილავთ თუ არა სუსტ მხარეებს?

და რა ვუყოთ იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც ვერ ახორციელებენ თავიანთ უფლებებს? შევიწროებული ცოლები, რომლებსაც მეზობელები ვერ ესარჩლებიან; უმცირესობები, რომლებსაც ავი თვალთ უყურებენ ადგილობრივ კლნიკაში, კლინიკაში, რომელშიც ხელმძღვანელობა ამბზე ვერაფერს ამბობს, რადგან შემვიწროებულ ხალხზე არის მათი მომავალი დამოკიდებული; სახლები საიდანაც ბავშვების ტირილის ხმა გამუდმებით გაისმის, მაგრამ ვერავინ ბედავს ჩარევას სასახლის დოქტრინის გამო. ამ პირობებში ხომ არ გვექნება ისეთი სიტუაცია, სადაც საზოგადოების სუსტი წარმომადგენლები კიდევ უფრო დასუსტდებიან?

ეს დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე.

ჩვეულებრივ პირობებში პროფესიონალებით სავსე სისხლის სამართლის სასამართლო შეიძლება მოგვევლინოს სუსტი მხარეების დამცველად თუ:

- საზოგადოება იქნებოდა არათანასწორი, მაგრამ ძალაუფლება მიმართული იქნება იმ იდეალისკენ, რომ ყველა სუსტი მხარე დაცული იყოს.
- და თუ მმართველები და მათი სასამართლოები იბრუნებენ იმაზე, რომ გააქტიურდეს თავიანთი მექანიზმები.
- და თუ საზოგადოება იქნება იმდენად გამჭვირვალე, რომ ნებისმიერი უფლების დარღვევა სათანადოდ იქნება რეგისტრირებული.
- და თუ სუსტი მხარეები ენდობიან სასამართლოს.

- და თუ სასამართლოები ღია იქნება ნებისმიერი ტიპის საჩივრისთვის და იმოქმედებენ იდეალების შესაბამისად.

აღნიშნულით რა თქმა უნდა მივიღებდით ისეთ მართლმსაჯულებას, რომელიც აცნობიერებს ძირითად უთანასწორობებს და სუსტ მხარეებს კიდევ უფრო ასუსტებს. მივიღებდით ისეთ სტრუქტურას, როდესაც ქმარს არ ექნებოდა ცოლის იმაზე მეტად ცემის უფლება ვიდრე ის იმსახურებს, როდესაც არ უნდა მომხდარიყო შავკანიანების დაპატიმრება თეთრკანიანთა უბანში, თუ მათ იქ საქმე ექნებოდათ. არაფრის ქონას ეს ჯობია, მაგრამ არც ისეთი უკეთესია, როგორც ამაზე საუბრობენ. მაგრამ იმისთვის, რომ აშკარა საკითხი დავიწყებას არ მიეცეს კიდევ ერთხელ გავიმეორებ: დამოუკიდებელი სასამართლო წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს საზოგადოების სუსტი წევრების უფლებების დასაცავად.

მაგრამ ეს ზრდის მნიშვნელოვან კითხვებს თუ როგორ უნდა გავზარდოთ მონაწილეობითი მართლმსაჯულების როლი ისე, რომ არ დაიკარგოს არსებული სისტემის მნიშვნელოვანი დაცვითი ელემენტები. შესაძლებელია თუ არა ისეთი მომიჯნავე მართლმსაჯულების შექმნა, რომელიც შეიცავს მონაწილეობის დადებით ელემენტებს და ამავდროულად შენარჩუნებულია არსებული სისტემის დადებითი ელემენტები? შეუძლია თუ არა სახელმწიფოს დაეხმაროს სუსტ მხარეებს კონფლიქტის არსებობისას, მაგრამ ისე, რომ კონფლიქტის მოგვარება თავის თავზე არ აიღოს? და რა ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფო არის კონფლიქტის მხარე? ისევ, ჩემი პასუხი ამ კითხვებზე იქნება ის, რომ მხედველობაში მივიღოთ სუსტი მხარეების სუსტი ადგილი ჩვენს არსებულ სისტემაში.

დაკავშირებული კითხვა იქნება, თუ როგორ მოვახდინოთ და გავზარდოთ მართლმსაჯულება მონაწილეობაზე ორიენტირებული ისე, რომ არ მოხდეს ჩვენი გარყვნა. „ციხეების ალტერნატივის“ შექმნის

ბოლო დროინდელმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ისინი ადვილად იქცევიან „ციხის გაგრძელებად“ და პირობითი სასჯელი რეალურად იწვევს იმას, რომ ადამიანები გაცილებით დიდი დროის განმავლობაში არიან ციხეში. ამ საკითხზე მსჯელობისას, დანაშაულის განკურნების იდეოლოგიის დროინდელი გაკვეთილიც არ უნდა დავივიწყოთ. თუ ტკივილის განაწილების შემცირება შეზღუდულია, მაშინ ხომ არ მივიღებთ ძველი ისტორიის განმეორებას? მივიღებთ თუ არა ახალ დახვეწილ სასჯელს, რომელიც ადმინისტრირებული იქნება ამ საგრძნობლად ჰუმანური სამოქალაქო ინსტიტუტების მიერ. სკეპტიკოსები დაგვჭირდება. ასევე დაგვჭირდება ინსტიტუციონალურად და ინტელექტუალურად დამოუკიდებელი კვლევა, რომელიც სახელმწიფოს ჩარევისგან თავისუფალი იქნება.

ეს წიგნი არ არის რევოლუციის შესახებ, იგი მხოლოდ რეფორმას ეხება. არსებითი კითხვა იმაში მდგომარეობს, შეუძლიათ თუ არა სასამართლოებს იყვნენ უფრო მონაწილეობაზე ორიენტირებული, ან შესაძლებელია თუ არა დავის გადაწყვეტის ინსტიტუტები ჩაბმულ იქნენ ამ სტრუქტურაში. მთავარი საბრუნავი არის სამეზობლოების გააქტიურება, რაც მონაწილეებს დაეხმარება იმის გაცნობიერებაში თუ რა ხდება მათ გარშემო. როგორც რეი შონჰოლცი უთითებს მის მიერ სან ფრანცისკოს ერთ-ერთ კომუნალურ კომიტეტზე დაკვირვების შედეგად, სუსტ მხარეებს გადარჩენის მეტი შანსი აქვთ თუ სამეზობლო უფრო მეზობლური გახდება. ცოლისა და შვილების მიმართ სასტიკი მოპყრობა გაცილებით იოლი დასამალია მაშინ, როდესაც ოჯახიც დამალულია, ვიდრე მაშინ, როდესაც ცოლს და შვილებს მეტი კონტაქტები აქვთ კომუნაში. კინბერგი, ინგე და რიემერი (1943) კარგად აღწერენ როგორ მოქმედებს ეს ფაქტორი მამისა და ქალიშვილის ინცესტის დროს. იზოლირებულ ოჯახებში, მამის ფიზიკური დომინაცია კონტროლს არ ექვემდებარებოდა. კომუნაში ინტეგრაცია სუსტ მხარეებს საშუალებას აძლევს მათი ტანჯვის შესახებ სხვებს

უამბონ და ასევე შესაძლებლობას აძლევს დამცავი კოალიციების ჩამოყალიბებაში. იმისათვის რომ სუსტმა მხარეებმა სარგებელი ნახონ, აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ შესაბამისი სისტემა არ არის იმდენად მცირე, რომ შეუძლებელი იყოს კოალიციების ჩამოყალიბება და საპირისპიროდ, სისტემა არც ისე დიდია, რომ შეუძლებელი იყოს გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. მე შვებისა და თავისუფლების განცდა მეუფლება, როდესაც უცხო ხალხში ვტრიალებ. მე ვიცი კომუნის სარგებლის შესახებ მიუხედავად კომუნის მახასიათებლებისა. მაგრამ მე მეშინია, რომ იქ სხვებიც არიან, ისინი ვინც გადასახადებს იხდიან.

მაგრამ რა თქმა უნდა, ჩარევა ყოველთვის მომგებიანი არ არის. სამეზობლოები შეიძლება გაერთიანდნენ უმცირესობის წინააღმდეგ. მონაწილეობითი მართლმსაჯულება შეიძლება შევიწროების იარაღად იქცეს. ეს კი, თავის მხრივ იწვევს რთულ პრობლემებს, რომლებსაც აქ არ განვიხილავ, გარდა ორისა. პირველი, ცოტა თუ დაგვეთანხმება იმაში, რომ კომუნის საწინააღმდეგო საქმიანობა კარგი გამოსავალია. მაშინ პრობლემურია ის, თუ რამდენად ახლოს უნდა შეერწყას ადამიანი იმ სამეზობლოს, რომლისთვისაც მას უწევს მუშაობა. ნორვეგიის ტიპის პოსტ-ინდუსტრიულ ქვეყანის მსგავს საზოგადოებაში მცხოვრებთათვის ჩემი პასუხი მარტივი იქნება: იმაზე მეტად უნდა შეერწყან ვიდრე ახლა არიან. როდესაც ადამიანი გზის ერთ მხარეს არსებულ ორმოში ჩავარდნის საფრთხის წინაშე დგება, იოლი გამოსაცნობია ამ ადამიანის ქმედება, რომელიც მიმართული უნდა იყოს ორმოსგან მაქსიმალურად დაშორებისკენ, მიუხედავად იმისა, შექმნის თუ არა გზის ერთ მხარეს არსებული ორმოს დიდზე დაშორება, გზის მეორე მხარეს არსებულ ორმოში ჩავარდნის საფრთხეს.

მონაწილეობითი მართლმსაჯულების გაძლიერება, რა თქმა უნდა გამოიწვევს ადგილობრივი ღირებულებების პატივისცემის ვალდებუ-

ლებას. ამის ფონზე მართლმსაჯულება სამეზობლოების მიხედვით არ იქნება ისეთი თანასწორი, როგორც ის ახლაა. სხვა სიტყვებით, მონაწილეობითი მართლმსაჯულება გამოიწვევს ადგილობრივი ღირებულებების გადარჩენას. თუ ამ საკითხს მსოფლიოს პერსპექტივიდან შევხედავთ, ეს საკმაოდ მომგებიანია. ჩვენი მაღალ ინდუსტრიული სამყარო სულ უფრო მეტად ქმნის ერთ ჰომოგენურ კულტურას, მომხმარებლების კულტურას. სუბკულტურების, ადგილობრივად მკვიდრი მოსახლეობის, საწინააღმდეგო აზროვნება და ქმედება, უფრო და უფრო განადგურდა ბოლო 30 წლის განმავლობაში, ვიდრე ოდესმე. სოციალურ ურთიერთობებში არსებული განსხვავებები მეტად შემცირებულია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ განსხვავებები ხშირად კონკრეტული სახეობის დასაცავად საუკეთესო საშუალებაა. ზოგიერთი ჩვენგანი, ვინც მაღალ დონეზე მილიტარიზებულ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ინდუსტრიულ დაწესებულებებს ჩვენი ღირებულებების საფრთხედ განიხილავს, დივერსიფიკაციის ხელშეწყობას მნიშვნელოვან ნაბიჯად განიხილავს. სახელმწიფოები თითქმის ყოველთვის თავს იცავენ ისეთი იარაღით, რომელიც წააგავს მათი მტრის ხელში არსებულ იარაღს. სამეზობლოების გადარჩენა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ისინი იმდენად პატარები იქნებიან, რომ მათი დაპყრობა უაზრობა იყოს, იმდენად განსხვავებულები იქნებიან, რომ რთული იქნება მათი ამოცნობა, იმდენად შეკავშირებული იქნებიან, რომ მათი ერთობლივი მოქმედებით ინდუსტრიული გიგანტები იძულებული გახდნენ სადმე სხვგან დააბინძურონ გარემო. ამ ფართო პერსპექტივაში, მონაწილეობითი მართლმსაჯულება შეიძლება იქცეს დივერსიფიკაციის დაცვის უმნიშვნელოვანეს ელემენტად და ამასთან ერთად, გაქრობის საფრთხის წინაშე არსებული ღირებულებების დასაცავად.

თუ ამ შეხედულებებს აქვთ საფუძვლიანობა, მაშინ ჩვენს წინაშე არსებული ამოცანები სულაც არ განეკუთვნება დანაშაულის კონტ-

როლის შესახებ დისკუსიას. ისინი ასევე არ განეკუთვნებიან დისკუსიებს მკურნალობის, დაშინების ან სასჯელის სხვა ტიპების თაობაზე. მთავარი ამოცანა იქნება დისკუსია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი სოციალური სისტემა, რომელიც საზოგადოების ღირებულებების წარმოჩენას დიდ შესაძლებლობას აძლევს. როგორ შეგვიძლია ჩვენ ისეთი სისტემის შექმნა, სადაც ყველა მნიშვნელოვანი ღირებულება და ყველა მხარის ინტერესები გათვალისწინებული იქნება? როგორ უნდა ჩამოვყალიბოთ კონფილიქტის გადაჭრის მექანიზმები იმდაგვარად, რომ მან საზოგადოება წარმოაჩინოს იმ კუთხით, როგორითაც ჩვენ გვსურს?

11.6 შეზღუდვის შეზღუდვაში?

შესაძლებელია ეს როლისმე მოხდეს? შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი სოციალური სისტემები სადაც მხარეები უმეტესწილად დავის სამოქალაქო გადაწყვეტას ემხრობიან? ხომ არ აღმოჩნდება ყოველთვის ის, ვინც სასჯელის გამოყენებას აუცილებლობად მიიჩნევს?

ასეთი მოთხოვნების თაობაზე ორი პოტენციური შემთხვევა არის მნიშვნელოვანი.

პირველი არის შურისმაძიებელი მსხვერპლის შემთხვევა. დამანაშავემ მე ფიზიკური ზიანი მომაყენა. სამართლიანობა აღსდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის სხეულზე იერიშს მივიტან. წარმოვიდგინოთ, რომ სწორედ ასე აზროვნებს მსხვერპლი. ასევე წარმოვიდგინოთ, რომ კომპენსაცია შეთავაზებული იყო და შეიქმნა ისეთი სიტუაცია სადაც მხარეებს თანაბარი ძალაუფლება და ორმხრივი დამოკიდებულება არსებობდა. თუ ამ სიტუაციაში მსხვერპლი მაინც სამაგიეროს მიზღვას მოითხოვდა, არ უნდა ჰქონდეს მას სამართლიანი უფლება ტკივილის მისაყენებლად, თუ იგი ამას გაბედავდა?

ამ კითხვაზე პირველი პასუხი არის მორალური. სისტემაში, რომელიც აღიარებს შურისძიებას, მსხვერპლს ან მის წარმომადგენელს აქვს სამაგიეროს მიზღვის უფლება. სისტემაში, რომელიც პატიებაზე აკეთებს აცენტს, დაზარალებულს ეთხოვებოდა მეორე ლოყის შემკერა.

მაგრამ თუ დაზარალებული აპატიებს, ახალი კითხვა იბადება. უნდა შეეძლოს თუ არა დაზარალებულს ყველა შემთხვევაში პატიება? როგორ უნდა მოვიქცეთ ისეთი მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, რომელიც იწვევს არამართო დაზარალებულის არამედ საზოგადოების აღშფოთებას და საზოგადოება ითხოვს ტკივილის მიყენებას. დედამ აპატია შვილის მკვლელს, მაგრამ საზოგადოებას არ უპატივია. ვის უნდა მოვუსმინოთ ასეთ დროს?

ამაზე პასუხი დამოკიდებული იქნება, თუ როგორი საზოგადოების წევრები არიან მხარეები. თუ სისტემა შედგებოდა მხოლოდ დაზარალებულისა და დამნაშავისგან, მხოლოდ ამ ორისგან, მაშინ პრობლემაც არ იარსებებდა, ამ ორისთვის მაინც. მაგრამ რაც უფრო მეტი წარმომადგენელი ჰყავს სისტემას და რაც უფრო დაშორებული არიან ისინი დაზარალებულთან და თავდამსხმელთან, მაშინ მით უფრო პრობლემური ხდება საზოგადოების რეაქცია.

რუდოლფ შტაინერმა (1972) ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი ანალოგია ენასა და მართმსაჯულებას შორის. ჩვენ დაბადებიდან დავსდევს საუბრის პოტენციალი. მაგრამ ჩვენ ვერ დავუფუფლებით ენას მანამ, სანამ არ გვექნება სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. ანალოგიურად ჩვენ ყველას დაბადებიდან დავსდევს სამართლიანობის განცდა. მაგრამ ჩვენ ვერ შევიცნობთ სამართლიანობას მანამ, სანამ სხვა ადამიანებთან არ გვექნება ურთიერთობა. სწორედ ურთიერთობის საფუძველზე ვაცნობიერებთ ჩვენ რა არის სწორი ენა და სწორედ ურთიერთობის საფუძველზე ვაცნობიერებთ რა არის დევიაციაზე პა-

სუბი. შესაბამისად, ენისა და სამართლიანობის შეგრძნება სოციალური პროდუქტებია.

ორივე შემთხვევაში, სისწორის შეგრძნებაზე – ენაში ან მორალში – გავლენა შეიძლება მოახდინონ დისტანციურად დაშორებულმა წყაროებმა. ესპანეთის დედოფალმა ჩამოაყალიბა გრამატიკა სწორედ სასაუბროდ. არალეგიტიმური მეტყველება კონტროლს დაექვემდებარა. კონტროლს დაექვემდებარა არალეგიტიმური ფიქრებიც (Illich 1981). ანალოგიური მიდგომა არსებობს სამართალთანაც. სახელმწიფო სამართალი არის გრამატიკა. მონაწილეობითი მართლმართლების იდეალური ტიპი იქნება იქ, სადაც მონაწილეებს სამართლიანობის საკუთარი განცდა აქვთ – მათი სამართლებრივი ადგილობრივი დიალექტი. რაც უფრო მეტი წესებია დადგენილი სახელმწიფოს მიერ, მით უფრო დიდია შანსი, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმება არ იყოს საკმარისი – სახელმწიფოს პერსპექტივიდან.

მე-10 თავში, მე ვსაუბრობდი ნაკლები ტკივილის მიყენების პირობებზე. შეგახსენებთ, რომ ჩემი მთავარი ჰიპოთეზა იყო ის, რომ სოციალური სისტემები, რომლებიც ამ პრინციპების მიხედვითაა ჩამოყალიბებული, ავლენენ დიდ სიფრთხილეს ტკივილის გამოყენებისას. მაგრამ ამავდროულად, სახელმწიფო თითქმის ყოველთვის უარყოფს ამ პრინციპებს. სხვა სიტყვებით, რაც უფრო მეტად ერევა სახელმწიფო, მით უფრო მეტი შემზღუდავი პირობებია დადგენილი და რაც უფრო ნაკლებად ერევა სახელმწიფო, მით უფრო ნაკლებადაა წახალისებული სასჯელი.

მაგრამ ამ მსჯელობას მივყავართ დილემამდე. დიდია შანსი, რომ პატარა, სტაბილურ სისტემაში სამართლიანობის აღქმა საერთო ჰქონდეთ მის მონაწილეებს. ისინი ერთ ენაზე საუბრობენ. ეს ნიშნავს, რომ დაზარალებულის მხრიდან პატიება, საზოგადოების სხვა

წევრების პატიება იქნება. მაგრამ რა იქნება თუ ეს ასე არ მოხდება? კონკრეტულმა შემთხვევებმა შეიძლება გადაუხვიონ საერთო სურათიდან. დევიანტი მსხვერპლი შეიძლება ტანჯვის მომხრე იყოს ან ქვესისტემას შეიძლება სჯეროდეს ამის. იმისათვის, რომ ვაკონტოლოთ ასეთი შემთხვევები, ჩვენ გვჭირდება დიდი სისტემა დამოუკიდებელი, დაცული სახელმწიფო ძალაუფლებით – სხვა სიტყვებით, გვჭირდება ზუსტად ისეთი სოციალური პირობები, რომლებიც როგორც უკვე აღვნიშნე, სოციალურ ურთიერთობებში ტკივილის გამოყენების შესაძლებლობას ქმნიან. სისასტიკის გასაკონტროლებლად ჩვენ გვჭირდება სახელმწიფოს ძალაუფლება. მაგრამ ამ უკანასკნელმა შეიძლება უფრო მეტი ტკივილის შექმნამდე მიგვიყვანოს. პრინციპში მე ამ დილემიდან გამოსავალს ვერ ვხედავ. ამ დილემის გადასაწყვეტად ყველაზე მიახლოებული, რაც შემიძლია ვთქვა არის შემდეგი: სახელმწიფოს ძალაუფლება უნდა შევამციროთ იმდენად, რამდენადაც გავბედავთ; იმდენად პატარა სისტემები, რამდენადაც გავბედავთ; იმდენად დამოუკიდებელი სისტემები, რამდენადაც გავბედავთ; იმდენად გათანაბრებული სისტემები, რამდენადაც გავბედავთ; იმდენად დაუცველი მონაწილეები, რამდენადაც გავბედავთ. ასეთ შემთხვევებში, ისინი ტკივილის გამოყენებისას მეტად თავშეკავებულები იქნებიან. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი, მე არ ვიცი რა უნდა ვქნათ ისეთ სიტუაციაში, როდესაც ტკივილის გამოყენება ბუნებრივი ჩანს სისტემის წევრებისთვის. იქნებ სადმე ოპტიმალური გამოსავალი არსებობს, იქნებ მართლაც არსებობს „სახელმწიფო ძალაუფლების ხუთი მარცვალი“?

მაგრამ პრაქტიკული კუთხით მე მაქვს პასუხი. ჩვენი დრო არის დიდი ქვეყნების ზენიტის დრო. ისინი, ბუნებრივი პრობლემების გადამჭრელებად უფრო განიხილებიან, ვიდრე შემქმნელებად. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ყოვლისმომცველი ტენდენციაა, მისგან

გადახვევა სწორ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. სიტუაცია, რომელშიც ძალიან პატარა სახელმწიფოს სადამსჯელო პოლიტიკის შედეგები გამოვლინდება იმდენად დაშორებულია დისტანციურად, რომ ჩვენი კონკრეტული რჩევა არსებულ სიტუაციაში, სოციალური ორგანიზაციის საწინააღმდეგო პრინციპების სასარგებლოდ მუშაობა იქნება.

თავი 12

ტკივილთან შედარებით

ეს არის წიგნი ტკივილის შესახებ. მაგრამ მე არსად მიხსენებია რა არის ტკივილი. ეს ასევე არის წიგნი სოციალურ სისტემებზე. ამიტომაც, ჩვენ იშვიათად თუ შევხვდებით ადამიანებს, რომლებიც არ არიან სისტემის წევრები. ვათვალისწინებ რა ჩემს მიერ დაწერილ ფურცლებს, მე მოვისაკლისებ მოსაზრებას ჯოჯოხეთის შემოვლითი გზის შესახებ, მოსაზრება რომელიც თავის დროზე აღწერილი აქვს ლიუისს (1940). მოვიდა დრო, რომ კრიმინოლოგიამ მეტი ყურადღება მიექცის სამოთხეს და სწორედ ამიტომ ნება მიბოძეთ დავასრულო ეს პატარა წიგნი ლიუისის სიტყვებით, რომელიც ტკივილის დაძლევისას ეხება (გვ. 133-135):

თქვენ შეიძლება შენიშნეთ, რომ წიგნები, რომლებიც გიყვართ ერთმანეთთან საიდუმლო ძაფით არის დაკავშირებული. თქვენ ძალიან კარგად იცით ის მახასიათებლები, რაც ამ წიგნებს აქვთ და რატომაც გიყვართ ისინი, თუმცა, ამის სიტყვებით გამოთქმა არ შეგიძლიათ: მაგრამ თქვენი მეგობრების უმეტესობა საერთოდ ვერ ამჩნევს მათ, და ხშირად უკვირთ კიდევ, თუ ეს მოგწონთ, რატომ უნდა მოგწონდეთ ისიც. სხვა შემთხვევა, წარმოდგინეთ, რომ უყურებთ პეიზაჟს, რომელიც შეიცავს იმას, რასაც მთელი ცხოვრება ეძებდით; შემდეგ მიტრიალდებით თქვენი მეგობრისკენ, რომელიც იმავეს უნდა ხედავდეს რასაც შენ, მაგრამ პირველივე სიტყვაზე თქვენ შორის უფსკრული აღმოჩნდება და შენ აცნობიერებ, რომ ეს პეიზაჟი სრულიად

განსხვავებულია მისთვის, რომ მას სულ სხვა ხედვა აქვს და სულ არ ადარდება ის ენით აუწერელი განცდა რაც შენ დაგეუფლა. ჰობის შემთხვევაშიც, არ გქონიათ რაიმე ისეთი საიდუმლო მიდრეკილება, რომლებსაც სხვები სკეპტიკურად უყურებენ – რაღაცა, რაც აუცილებელი არ არის რამესთან ასოცირდებოდეს, მაგრამ ყოველთვის იწვევდეს რაღაც სასიამოვნო განცდას, მაგალითად მოჭრილი ხის სუნი ან ნავის გვერდებზე მშხეფარე წყალი? ნუთუ სამუდამო მეგობრობა არ იბადება მაშინ, როდესაც ხვდები მეორე ადამიანს, რომელსაც აქვს ისეთი ქარაგმა, რომლისკენაც სულ მიილტვოდი და რომელსაც სხვა სურვილების ნაკადში, სიჩუმის დროს, დღისა და ღამის განმავლობაში, წლების განმავლობაში, ბაშვობიდან სიბერემდე, ეძებდი და უსმენდი? შენ ეს არასდროს გქონია. ყველაფერი რასაც აქამდე შეუპყრია შენი სული არის ამის ქარაგმა – მტანჯველი ნაპერწკალი, შეუსრულებელი დაპირებები, ექოები, რომლებიც უჩინარდება მაშინვე, რაც შენ ყურს მიალწევს. მაგრამ თუ ეს მართლა უნდა გახდეს აშკარა/მანიფესტი – თუ როდისმე მოსულა ექო, რომელიც მაშინვე არ გამქრალა და არ დაკარგულა ხმასთან ერთად – შენ ამის შესახებ აუცილებლად გეცოდინება. ყოველგვარი ეჭვის გარეშე შენ იტყვი, რომ „ბოლოსდაბოლოს ეს არის ის რისთვისაც შემქნილი ვარ, ეს არის ჩემი ცხოვრების აზრი“. ჩვენ არ შეგვიძლია ამის შესახებ ერთმანეთს ვუთხრათ. ეს არის ყველა სულის ფარული ხელწერა, აუწერელი და დაუმარცხებელი წადილი, რაღაცა რაც ჩვენ გვსურდა მანამ სანამ შეგვხვდებოდით ჩვენს ცოლებს ან მეგობრებს ან ავირჩევდით სამსახურს და რომლის გაუნელებელი სურვილიც გვექნება სიკვდილამდე, იმ დრომდეც კი, როდესაც ჩვენს გონებას აღარც ცოლი ემახსოვრება, აღარც მეგობარი და აღარც სამსახური. სანამ ჩვენ ვარსებობთ, ეს ასეა. თუ ჩვენ ამას დავკარგავთ, ჩვენ ყველაფერს დავკარგავთ.

ბიბლიოგრაფია

- Alternativer til frihedsstraf* – Et debatoplæg. (Alternatives to imprisonment – a debate proposal.) Betenkning nr. 806, København 1977.
- American friend's service committee: *Struggle for justice*. N. Y. 1971.
- Andenæs, Johs: *Almenprevensjonen – illusjon eller realitet?* (General prevention – illusion or reality.) Nordisk tidsskrift for kriminalvidenskab 1950, 33, 103-133.
- Andeæs, Jobs: *Punishment and deterrence*. With a foreword by Norval Morris. Ann Arbor 1974.
- Anttila, Inkeri: *Konservativ och radikal kriminalpolitik i Norden*. (Conservative and radical criminal policy within the Nordic countries). Nordisk tidsskrift for kriminalvidenskab 1967, 5 5, 237- 251.
- Anttila, Inkeri: *Et förslag til strafflagsreform i Finland*. (A proposal for penal reform in Finland.) Nordisk tidsskrift for kriminalvidenskab 1977, 65, 102-106.
- Aubert, Vilhelm: *Om straffens sosiale funksjoner*. (On the social functions of punishment.) Oslo 1954. Aubert, Vilhelm: Legal justice and mental health. Psychiatry, 1958, 21, 101- 113.

- Aubert, Vilhelm and Thomas Mathiesen: *Forbrytelse og sykdom*. (Crime and Illness.) Tidsskrft for samfunnsforskning 1962, 3, pp 169- 93.
- Balvig, Flemming: *Om ældre kvinders angst for kriminalitet*. (On elderly women's fear of criminality.) Rapport fra kontaktseminariet, Sundvolden, Norge 1979. Scandinavian Research Council for Criminology. pp. 132-139.
- Beccaria, Cesare: *Dei deilitti e delle pene. Om brott och straff*. Livorno 1766, Stockholm- Roma 1977, 203 p. Becker, Howard: Whose side are we on? Social problems, 1967, 14, 239-247.
- Bianchi, Herman: *Het assensusmodel – Een studie over het binnenlands asylrecht*. Tijdschrift voor criminologie, 1979, 21, pp. 167-179. In Norwegian: Assensusmodellen. En studie over innenlandsk asylrett. Stensilserien, Institutt for kriminologi og strafferett, Oslo 1981.
- Bjørkan, Wendy: *Lensmannsetaten: En overlevning fra fortiden eller en modell for fremtiden?* (The sheriff – a relic from the past or a model for the future?) Institutt for kriminologi og strafferett, 1977, nr. 25 Mimeo.
- Bondeson, Ulla: *Fången i fångsamhället*. (The prisoner within the society of captives.) Malmö 1974.
- Bottoms, A. E.: *An introduction to "The coming crisis"*. In: Bottoms, A. E. and R. H.
- Preston: *The coming penal crisis. A criminological and theological exploration*. Edinburgh 1980.
- Brottsförebyggande rådet: Nytt straffsystem*. Ideer och förslag. Stockholm. Rapport 1977:7 (Also published in English Summary: The National Swedish Council for crime prevention: A new penal system. Ideas and proposals, Stockholm 1978, Report No 5.)

- Börjesson, Bengt: *Om påföljders verkningar.* (On the effects of sanctions.) Uppsala, 1966.
- Callewaert, Staf and Bengt An. Nilsson: *Samhället, skolan och skolans indre arbete.* (Society, the school and the work inside the school.) Sweden 1979.
- Christiansen, Karl O., Mogens Moe and Leif Senholt, in collaboration with Ken Schubell, and Karin Zedeler: *Effektiviteten af forvaring og særfængsel m.v.* (The effectiveness of non-penal incarceration and special prison etc.) Denmark 1972. Statens trykningskontor, Betenkning nr. 644.
- Christie, Nils: *Tvangsarbeid og alkoholbruk.* (Forced labour and the use of alcohol.) Oslo 1960 a.
- Christie, Nils: *Reaksjonenes virkninger.* (The effects of the sanctions.) Nordisk tidsskrift for kriminalvidenskab 1960 b, 49, pp 129-144.
- Christie, Nils: *Forskning om individual-prevensjon kontra almenprevensjon.* (Research on individual prevention versus general prevention.) Lov og Rett 1971, nr. X, 49- 60.
- Christie, Nils: *Fangevoktere i konsentrasjonsleire.* (Guards in concentration camps.) Oslo 1972. Christie, Nils: *Conflicts as Property.* Br.j. Crim, 1977, 17, 1-19.
- Clarke, Bill: *Enough room for joy. Jean Vanier's L'Arche. A message for our time.* London 1974.
- Cohen, Stan: *Guilt, justice and tolerance: Some old concepts for a new criminology.* 1977, Mim. Dept. of sociology, Univ. of Essex, England.
- Cohen, Stan: *The Punitive City: Notes on the Dispersal of Social Control, Contemporary Crises,* 1979, 3, pp. 339-64.
- Cohen, Stan and Laurie Taylor: *Psychological survival. The experience of long term imprisonment.* G.B. 1972. Cooper, L.et.al.: *The iron fist and the velvet glove: An analysis of the U.S. police.* Berkeley 1974.

- Dahl, Tove Stang: *Statsmakt og sosial kontroll*. (State power and social control.) In Rune Slagstad, ed: *Om Staten*. Oslo 1977.
- Dahl, Tove Stang: *Barnevern og samfunnsvern*. (Child welfare and social defence) Oslo 1978.
- Dalgard, Odd Steffen: *Abnorme lovovertredere. Diagnose og prognose*. (Abnormal offenders, Diagnosis and prognosis.) Oslo 1966.
- Ehrlich, Isaac: *The Deterrent Effect of Capital Punishment. A Question of Life and Death*. *Am Ec. Rev.* 1975, 65, pp. 397-417.
- Englund, G. och Hasselakollektivet: *Tvånget til frihet*. (Compulsive freedom.) Stockholm 1978. Eriksson, Lars: *Varning för vård*. (Warning against treatment.) 1967.
- Foucault, Michel: *Surveiller et punir*. France 1975. (Discipline and punish London 1978.)
- Gershuny, J. I.: *The informal economy. Its role in post-industrial society*. *Futures*, 1979, 12, pp. 3- 15. Gershuny, J. I. and R. E. Pahi: *Work outside employment: some preliminary speculations*. *New universities quarterly*, 1980, 34, pp. 120-135.
- Gluckman, Max: *The judicial process among the Barotse of Northern Rhodesia*. Manchester 1967. Goldschmidt, Verner: *Den grøndlanske kriminallov og dens sociologiske baggrund*. (The criminal law of Greenland and its sociological background.) *Nordisk tidsskrift for kriminalvidenskab*, 1954, 42, pp. 133-148 and 242-268.
- Gorer, Geoffrey: *Death, grief and mourning in contemporary Britain*. N.Y. 1965.
- Gottfredson, Don, Leslie T. Wilkins and Peter B. Hoffman: *Guidelines for parole and sentencing. A policy control method, USA* 1978.
- Gouldner, Al: *The sociologist as partisan. Sociology and the welfare state*. *The American Sociologist*, 1968, 3, 103-116.

- Greenberg, David F. and Drew Humphries: *The cooptation of fixed sentencing reform*. Crime and delinquency 1980, 26, pp. 206-225.
- Hernes, Gudmund and Knud Knudsen: *Utdanning og ulikhet*. (Education and inequality.) NOU 1976:46.
- Hirsch, Andrew von: *Prediction of criminal conduct and preventive confinement of convicted persons*. Buffalo law review, 1972, 21, pp. 717-758.
- Hirsch, Andrew von: *Doing justice. Report of the committee for the study of incarceration*. N. Y. 1976. Humans, George Caspar: *The human group*. London 1951.
- Ignatieff, Michael: *A just measure of pain. The penitentiary in the industrial revolution 1750-1850*. G. B. 1978. Illich, Ivan: *The right to useful unemployment and its professional enemies*. London 1978.
- Illich, Ivan: *Shadow work*. Boston – London 1981.
- Jakobsen, Knut Dahl: *Politisk fattigdom*. (Political poverty.) Kontrast 1964, 3, pp. 5-11.
- Kinberg, Olof, Gunnar Inghe and Svend Riemer: *Incest problemet i Sverige* (The incest problem in Sweden.) Stockholm 1943.
- Kutschinsky, Berl: *Law, pornography and crime: The Danish experience*. London, in press (1981). Lewis, C. S.: *The problem of pain*, Great Britain 1940. Fontana books 1980.
- Lindblom, Ulf. *Smärtbehandling under omprövning* (Treatment of pain reconsidered.) Nordisk medisin 1980, 95, p. 75.
- Lusseyrand, Jacques: *And there was light*. Boston 1963. (Norwegian edition: *Og det ble lys*. Dreyer 1978.)
- Madsen, Børge: *I skorpionens halepids. Et speciale om mig og Christiania* (In the tail of the scorpion.) Christiania 1979.

- Mathiesen, Thomas: *The politics of abolition. Essays in political action theory*. Scandinavian studies in criminology. Oslo and London 1974.
- Mathiesen, Thomas: *Den skjulte disiplinering* (The hidden discipline.) Oslo 1978.
- Milgram, Stanley: *Some conditions of obedience and disobedience to authority*. Human relations, 1965, 18, pp. 57-75.
- Myrdal, Jan: *Folket och ordningen* (The people and the order). Folket i Bild/Kulturfront. Stockholm 1977. 6 nb. 4, 9 and 15.
- Mäkelä, Klaus: *Om straffens verkningar*. (On the effects of punishments.) Eripainos oikeustiede 1975, 6, 237- 280. Neznansky, Friedrich: New information on Soviet criminal statistics. (An insider's report.) Paper presented at the annual meeting of the American Society of Criminology, 1979.
- Olaussen, Leif Petter: *Fordeling og utvikling av forbrytelser i Norge 1957-75*. (Distribution and developments of crime in Norway 1957-1975.) Hovedoppgave i kriminologi. Institutt for kriminologi og strafferett. 1979.
- Pahi, R. E.: *Employment, work and the domestic division of labour*. Int. of Urban and Regional research, 1980, 4, pp. 1- 20.
- Parmann, Øistein ed: *Vidaråsen landsby. Ideer, dagligliv, bakgrunn*. (Vidaråsen village. Ideas, daily life, background.) Oslo 1980.
- Platt, Anthon: *The Child Savers. The invention of delinquency*, Chicago 1969. Radzinowicz Leon: *Ideology and Crime*. N. Y. 1966.
- Ramsøy, Natalie Rogoff: *Sosial mobilitet i Norge*. (Social mobility in Norway.) Oslo 1977. Rawls, John: *A theory of justice*. Oxford 1972.
- Rosza k, Theodore: *The making of a counter culture. Reflections on the technocratic society and its youthful opposition*. N. Y. 1969.

- Sellin, Thorsten: *Capital punishment*. N. Y. 1967.
- Snare, Annika: *Konfliktlösare i närmiljön*. (Konflikt solution in the local milieu.) Rapport fra 21 nordiske forskerseminar på Lillehammer, Norge 1979, Scandinavian Research Council for Criminology. pp. 32-79.
- Stang, Hans Jakob: *Mangelfullt utviklede og/eller varig svekkede sjel-sevner. Diagnoser og prognoser*. (Limited or lastingly diminished mental abilities. Diagnosis and prognosis.) Oslo 1966.
- Stortingsmelding nr. 104 (1977- 78) *Om kriminalpolitikken*. Oslo 1978. (Parliamentary report no 104. Concerning criminal policy.)
- Straffrättskommittens betänkande 1976:72. Band I og 2, 1978. (Consideration of the Penal Law Committee 1976:72) Helsinki 1978.
- Strindberg, August: *Tjänstekvinnans son*. (The maid-servant's son) Stockholm 1878.
- Støkken, Anne Marie og medarbeidere: *Politiet i det norske samfunnet*. (The police in the Norwegian society.) Oslo 1974.
- Sykes, Gresham M.: *The society of captives. A study of a maximum security prison*. USA 1958.
- Takala, Hannu: *Den klassiska straffrättens renässans. Utskrift av innlegg på seminar avholdt av Nordisk Samarbeidsråd for Kriminologi*, Kiljava, Finland 1978. 11 s.
- The twentieth century fund task force on criminal sentencing: *Fair and certain punishment*. USA 1976.
- Thelander, Anna: Hassela kollektivet. En rapport om vårdinnehåll och vårdideologi på et hem for unge narkomaner. (The Hassela collectivity.) Stockholm 1979.
- Valen-Senstad: *For lov og rett i 200 år. Oslo Politis historie*. (For law and order in 200 years. The history of the Oslo – police.) Oslo 1953.
- Wheeler, Stanton. *Controlling delinquents*. N. Y. 1968.

WWW.GENLOW.ORG